# ლელო

№018 (12 395) 24 იანვარი ხუთშაბათი 2008
გამოდის 1934 წლიდან
ფასი 50 თეთრი



## ატლანტამ ფაჩულია ერთი მატჩით დასაჯა

გუშინ გაცნობეთ, რომ ზაზა ფაჩულიამ მოედნიდან გასვლისას მწვრთნელისადმი უკმაყოფილება გამოხატა, რის შემდეგაც მაიკ ვუდსონმა იგი ნაადრევად გაუშვა გასახდელში.

ამ ამბავს გაგრძელება მოჰყვა - ზაზა "ატლანტამ" ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა. აი, რას წერს გაზეთი "ატლანტა კონსტიტუშენი": – ატლანტელთა ხელმძღვანელობამ ზაზა ფაჩულია ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა. ამისი მიზეზი მისი მოქმედება იყო - "პორტლენდთან" მატჩის მსვლელობისას მწვრთნელის მისამართით ხელები გაშალა და უკმაყოფილება გამოხატა. გუნდის გენერალურმა მენეჯერმა ბილი ნაითმა გამოაცხადა, რომ ზაზა "დენვერთან" მომდევნო მატჩს (დღეს გამთენიისას) გამოტოვებს, ხოლო "სიეტლთან" პარასკევის შეხვედრისთვის "ჰოქსთან" ერთად ჩვეულებრივად მოემზადება.

ვაჟა სიმონიშვილი

## დღეს საქართველოს თასის ფინალია: თსუ vs ავია

10

ინტერვიუ ლევან ცაბაძესთან

# პორტუგალიიდან ახალ ზელანდიამდე

## საქართველოს ნაკრები ახალი ოთხწლიანი ციკლის წინ

საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა მორიგი ოთხწლიანი ციკლისთვის მზადება დაიწყო. შარშან, საფრანგეთში გამართულ მსოფლიო თასზე წარმატებული ასპარეზობის შემდეგ, მთლიანად შეიცვალა სამწვრთნელო შტაბი. მოსალოდნელია, რომ საგრძნობლად გადახალისდება შემადგენლობაც. აღსანიშნავია, რომ ჩვენი ეროვნული გუნდის ოთხი მწვრთნელიდან ორი უცხოელია და ორიც ქართველი. ამათგან, ერთ-ერთი, შერკინების მწვრთნელი, ქართული რაგბის ლეგენდა ლევან ცაბაძეა. საქართველოს ნაკრების მომავლის გეგმებსა და მისი როლის შესახებ სწორედ ცაბაძე გვესაუბრება.



**- რას ნიშნავს თქვენთვის საქართველოს ნაკრების მწვრთნელობა?**

- უწინარესად, ეს უდიდესი პასუხისმგებლობაა. ჯერ მარტო ამ სიტყვებს დაუკვირდით - ეროვნული ნაკრები. ეს ნიშნავს, რომ პასუხს ვაგებ მთელი ქვეყნის, ერის და ყველა ქართველი მორაგბის წინაშე.

**- საქართველოს ნაკრების მწვრთნელობას უეცრად არ გადაწყვეტდით. ალბათ ამაზე დიდი ხანია, ფიქრობთ.**

- გადაწყვეტილება სპონტანურად მივიღე, თუმცა სურვილი ნამდვილად მქონდა. ჩემი მთელი სათამაშო კარიერის მანძილზე საკმაოდ დიდი გამოცდილება დამიგროვდა. ახლა ამ გამოცდილების სხვებისთვის გადაცემის შანსი და საშუალება მეძლევა.

**- ნაკრების მთავარი მწვრთნელი ავსტრალიელი ტიმ ლეინი იქნება. თქვენ მას კარგად იცნობთ, დაგვიხასიათეთ.**

- მიმაჩნია, რომ ტიმ ლეინი არის უაღრესად ვაჟკაცური პიროვნება. რაც მთავარია არის უდიდესი პროფესიონალი და თავისი საქმის ზედმიწევნით მცოდნე. მასთან ურთიერთობის აწყობა ჩემთვის ძნელი არ იქნება, რადგან მის მოსაზრებებს რაგბის შესახებ სრულიად ვეთანხმები.

**- თქვენ მისი ხელმძღვანელობით "კლერმონში" თამაშობდით, რაიმე სახასიათო ეპიზოდს ხომ არ გაიხსენებდით?**

- საქმე იმაშია, რომ ჩვენი თანამშრომლობა მოკლევადიანი იყო. მე რომ "კლერმონში" გადავედი, ლეინმა გუნდი მალევე დატოვა. თუმცა, მთელი სამი წლის მანძილზე, რაც ამ გუნდში ვთამაშობდი, გამუდმებით მესმოდა თუ რაოდენ ძლიერი მწვრთნელი იყო ტიმ ლეინი. ყველა, მოთამაშე, სპეციალისტი თუ გულშემატკივარი ერთბაშად აღიარებდა მის სიძლიერეს. ცნობისთვის მინდა გითხრათ, რომ მონფერანი სარაგბო ქალაქია, ყველა ამ ქალაქში, დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი რაგბით ცხოვრობს და სპორტის ამ სახეობაში მშვენივრად ერკვევიან. აქედან გამომდინარე, შეფასებებშიც არ ცდებიან. ყველაფერს რამდენიმე დღეში არქმევენ თავის სახელს.

13



## საქართველოს ჩემპიონმა მეოთხედფინალი ბატე-სთან დათმო

2

# ოლიმპი თანამეგობრობას დაემშვიდობა

www.kazbegi.com

გახსენი...

ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge




გიორგი კახელიშვილი (მარჯვნივ)



ვაჟა თარხნიშვილის გაცუდებული პენალტი

დსთ-ისა და ბალტიის ქვეყნების ჩემპიონთა თასი

# ავრორამ როდიონოვისთვის გაისროლა

23 იანვარი. „პეტერბურგსკი". 500 მაყურებელი.

**ოლიმპი (საქართველო)– ბატე (ბელარუსი) 1:2**

0:1 ბლიზნიუკი (43), 1:1 ხუბუა (72), 1:2 როდიონოვი (85).

გამოუყენებელი პენალტი: სივაკოვი (90).

„ოლიმპი": მერლანი, მახვილაძე, ჯოჯუა, კოვალევსკი, სტეფანიშვილი, კახელიშვილი, ხუბუა (75. კვარაცხელია), პატულა, ომელიანოვი, გენაძე (65. მეტრეველი), სეფისკვერაძე.

ბატე: პანკრატოვი, კაზანცევი, რჟევსკი, სოსნოვსკი, სახაროვი, პ. პლატონოვი (79. სივაკოვი), ჟავნერჩიკი (74. ლიხტაროვიჩი), ერმაკოვიჩი (55. ზაიცევი), დ. პლატონოვი (64. რადევიჩი), ბლიზნიუკი (76. სკავიში), რებროვი (49. როდიონოვი).

არბიტრი: ვ. ცეიტლინი (უზბეკეთი).

გაფრთხილებები: დ. პლატონოვი (12), ჯოჯუა (75).

საუკეთესო ფეხბურთელები: სერგეი სოსნოვსკი, მირზა მერლანი

ლატვიის ჩემპიონმა „ვენტსპილსმა" რუსთაველები მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო. წინა დღის შეხვედრის შემდეგ, გვიან ღამით გაირკვა, რომ საქართველოს ჩემპიონის ერთბაშად სამი მცველი, **ლევან სილაგაძე, თემურ ფარულავა და სერგო ორბელაძე** საკმაოდ მძიმედ დაშავებულიყვნენ და ბელარუსი ჩემპიონთან თამაშს ვერ შეძლებდნენ. ამას გარდა, ტურნირამდე გუნდს გაბონელი **ერნესტ აკუასაგა** ვიზის მიუღებლობის გამო დააკლდა, **დავით ქიქველიშვილი** უკრაინაში დაშავდა და **ანატოლი პისკოვეცი** კატასტროფულ მდგომარეობაში აღმოჩნდა - მას ძირითადის ხუთი მცველი დააკლდა.

ასეთი დანაკლისით ნებისმიერი გუნდისთვის ძალიან ძნელია თამაში. რუსთაველები მეტოქეს მაინც არ შეეპუვნენ, მაგრამ საბოლოოდ მაინც დამარცხდნენ.

ანგარიში ბელარუსებმა პირველი ტაიმის დასასრულს გახსენს: **გენადი ბლიზნიუკმა** მცველების შეცდომით ისარგებლა - 0:1. 72-ე წუთზე **გელა ხუბუამ** ანგარიში გაათანაბრა, მაგრამ შეხვედრის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე **ვიტალი როდიონოვმა** გადამწვეტი ბურთი გაიტანა და ბატე ნახევარფინალში გაიყვანა. ბოლო წუთზე ბელარუსებს ანგარიშის გაზრდა კიდევ შეეძლოთ, მაგრამ **მირზა მერლანმა დიმიტრი სივაკოვს** პენალტი აუღო.

სხვათაშორის, მერლანმა ტურნირზე მეორედ მოიგერია პენალტი, პირველად ეს ყირგიზებთან მოახერხა. სამწუხაროა, რომ რუსთავის „ოლიმპი" ასე დასანანად გამოვარდა. სხვათAშორის, როგორც შევიტყვეთ, ანატოლი პისკოვეცი აღშფოთებული დარჩა მსაჯობით და ეს მატჩის შემდგომპრესკონფერენციაზეც არც დამალა.

*„ჩემი ემოციები კანონზომიერია. მე არასდროს განვიკითხავ მსაჯებს. უბრალოდ, დღეს ასეთი მძიმე დღე გამოდგა... გუშინ ჩვენ სამი მცველი დავკარგეთ და ბატე-სთან მათი არყოფნა დაგვეტყო. ამის მიუხედავად, ჩვენ გამუდმებით ვუტევდით. პირველ ტაიმში მაინც გაგვიჭირდა. საინტერესოა, მსაჯები ასე რატომ ირჯებიან, როდესაც ტურნირზე არაა საპრიზო ფონდი და პრემიები? მსაჯის გადაწყვეტილებებმა ჩემი პროვოცირება გამოიწვია. მე რომ ახლა გავჩერდე, მაშინ საკუთარი თავს პატივისცემას დავკარგავ. მთლიანობაში ორგანიზატორების მადლიერი ვარ ამ ტურნირის გამართვისა და ბრწყინვალე ორგანიზებისთვს. აქ ძალიან კარგი ატმოსფეროა. ჩემს ფეხბურთელებს ძალიან მოეწონათ სანკტ-პეტერბურგი - ბიჭები კრეისერ „ავრორას" ნახვაზე ოცნებობდნენ და მათი ოცნება ახდა,"* - განაცხადა რუსთაველთა მთავარმა მწვრთნელმა.

**ვიქტორ განჩარენკო**, ბატეს მთავარი მწვრთნელი: *„მიმაჩნია, რომ დამსახურებული გამარჯვება მოვიპოვეთ. ერთადერთი, ის მაფიქრებს, რომ ტურნირზე თითქმის ყველა შეხვედრაში პენალტს გვინიშნავდნენ და ბევრჯერ ვერ გამოვიყენეთ. დღეს ტურნირზე გამოსვლის დღიდან საუკეთესო თამაში ვაჩვენეთ. მრავალი მომენტი შევქმნენით, მაგრამ ყველა ვერ გამოვიყენეთ. ანაგარიში რომ გაგვითანაბრეს, პანიკა არ ყოფილა, ისეთი შეგრძნება დაგვეუფლა, რომ კიდევ გავიტანდით. ჩვენ მუდმივად წინ მივიწევთ. ახლა ჩვენი მთავარი ამოცანა შემდეგი შეხვედრაა. ჯერ ტურნირში გამარჯვებაზე არ ვფიქრობთ."*

„თანამეგობრობის თასის" სხვა მეოთხედფინალური შეხვედრები ასე დასრულდა:

**შერიფი (მოლდოვა)– ხაზარი (აზერბაიჯანი) 2:2**

(პენალტებით 3:5, გადამწყვეტი პენალტი ვაჟა თარხნიშვილმა გააფუჭა)

**ფახთაქორი (უზბეკეთი)– ვენტსპილსი (ლატვია) 1:1**

(პენალტებით 7:6)

**ზენიტი (რუსეთი)– კაუნასი (ლატვია) 1:2**

გივი კვარაცხელიამ და ნუკრი მანჩხავამ შეუცვლელად ითამაშეს.

25 იანვარს ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდებიან:

**ხაზარი–ბატე**

**კაუნასი–პახტაკორი**

მერაბ მამულაშვილი

# ოლიმპმა ქედია და სტოცენკო დაიმატა

საქართველოს ჩემპიონი რუსთავის „ოლიმპი" გამუდმებით სინჯავდა ახალ-ახალ ფეხბურთელებს. გუნდის მთავარი მწვრთნელი **ანატოლი პისკოვეცი** უმთავრესად, უკრაინელ და ზუგდიდის „მგლების" ფეხბურთელებს ამოწმებდა და როგორც ჩანს, საქართველოს ჩემპიონატის საგაზაფხულო ეტაპზე მათ დაეყრდნობა.

სხვათაშორის, ტურნირის მსვლელობის დროს გუნდის განაცხადი ორჯერ შეიცვალა. გუშინ, ტურნირიდან გამოვარდნის დღეს ცნობილი გახდა, რომ გუნდმა კიდევ ორი ფეხბურთელი დამატა. ერთი მათგანი ზუგდიდის „მგლებიდან" გადასული თავდამსხმელი **გიორგი ქედიაა**. იგი 18 წლისაა და შარშან ქუთაისის „ტორპედოსა" და იუნიორთა ნაკრებში გამოდიოდა. იანვარში გიორგის ლიტვის ჩემპიონი „კაუნასი" ელოდებოდა. ძნელი სათქმელია, რა შეიცვალა და რატომ აღარ ჩაირიცხა ქედია ამ გუნდში. ფაქტი ისაა, რომ ის რუსთაველთა განაცხადში შეიყვანეს და სავარაუდოდ, „მგლების" კიდევ სამ ფეხბურთელთან ერთად (**თემურ ფარულავა, გელა ხუბუა, ლადო ჯოჯუა**) „ოლიმპში" გააგრძელებს კარიერას.



ანატოლი პისკოვეცი

მეორე სიახლე კი კიდევ ერთი უკრაინელი **ნიკოლაი სტოცენკოს** გამოჩენაა. ეს ახალგაზრდა 22 წლისაა და ნახევარდაცვაში თამაშობს. მის გვარი აქამდე არსად უხსენებიათ, სტოცენკოს არც უკრაინულ შეკრებაზე უთამაშია და არც „თანამეგობრობის თასზე".

მერაბ მამულაშვილი


CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK

გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:

CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადაჭდა ხაზლიდან გუხვლელად

სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

ეროვნული ნაკრები

# ასათიანი და მუჯირი ტოპის სიაში

რუსულმა წყაროების მიერ გუშინ გავრცელებულ ცნობათა თანახმად, მოსკოვის „ლოკომოტივის" მცველი **მალხაზ ასათიანი** და "კრილიას" ნახევარმცველი **დავით მუჯირი** საქართველოს ეროვნულ ნაკრებში არიან გამოძახებულნი. ამ ფეხბურთელთა კლუბებმა უკვე მიიღეს ფაქსი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან. **კლაუს ტოპმიოლერის** მიერ შერჩეული შემადგენლობა ლატვიასთან 6 თებერვალს გასამართი საშინაო ამხანაგური მატჩისთვის ამ დღეებში უნდა გახდეს ცნობილი. დაბოლოს, მალხაზ ასათიანმა მოსკოვის "ლოკომოტივის" ახალ თავკაც **რაშიდ რახიმოვის** თაობაზე რუსულ პრესაში გუშინ კომენტარი გააკეთა და მის ნათქვამსაც აქვე გთავაზობთ: "*იგი ძალიან საინტერესო ადამიანია. ახალგაზრდაა, დიდი ხანი არაა, რაც აქტიური საფეხბურთო კარიერა დაასრულა და ჩვენ, ფეხბურთელებს იოლად გვიგებს. მან კარგად დაიწყო მუშაობა და ვიმედოვნებ, ასევე გააგრძელებს*", - აღნიშნა ასათიანმა.

**დავით ცაბაძე**







# კალაძემ საბანკო ლიცენზია მიიღო

ამ ცოტა ხნის წინ გამცნეთ, ეროვნული ნაკრებისა და "მილანის" მცველ **კახა კალაძეს** საკუთარი ბანკის გახსნა რომ აქვს გადაწყვეტილი. იმასაც გნერდით, კალაძემ საბანკო ლიცენზიის აღების თაობაზე საქართველოს ეროვნულ ბანკს რომ მიმართა. კახამ "ლელოსთან" საუბარში აღნიშნა, რომ მისი გეგმა უფრო მასშტაბურია და მხოლოდ ბანკის გახსნით არ შემოიფარგლება. მას საქველმოქმედო ფონდის ჩამოყალიბება სურს, რომელიც მიუსაფარი ბავშვების, ქართული ფეხბურთის, ბავშვთა ფეხბურთისა და სხვა სფეროების დახმარებას ითვალისწინებს.

სააგენტოების მიერ გუშინ გავრცელებულ ცნობათა თანახმად, საქართველოში მოქმედ 20 კომერციულ ბანკს კიდევ ერთი შეემატება. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა უკვე გასცა ლიცენზია კახა კალაძის "პროგრესბანკის" ფუნქციონირების თაობაზე. „პროგრესბანკი" მალე გაიხსნება.

**დავით ცაბაძე**

ამხანაგური მატჩები

# დინამომ შეკრება მოგებით დაასრულა

**ზეითუნისფორი–დინამო** 1:2

0:1 ხუციშვილი (33. პენალტით), 1:1 დემირი (62), 1:2 სპასოევიჩი (86. ვანაძის პასით)

დინამო: ოვონო, შ. კაშია (69. თომაშვილი), გ. კაშია, კრშკო, დობეში (46. გველესიანი), სპასოევიჩი, ხმალაძე, დილმელაშვილი, გრიგალაშვილი (60. ვანაძე), ხუციშვილი, აკირემი (87. ქანთარია).

თბილისის "დინამომ" პირველი ანთალიური შეკრება წარმატებით დაასრულა. **დუშან უპრინის** გუნდმა დასკვნითი ამხანაგური მატჩი თურქეთის ქვედალიგოსან "ზეითუნისფორთან" ჩაატარა და 2:1 მოიგო. ანგარიში დინამოელებმა გახსნეს, 33-ე წუთზე **სპასოევიჩის** ნაქცევისთვის დანიშნული პენალტი **ხუციშვილმა** გოლად აქცია. ტაიმის ბოლომდე ანგარიში აღარ შეცვლილა. შესვენების შემდეგ კი მასპინძლებმა წონასწორობა აღადგინეს – **ოვონოსთან** პირისპირ გასულმა **დემირმა** ჩინებული შანსი ხელიდან არ გაუშვა. მატჩის მიწურულს **ვანაძის** მიერ დარტყმული ბურთი თურქების მეკარემ მოიგერია, დამატებაზე სპასოიევიჩმა იმარჯვა და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

შეახსენებთ, რომ ანთალიურ შეკრებაზე "დინამომ" "ზეითუნისფორამდე" ოთხი საკონტროლო მატჩი გამართა. უპრინის გუნდი კიევის "არსენალს" 2:2 დაუზავდა, ადგილობრივ ქვედალიგოსან "დემირსპორს" ჯერ 2:0 მოუგო, შემდეგ კი მინიმალურად 0:1 დამარცხდა. ბოლოსწინა შეხვედრა კი თბილისელებმა ზაპოროჟიეს "მეტალურგთან" 1:2 დათმეს.

დაბოლოს, "დინამო" შინ ტრავმირებულებით ბრუნდება. როგორც შევიტყვეთ, დაშავებულ მცველ **ნედ ზელიჩს** სარეაბილიტაციოდ 2-3 კვირა ესაჭიროება, **დავით ოდიკაძის, გიორგი მერებაშვილისა** და **გიორგი ნერგაძის** მდგომარეობა კი ნაკლებად საგანგაშოა.

**დავით ცაბაძე**



ნედ ზელიჩი

მეტოქე

# ბულგარეთი ჩრდილო ირლანდიისთვის დაირაზმა

მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ჩვენი მეტოქე ბულგარეთი 6 თებერვალს ჩრდილოეთ ირლანდიასთან გასვლით ამხანაგურ მატჩს გამართავს. ბულგარეთის ეროვნული გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **პლამენ მარკოვმა** ბელფასტური მატჩისთვის სანაკრებო შემადგენლობა დაასახელა.



პლამენ მარკოვი

მეკარეები: **დიმიტარ ივანკოვი** (კაისერისფორი, თურქეთი), **გეორგი პეტკოვი** (ლევსკი).

მცველები: **ვალენტინ ილიევი, ალექსანდრ ტუნჩევი** (ორივე ცსკა), **ჟივკო მილანოვი, ლუსიუ ვაგნერი, იგორ ტომაშიჩი, მიხაილ გენკოვი** (ყველა ლევსკი).

ნახევარმცველები: **სტანისლავ ანგელოვი** (კოტბუსი, გერმანია), **სტილიან პეტროვი** (ასტონ ვილა, ინგლისი), **ბლაგო გეორგიევი** (დუისბურგი, გერმანია), **მარტინ პეტროვი** (მანჩესტერ სიტი, ინგლისი), **ტოდორ იანჩევი, ველიზარ დიმიტროვი** (ორივე ცსკა).

თავდამსხმელები: **დიმიტარ ბერბატოვი** (ტოტენჰემი, ინგლისი), **დიმიტარ რანგელოვი** (კოტბუსი, გერმანია), **ზდრავკო ლაზაროვი** (შინიკი, რუსეთი), **ეველინ პოპოვი** (ლიტექსი).

**დავით ცაბაძე**

# დემეტრაძემ რუმინელები დაამარცხა

შეკრებაზე მყოფმა კიევის "არსენალმა" მორიგი ამხანაგური მატჩი ჩაატარა. ალექსანდრ ზავაროვის გუნდი ამჯერად რუმინეთის უმაღლესი ლიგის ერთ-ერთ ლიდერ "კლუჟს" დაუპირისპირდა და 2:0 მოიგო. წინა ტესტმატჩების დარად, **გიორგი დემეტრაძე** კვლავ 46-ე წუთიდან ჩაერთო თამაშში და 50-ე წუთზე სელეზნიოვმა სწორედ ქართველი ფორვარდის მიერ წამოწყებული შეტევა დააგვირგვინა გოლით.

# ჩასემი ისრაელში მიფრინავს

**სიონი–მერანი** 2:0

23 იანვარი. რატევანი

1:0 ლ. ჩხეტიანი (61. ქურასბედიანის პასით), 2:0 გიგინეიშვილი (75. ალიმბარაშვილის პასით).

სიონი: **ბობლიაშვილი, რაქვიაშვილი, ქურასბედიანი, ბოიომო, გ. ოქროპირიძე, ავალიანი, სვანიძე, კვიტაიშვილი, ალავიძე, მიქელაძე, გიგინეიშვილი.**

მეორე ტაიმში შეცვლაზე შევიდნენ: **ალიმბარაშვილი, ლ. ჩხეტიანი, გაბიძაშვილი.**

მერანი (სასტარტო): **თევდორაძე, ლოლაძე, გიგაური, ლ. გრიგალაშვილი, სარალიძე, ჯანგიძე, ბაკურაძე, ფურთუხია, ჟღენტი, ი. შენგელია, გოჩაშვილი.**

გუშინ ბოლნისის რაიონს კიდევ ერთი კლუბი, თბილისის "მერანი" ეწვია და ადგილობრივ "სიონთან" ამხანაგური მატჩი გამართა. ბოლნისური კლუბის მენეჯერის, **ჯემალ ჭიპაშვილის** თქმით, "სიონს" ტრავმების გამო, ამ ამხანაგურ შეხვედრაში **ბაჯელიძე, ვაშაკიძე, ქარდავა** და სხვა ფეხბურთელები აკლდნენ. შესაბამისად, მასპინძლებს გადახალისებული შემადგენლობით მოუწიათ თამაში. მატჩის პირველი ტაიმი გარდამავალი უპირატესობით წარიმართა. შესვენების შემდეგ კი მასპინძლებმა იძალეს და ეს ანგარიშშიც სათანადოდ აისახა - ბოლნისელებმა სტუმრებს ორი უპასუხო გოლი გაუტანეს და 2:0 მოიგეს.

"მერანთან" ამხანაგურ შეხვედრაში ბოლნისელთა ლიდერ **ერიკ რომეო ჩასემს** არ უთამაშია. მართალია, მისი ტრანსფერი "ზესტაფონში" არ შედგა, მაგრამ შესაძლოა, ეს საქმე ისრაელში გამოუვიდეს. კამერუნელი ფორვარდი ისრაელში დღეს მიფრინავს. მისით ერთ-ერთი ებრაული კლუბი ყოფილა დაინტერესებული. თუ რა გამოვა ამ საქმიდან, ამას უკვე დრო გვიჩვენებს. დაბოლოს, "სიონი" მომდევნო ამხანაგურ მატჩს 26 იანვარს გამართავს. **გიორგი ყიფშიძის** გუნდი პირველ ლიგაში მოასპარეზე "ნორჩ დინამოელს" უმასპინძლებს, 31 იანვარს კი ბოლნისელები აზერბაიჯანულ "სიმურგს" ავჭალაში, "სინათლის" სტადიონზე გაეჯიბრებიან.

**დავით ცაბაძე**

GEO FM 95.1

ავტორადიო თბილისი

www.kazbegi.com
გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge



# ოთარმა ნდობა გაამართლა



გუშინ გაცნობეთ, რომ **ოთარ ხიზანეიშვილმა** სეზონის „ფრაიბურგში" ჩამთავრება გადაწყვიტა. ქართველ მცველს გუნდის ძირითადში დაბრუნების შანსი აქვს და თამამად შეიძლება ითქვას, რომ გუშინდელი მატჩით ამის შესაძლებლობა უფრო რეალური გახდა.

„ფრაიბურგმა" საკონტროლო მატჩში „შაფჰაუზენს" 3:1 სძლია. ოთარი დაცვის ცენტრში გაამწესეს და არ შეუცვლიათ. რაც მთავარია, 86-ე წუთზე, როცა ანგარიში 1:1 იყო, „შაფჰაუზენის" კარში დანიშნული პენალტის რეალიზება თანაგუნდელებმა ხიზანეიშვილს მიანდეს. ჩვენმა თანამემამულემ თერთმეტმეტრიანი უნაკლოდ შეასრულა, ერთ წუთში კი „ფრაიბურგმა" მესამეც გაიტანა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# ალადაშვილმა გაიტანა

## ბურდულის მოგება და ფრე

**ლადო ბურდულის** "ზარიამ" კოტბუსის "ენერგისთან" დიდი ანგარიშით ნაგების შემდეგ ორი ამხანაგური მატჩი გამართა. ლუგანსკელებმა კორეული "ტეგუ" 2:0 დაამარცხეს. ბურდულმა საწყისი 45 წუთი ითამაშა. "ზარიამ" მეორე ტესტ-მატჩი გროზნოს "ტერეკთან" უგოლოდ დაასრულა. ბურდული ამ შეხვედრაშიც სასტარტო შემადგენლობაში იყო, შესვენების შემდეგ იგი მოედანზე აღარ გამოჩენილა.

**კახა ალადაშვილისა და ოთარ მარცვალაძის** "ხარკოვმაც" მორიგი ამხანაგური შეხვედრა ჩაატარა. ხარკოველები რუმინულ "ოცელულს" დაუპირისპირდნენ. შეხვედრა ფრედ, 1:1 დასრულდა. ამ მატჩში ქართველთაგან მხოლოდ ერთმა, ალადაშვილმა ითამაშა. უფრო მეტიც, კახა გოლითაც გამოირჩა. 51-ე წუთზე მან ანგარიში გაათანაბრა.

**დავით ცაბაძე**

# გრძელდება ქართველ ფეხბურთელთა მომზადება არგენტინაში

## დიდი ტრამპლინი საქართველოს ნაკრები გუნდებისა და ევროპის კლუბებისკენ



ედუარდო დელგადო და მისი სამწვრთნელო შტაბი აგრძელებს ქართველ ფეხბურთელთა მომზადებას არგენტინაში. ედუარდო დელგადო იწვევს და მაღალ დონეზე მოამზადებს 17-18 წლის პერსპექტიულ 2 მეკარეს, 5 მცველს და 4 ნახევარმცველსა და 4 თავდამსხმელს არგენტინაში. მომზადების პროცესში ისინი ითამაშებენ ამხანაგურ თამაშებს არგენტინულ კლუბებში. ამას გარდა, არგენტინაში სტაჟირებაზე მყოფ ფეხბურთელთა ნაკრებს, კვირაში ერთხელ ექნებათ ამხანაგური შეხვედრები არგენტინის კლუბებიდან. სტაჟირების ვადა 6 თვიდან ერთ წლამდეა. სტაჟირების სრული კურსის დაძლევის შემდეგ ფეხბურთელები დელგადოს მიერ წარდგენილნი იქნებიან არგენტინის კლუბებში, სადაც ითამაშებენ ოფიციალურ თამაშებს. სტაჟირების პროცესი ფასიანია. ასევე, ავიაბილეთების, ადგილზე ცხოვრების, კვების, არგენტინის ვიზისა და შიდა ტრანსპორტით გადაადგილების ხარჯები გაღებულ უნდა იქნას მსურველთა ან მათ სპონსორთა მიერ. დელგადოს მიერ მომზადებულ ფეხბურთელებს, რომლებიც ითამაშებენ ოფიციალურ თამაშებს არგენტინულ კლუბებში, შეეძლებათ ითამაშონ და გააფორმონ კონტრაქტი ევროპის კლუბებთანაც, მაღალი ფინანსური პირობებით.

დაწვრილებითი ცნობებისთვის მსურველები უნდა გამოცხადდნენ მისამართზე: თბილისი, ლეონიძის ქ. 4 (თავისუფლების მოედანი, ეროვნული ბანკის მოპირდაპირედ). მსურველთა მიღებას აწარმოებს არგენტინის წარმომადგენელი საქართველოში, მიმდინარე წლის 8 იანვრიდან 25 იანვრამდე, ყოველდღე 13 საათიდან 15 საათამდე, კვირის გარდა.

ფეხბურთელები არგენტინის ვიზას მიიღებენ 28 იანვრიდან და მათ ვარჯიშები არგენტინაში დაეწყებათ 1 თებერვლიდან.

**საკონტაქტო ტელეფონი: 899 23-55-20**

# ქართველების ფასი უკრაინაში 3.550.000 ევროა

ცნობილმა გერმანულმა სატრანსფერო ვებგვერდმა „ტრანსფერმარკტმა" უკრაინის ჩემპიონატის მონაწილე ფეხბურთელების საერთო სატრანსფერო თანხა დაიანგარიშა. მათი ინფორმაციის თანახმად, ყველაზე ძვირადღირებული „შახტიორის", ნახევარმცველი **ვილიანია,** რომელიც 11 მილიონ ევროდაა შეფასებული.

ჩვენთვის კი საინტერესო უნდა იყოს უკრაინის ჩემპიონატში მონაწილე ქართველი ფეხბურთელების შეფასება. ზაპოროჟიეს „მეტალურგს" ოთხი ძვირადღირებული ფეხბურთელი ჰყავს და ერთ-ერთი მათგანი **დავით კვირკველიაა** - მისი ფასი, გერმანელთა ვარაუდით, 750 ათასი ევროა.

ჩვენ შევეცადეთ უკრაინაში მოთამაშე ქართველი ფეხბურთელების ფასების დადგენას იგივე ვებ-გვერდის დახმარებით და შენდეგი სურათი მივიღეთ:

**ჯაბა კანკავა („დნეპრი")** - 1.000.000
**გიორგი დემეტრაძე („არსენალი")** - 900.000
**დავით იმედაშვილი („დინამო")** - 400.000
**ლაშა ჯაკობია („ვორსკლა")** -300.000
**ლადო ბურდული („ზარია")** - 300.000
**ვასილ გიგიაძე („კრივბასი")** - 200.000
**ოთარ მარცვალაძე („დინამო")** - 200.000
**კახა ალადაშვილი („დინამო")** - 150.000
**გიორგი ციმაკურიძე (უგუნდო)** - 50.000
**ირაკლი მოდებაძე (უგუნდო)** - 50.000

გერმანული ინფორმაციის მიხედვით, უკრანის ჩემპიონატში მონაწილე ქართველების საერთო ფასი სულ რაღაც 3 მილიონ 650 ათასი ევროა.

თუმცა, უზუსტობა აშკარაა. უთამაშებელი ირაკლი მოდებაძე თავისუფალი აგენტია, მაგრამ მისი ფასი მინიმუმ, 300 ათას ევროა. ასევე არასწორია ვასილ გიგიაძის მონაცემიც - მასში „კრივბასი" 500 ათას დოლარს ითხოვს. საქართველოს ნაკრების ნახევარმცველის, ჯაბა კანკავას ღირებულება კი დღეისათვის სამი მილიონი დოლარია. რაც შეეხება კიევის „დინამოს" საკუთრებაში მყოფ ქართველებს, მათ სანაცვლოდ კლუბი მინიმუმ 300-300 ათას ევროს ითხოვს.

**მერაბ მამულაშვილი**



დავით კვირკველია

# ქართველები არგენტინაში

ამ ცოტა ხნის წინ **ნიკო პატარქალიშვილმა** არგენტინაში წასულ ქართველებზე, **ვასილ აფციაურსა** და **ხვიჩა მურღულიაზე** მოგვითხრო. მას მერე საქართველოდან პატარქალიშვილმა კიდევ ორი ახალგაზრდა ფეხბურთელი წაიყვანა. ესენი არიან 17 წლის ნახევარმცველი **გიგი ტარყაშვილი** და 17 წლის მცველი **ვალერი აგაჯანოვი.** *"გიგი ტარყაშვილი და ვალერი აგაჯანოვი არგენტინაში ნოემბერში წავიყვანე. ისინი "დეპორტივო მერლოსთან" არსებული ტექნიკური მომზადების ცენტრში მივალინე. ამ ცენტრს ჩვენთვის კარგად ცნობილი* ***ედუარდო დელგადო*** ხელმძღვანელობს, მისი მოადგილე კი **ნესტორ გასიანი** გახლავთ. ბიჭები ფეხბურთთან ერთად ნელ-ნელა ეუფლებიან ესპანურს. ეს ფეხბურთელები ძალიან მოსწონთ. ახლახანს ეს ბიჭები დელგადომ სან კლემენტეში, მარ დე პლატის ზღვის სანაპიროზე წაიყვანა. სან კლემენტეში ბალნეოლოგიური კურორტი და მსოფლიოში ცნობილი ცხოველთა სამყაროს გამოფენაა, რომლისთვისაც იქ მილიონობით ტურისტი ჩადის მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან", - გვითხრა ნიკო პატარქალიშვილმა.

*"ჩვენი მიზანია, არგენტინაში ქართველების რიცხვი კიდევ უფრო გავზარდოთ, 11-მდე ავიყვანოთ ზაფხულამდე და მათი მომზადების შესახებ ეტაპობრივად მივაწვდი ინფორმაციას ჩვენი ეროვნული და სხვადასხვა ასაკის ნაკრებების მწვრთნელებს. ორიოდე კვირაში კიდევ 2-3 ქართველ ფეხბურთელს წავიყვან არგენტინაში და მერე მათზეც გიამბობთ"*, - დასძინა პატარქალიშვილმა.

დაბოლოს, პატარქალიშვილის თქმით, მას ქართული კლუბებისთვის არგენტინული შეკრების მოწყობა შეუძლია: *"ნებისმიერი ქართული კლუბი, რომელიც სურვილს გამოთქვამს, არგენტინაში მაღალი დონის შეკრებას მოვუწყობ. არგენტინაში ახლა ზაფხულია და პირობები ბევრ ქვეყანაზე უკეთესია. გუნდს ერთი ფეხბურთელის ბაზაზე ცხოვრება და სამჯერადი კვება დღეში 50-დან 80 დოლარამდე დაუჯდება. ამ ფასში ქართველი მწვრთნელებისთვის სტაჟირებაც შედის".*

**დავით ცაბაძე**

შალკე. შეხვედრა ფანებთან

# კობიაშვილი ერთი ევროთი დააჯარიმეს

## მიზეზი: ლევანმა ფანებთან დორტმუნდის ბორუსია ახსენა...

**გელზენკირხენის „შალკეს“ ფანები ამ პერიოდს მოუთმენლად ელიან ხოლმე. მათთვის ეს დრო მნიშვნელოვანი იმის გამოა, რომ ტრადიციისამებრ, „ხუმარების“ ფეხბურთელები მეორე წრის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე, სხვადასხვა ფან-კლუბებს სტუმრობენ. ტრადიცია არც ამჯერად დარღვეულა – „შალკეს“ ვარსკვლავები მთელი გერმანიის მასშტაბით გაანაწილდნენ. ლევან კობიაშვილს მეტად საინტერესო ამბავი გადახდა...**

**ზლატან ბაირამოვიჩი** ფან-კლუბ „ფროიდენტაუმელ ვანე-აიკელს“ ესტუმრა. *„ძალიან კმაყოფილი ვარ. ამ ფან-კლუბში ერთობ ხალისიანი ხალხია გაწევრიანებული, ძალიან მასიამოვნეს. მე მათ ვუამბე, რომ ჩემს შვილს „შალკეს“ სიმღერების კრებული აქვს და რომ ამ დისკს უდიდესი სიამოვნებით უსმენს,“* – აცხადებს ბოსნიელი ნახევარმცველი, - *„მერე ერთ-ერთი სიმღერა ყველამ ერთად ვიმღერეთ.“* ბაირამოვიჩს ხსენებულ ფან-კლუბში 300-მდე ქომაგმა უმასპინძლა.

„შალკეს“ ურუგვაელი ნახევარმცველი **კარლოს გროსმიულერი** ამ ტრადიციის დებიუტანტი გახლდათ და მან ჰილესკენ აიღო გეზი. *„ეს ყველაფერი უბრალოდ დაუჯერებელია. ასეთი ერთგული ქომაგები არსად მინახავს. რას არ აკეთებენ იმისათვის, რომ თავიანთი საყვარელი გუნდის ფეხბურთელი ასიამოვნონ. ეს გენიალური ტრადიციაა,“* – განაცხადა გროსმიულერმა ჰილედან დაბრუნების შემდეგ.

მეკარეები **მანუელ ნოიერი** და **ტონი ტაპალოვიჩი** ნინბორგში იყვნენ. *„შესანიშნავი შეხვედრა მოგვიწყვეს,“* – ყვება ნოიერი. „შალკეს“ მეკარეების ხილვა დაახლოებით 600-მა ფანმა მოისურვა. ჯერ ავტოგრაფები ჩამოარიგეს, მერე ფანების დარტყმებს იგერიებდნენ, ბოლოს კი სამახსოვრო ფოტოებიც გადაიღეს. *„ასეთი შეხვედრები ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენ ფეხბურთს პირველ რიგში გულშემატკივრებისთვის ვთამაშობთ და მათთან შეხვედრამ ძალიან პოზიტიურად განმაწყო,“* – ამბობს ნოიერი. კიპერების მეორე წყვილი სამხრეთ გერმანიაში გაემგზავრა. **მათიას შობერი** და **რალფ ფერმანი** შვაბენლანდში იყვნენ.

„შალკეს“ ქომაგ **უში დაგოტს**, რომელიც ვეზელში ცხოვრობს, დიდი ხნის ოცნება აუსრულდა – მან **კევინ კურანი** პირადად გაიცნო. უშისთან ერთად, გელზენკირხენული კლუბის გოლეადორი 500-მა ვეზელელმა ფანმა ნახა. *„კევინი ერთადერთი და განუმეორებელია, ძალიან თბილი პიროვნება აღმოჩნდა, ზუსტად ისეთი, როგორიც წარმომედგინა,“* – ამბობს ფროილაინ დაგოტი.

სხვა ფეხბურთელების შესახებ ბევრს აღარ გავაგრძელებთ და ბოლოს **კობიაშვილის** ისტორიას გიამბობთ. ლევანს გელზენკირხენიდან გასვლა არ მოუხდა, რადგან ლატარეამ „შალკეს“ გელზენკირხენული ფან-კლუბი „კუცორას ენკელი“ არგუნა. ფანებმა კობი, რა თქმა უნდა, დიდი პატივით მიიღეს და ყავასთან ერთად, მისი საყვარელი ნამცხვარიც მიართვეს. თუმცა კობიაშვილმა ერთი შეცდომა მაინც დაუშვა, რის გამოც დაისაჯა კიდეც...

მოგეხსენებათ, კობის ფაქტობრივად მთელი პირველი წრე გაუცდა და



კობი შალკეს დიდ და პატარა ფანებთან ერთად

ერთმა ქომაგმა სპეციალურად ჰკითხა, თუ გახსოვს, 90 წუთი ბოლოს როდის ითამაშეო. ქართველი არ დაიბნა და მაშინვე უპასუხა: *„დორტმუნდის „ბორუსიასთან!“* ის კი ველარ გაითვალისწინა, რომ „შალკეს“ ფანებთან „დორტმუნდის“ სახელის ხსენება არ შეიძლება. ისინი მოსისხლე მტერს მხოლოდ საკლანძლავი სიტყვებით მოიხსენიებენ ხოლმე. შედეგად, ფანებმა კობიაშვილი 1 ევროთი დააჯარიმეს. ჩვენებურის რეაქცია ასეთი იყო: *„ოღონდ არ გამიბრაზდეთ და ორმაგს გადავიხდი!“*

მოკლედ, ამ ფაქტმა შეხვედრას ხალისი შემატა. ბოლოს, „შალკეს“ ფანებმა ქართველ ფეხბურთელს ხსენებული ფან-კლუბის საპატიო სტუმრის სტატუსი მიანიჭეს. *„კობი გენიალური ადამიანია. აქამდე ხომ ძალიან გვიყვარდა, მაგრამ ახლოს გაცნობის შემდეგ კიდევ უფრო მეტად შეგვიყვარდა. ვიცოდით, რომ შესანიშნავი პიროვნებაა, მაგრამ წანახმა მოლოდინს გადააჭარბა,“* – ეს „კუცორას ენკელის“ ერთ-ერთი წარმომადგენლის, **მათიას ჰაუკის** სიტყვებია.

**გოტფრიდ ლენცი**


მარიო გომესი

ინტერვიუ მარიო გომესთან

# ერთი ტიტული საკმარისი არ არის

## ესპანეთში მარიო გომესის ქუჩა იარსებებს

**„შტუტგარტმა“ ჩაისვარა. ყოველ შემთხვევაში, მიმდინარე სეზონის პირველ წრეში გერმანიის მოქმედი ჩემპიონები ოდნავადაც არ ჰგავდნენ იმ გუნდს, რომელმაც შარშან ყველასათვის მოულოდნელად ჩემპიონობა იზეიმა. შვაბების დავრდომის ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ გუნდის ლიდერსა და მთავარმეგოლე მარიო გომესს ორი თვის განმავლობაში ტრავმა ჰქონდა და გუნდს მხოლოდ 12 მატჩში დაეხმარა. მაგრამ ამ 12 შეხვედრაში მან 7 გოლის გატანა მაინც მოახერხა. სუპერმარიოს წვალება დასრულდა და შესაბამისად, დასრულდა „შტუტგარტის“ ფანების წვალებაც – გომესი გამოჯანმრთელდა და სრული დატვირთვით ვარჯიშობს. გერმანიის ნაკრების თავდამსხმელს გამოცემა „სპოქსის“ კორესპონდენტი გაესაუბრა.**

**- ჰერ გომეს, როგორ ხართ?**

- მადლობთ, კარგად. ვვარჯიშობ და თავს დღითიდღე უკეთ ვგრძნობ. მე-18 ტურში, „შალკესთან“ აუცილებლად უნდა ვითამაშო.

**- როგორ შეაფასებდით ბუნდესლიგის პირველ წრეს და საერთოდ, სეზონის პირველ ნახევარს?**

- უაღრესად მნიშვნელოვანი იყო ის, რომ სიმშვიდე შევინარჩუნეთ და კრიზისის გამო ქაოსში არ ჩავარდით. ცხადია, თვითკრიტიკულები უნდა ვიყოთ და უნდა ვაღიაროთ, რომ გულშემატკივრებს იმედები გავუცრუეთ როგორც ბუნდესლიგაში, ასევე ჩემპიონთა ლიგაშიც. ახლა მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ, რომ ის, რაც პირველ ნახევარში გავაფუჭეთ, მეორე ნახევარში გამოსწორდეს. სხვას ვერაფერს დავაბრალებთ, რაც მოხდა, მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი ბრალია. ისე, პირველი წრის ბოლო ტურებში საკმაოდ გამოვსწორდით, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არაა ის, რაც ჩვენ გვინდა და რასაც ჩვენი ქომაგები ითხოვენ. იმედი მაქვს, რომ მეორე წრეში ყველაფერი გაცილებით კარგად იქნება.

**- თქვენც ეთანხმებით იმ მოსაზრებას, რომ „შტუტგარტმა“ ბევრ რამეში „ვერდერს“ უნდა მიბაძოს იმისათვის, რომ სტაბილური გრანდის სახელი დაიმკვიდროს?**

- რა თქმა უნდა. დააკვირდით, ბრემენელებს პირველ წრეში ჩვენზე გაცილებით მეტი წამყვანი ფეხბურთელი აკლდათ, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც მეორე ადგილზე გავიდნენ და თანაც, „ბაიერნს“ მხოლოდ ბურთების უარესი შეფარდების გამო ჩამორჩნენ. ეს უკვე სტაბილური სიძლიერის დამადასტურებელია.

**- როგორ გგონიათ, რისი მიღწევა შეუძლია „შტუტგარტს“ ამ სეზონში?**

- წინ 17 მატჩია და გვინდა, რომ რაც შეიძლება მეტი მოვიგოთ. ვნახოთ, რა გამოვა სეზონის ბოლოს. პროგრამა მინიმუმი, რა თქმა უნდა, ხუთეულში შესვლა და მინიმუმ უეფას თასის საგზურის მოპოვებაა.

**- ზედმეტად მოკრძალებული მიზანი ხომ არ არის ისეთი გუნდისთვის, რომელიც წინა სეზონში გერმანიის ჩემპიონი გახდა?**

- რას ვიზამთ, ამ სეზონმა ასე მოიტანა.

**- სეზონის მეორე ნახევარი გერმანიის თასის მერვედფინალით იწყება, სადაც „ვერდერის“ მეორე გუნდს შეხვდებით. მერე კი მეორე წრის პირველი ტურია „შალკესთან“...**

- ოპტიმისტურად ვარ განწყობილი და მჯერა, რომ ორივე თამაშს მოვიგებთ. ისე, ეს ორი ტურნირი ერთმანეთისგან კარდინალურად განსხვავდება. გერმანიის თასს თავისი წესები აქვს, ბუნდესლიგას კი თავისი. თასზე თავიდანვე მაგრად უნდა ვითამაშოთ, რადგან ერთი შეცდომა და სახლში წახვალ. ბუნდესლიგაში კი შეცდომების გამოსწორება ყოველთვის შეიძლება. მაგრამ ჩვენ შეცდომების დაშვების უფლება აღარ გვაქვს. მეორე წრე აუცილებლად მოგებით უნდა დავიწყოთ.

**- ბოლოს და ბოლოს, გამოჯანმრთელდა ილდირაი ბაშთურქი?**

- ილი უკვე ძალიან კარგ ფორმაშია. ის უმაღლესი კლასის ოსტატია და თუ ეს „შტუტგარტში“ ჯერ ვერ დაამტკიცა, მხოლოდ და მხოლოდ იმის ბრალია, რომ ტრავმები ჰქონდა. საერთოდ, ბაშთურქი ძალიან იოლად იღებს ტრავმებს. ასე რომ არ იყოს, მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი იქნებოდა. როცა ის ჯანმრთელად და კარგ ფორმაშია, ბუნდესლიგაში ერთ-ერთი საუკეთესო გამთამაშებელია. ჩემთვის, როგორც თავდამსხმელისთვის ორმაგად მნიშვნელოვანია ის, რომ ბაშთურქი კარგ ფორმაში იყოს, რადგან იმისათვის, რომ გოლი გავიტანო, კარგი პასები მჭირდება.

**- როგორ ფიქრობთ, შეუძლია ბაშთურქს იყოს „შტუტგარტისთვის“ იგივე, რაც დიეგოა „ვერდერისთვის“ ან ვან დერ ვაარტი „ჰამბურგისთვის“?**

- ილი არცერთ მათგანს არ ჩამოუვარდება, როცა ის კარგ ფორმაშია.

**- ჰერ გომეს, წაგებული მატჩების შემდეგ თქვენ ყველაზე მეტს ნერვიულობთ ხოლმე...**

- არ არსებობს ფეხბურთელი, რომელსაც წაგება სიამოვნებს, მაგრამ მე მარცხს განსაკუთრებით განვიცდი ხოლმე. საფინალო სასტვენის შემდეგ, თუ წავაგეთ, არაფერი აღარ მინდა, გარდა დაძინებისა. მეორე დღეს კი ისევ ჩვეულებრივად ვარ, ძილი მარცხის დავიწყების საუკეთესო საშუალებაა. ჩვენ ახლა ძალიან მნიშვნელოვანი სეზონი გვაქვს – გვინდა, დავამტკიცოთ, რომ ჩვენი ჩემპიონობა იღბალზე მეტი იყო და ამიტომ, ყოველი მატჩი ძალიან მნიშვნელოვანია. შესაბამისად, როცა ვაგებთ, ძალიან ვნერვიულობ.

**- „შტუტგარტის“ ჩემპიონობა მართლაც ძალიან მოულოდნელი იყო. მაგრამ ეს თქვენთვის არ უნდა იყოს უკანასკნელი ტიტული მანამ, სანამ „შტუტგარტში“ თამაშობთ...**

- რა თქმა უნდა, ძალიან მინდა, რომ VFB-სთან ერთად კიდევ არაერთი ტიტული მოვიგო. ეს ჩემი მიზანია – ერთი ტიტული საკმარისი არ არის.

**- თემა ტალანტები: „ბაიერნს“ ტონი კროოსი ჰყავს, რომელიც ამომავალ ვარსკვლავადაა მიჩნეული, „შტუტგარტს“ კი მანუელ ფიშერი, რომელსაც ასევე დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. ამ ფეხბურთელზე რას იტყოდით?**

- ფიშერს უდიდესი პოტენციალი აქვს. დარწმუნებული ვარ, რომ მას შესანიშნავი კარიერა ექნება.

**- წინ ევროპის ჩემპიონატია და თქვენ გერმანიის ნაკრების თავდასხმაში მეორე ადგილისთვის იბრძვით. ჯერაც არაა გარკვეული, თუ ვინ იქნება მიროსლავ კლოზეს მეწყვილე...**

- ძალიან მინდა, რომ კლოზეს მეწყვილე ვიყო. ცხადია, მხოლოდ განაცხადში მოხვედრა არ დამაკმაყოფილებს. მაგრამ მე სიტყვით არაფერს ვითხოვ – მაქსიმალურად შევეცდები, რომ ბუნდესგუნდის ძირითად შემადგენლობაში ადგილი საქმით დავიმსახურო. ვეცდები, მეორე წრეში არაერთი გოლი გავიტანო, რათა მწვრთნელმა ნდობა გამომიცხადოს და ევროპის ჩემპიონატზე მათამაშოს. ვიცი, რომ ამ წლის პირველი ნახევარი ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

**- ყველა ამბობს, რომ გერმანია ძალიან იოლ ჯგუფში მოხვდა...**

- ჰო, ახლა ყველა ერთსა და იგივეს იმეორებს, გერმანია უკვე მეოთხედფინალშიაო და ასეთი მიდგომა ძალიან საშიში და უმეტეს შემთხვევებში დამღუპველია. ასე რომ, ყურადღებით უნდა ვიყოთ. თუკი საქმეს სიფრთხილით მოვეკიდებით, ჩვენ გვაქვს არა მარტო იმის პოტენციალი, რომ ჯგუფიდან გავიდეთ, არამედ იმისიც, რომ ევროპის ჩემპიონები გავხდეთ.

**- როგორ გგონიათ, რომელი გუნდები გავლენ სიკვდილის ჯგუფიდან? თქვენმა თანაგუნდელმა, რუმინელმა ჩიპრიან მარიკამ განაცხადა, ჩვენ მეოთხედფინალში აუცილებლად გავალთო...**

- მეც ვფიქრობ, რომ რუმინეთს გაცილებით ძლიერი ნაკრები ჰყავს, ვიდრე ეს ზოგ-ზოგიერთებს ჰგონიათ. არ გამოვრიცხავ, რომ რუმინეთის ნაკრები ევროპის ჩემპიონატის აღმოჩენა გახდეს. ყოველ შემთხვევაში, მათ ამის პოტენციალი ნამდვილად აქვთ. ჩემთვის ნამდვილად არ იქნება სენსაცია ის, რომ რუმინეთი სიკვდილის ჯგუფიდან გავიდეს. ასეთ შემთხვევაში რუმინელები ტურნირის ორ ფავორიტს ჯგუფში ჩატოვებენ. არა მგონია, რომ იტალიამ ჯგუფიდან გასვლა ვერ მოახერხოს. ჩემი აზრით, ჯგუფში ჩარჩენის სერიოზული საფრთხე საფრანგეთსა და ჰოლანდიას ემუქრებათ.

**- ესპანეთის სოფელ ალბუნანში, საიდანაც თქვენი ოჯახი მოდის, ერთ-ერთ ქუჩას თქვენი სახელი უნდა ერქვას. უკვე იცით, რომელი ქუჩა იქნება მარიო გომესის სახელობის?**

- არა, ჯერ არ ვიცი. ბაბუაჩემს უნდა, რომ ჩემი სახელი იმ ქუჩას ერქვას, სადაც ის ცხოვრობს, სადაც ჩვენი სახლია.

**- 22 წლის ხართ და უკვე იარსებებს ქუჩა, რომელსაც თქვენი სახელი ერქმევა. არც ისე ცუდია...**

- (იცინის) ჰო, რაც მეტ ქუჩას დაარქმევენ ჩემს სახელს, მით უკეთესი.

**- ცნობილია, რომ ჩოგბურთი ძალიან გიყვართ. ვის ქომაგობთ? ალბათ რაფაელ ნადალს...**

- რა თქმა უნდა. სხვათა შორის, ჩოგბურთს ძალიან კარგად ვთამაშობ და ნადალისეული სტილი მიზიდავს. რომ არა ფეხბურთელი, აუცილებლად ჩოგბურთელი გავხდებოდი.

**- ჟურნალისტი რომ იყოთ, ვის ჩამოართმევდით ინტერვიუს?**

- დიდი სიამოვნებით ვკითხავდი მაიკლ ჯექსონს, რატომ შეიცვალა ბოლო 20 წელიწადში ასე ძალიან. მაგრამ ჟურნალისტი არ ვარ და ალბათ არც არასდროს ვიქნები...

**გოტფრიდ ლენცი**

ინგლისის ლიგის თასი. ნახევარფინალი. განმეორებითი მატჩი

# არსენალი მინასთან გაასწორეს

## მამლებმა ცხრაწლიანი მოუგებელი სერია შეწყვიტეს, რამოსი ინგლისის სათასო ტურნირებზე გადაერთო...

**ტოტენჰემი–არსენალი 5:1 (1:1)**

ტოტენჰემი: ჩერნი, შიმბონდა, დოსონი, კინგი, ლი, ჯენასი, ლენონი (74. ჰადლსტონი), მალბრანკი, ტაინიო, ბერბატოვი (64. დეფო), რობი კინი (64. ბოატენგი).

არსენალი: ფაბიანსკი, გალასი, ჰოიტი, სანია, ტრაორე (65. ედუარდო), ჟილბერტო, დენილსონი (18. ფაბრეგასი), დიაბი, გლები, ბენდტნერი, უოლკოტი (65. ადებაიორი).

გოლები: 1:0 ჯენასი (3), 2:0 ბენდტნერი (27-საკ.კარში), 3:0 რობი კინი (48), 4:0 ლენონი (60), 4:1 აბედაიორი (70), 5:1 მალბრანკი (90).

გაფრთხილება: 2-2; დარტყმა: 11(6)-14(8); ჯარიმა: 10-10; კუთხური: 3-8; ბურთის ფლობა: 48%-52%.

მაყურებელი: 35 979

"ტოტენჰემი" ლიგის თასის ფინალშია. მან "არსენალთან" 9-წლიანი მოუგებელი სერია შეწყვიტა. "მამლები" "მეთოფეებს" 21 თამაშის განმავლობაში ვერ ამარცხებდნენ. მათი უკანასკნელი წარმატება 1999 წლის 7 ნოემბრით იყო დათარიღებული. რვაწლინახევრის წინ "ტოტენჰემმა" "უაით ჰართ ლეინზე" გაიმარჯვა. მან მეტოქე გუშინწინაც მშობლიურ არენაზე გაანადგურა. **ხუანდე რამოსი** სიხარულს ვერ მალავდა: *"უემბლიზე" თამაში დიდი პატივია. ვულოცავ გულშემატკივრებს. დიდი ხანია, მათ გუნდს ფინალში არ უთამაშია. ვიცი, ამ დღეს როგორ ელოდნენ."* "ტოტენჰემის" ფანები თამაშის დასრულებიდან ერთი საათის განმავლობაში სტადიონიდან ფეხს არ იცვლიდნენ. ისინი ხმის ჩახლეჩვამდე მღეროდნენ და ცეკვავდნენ. "მამლებმა" თანაქალაქელი უფრო დიდი ანგარიშით შორეული 1983 წლის 4 აპრილს დაამარცხეს. მათ მაშინაც ხუთი გოლი გაიტანეს, ოღონდ უპასუხოდ.

"არსენალისათვის" ყოველმხრივ უიღბლო საღამო გამოვიდა. "მეთოფეების" თავდამსხმელებმა - **ნიკლას ბენდტნერმა და ემანუელ ადებაიორმა** ერთმანეთს მინდორზე დააყარეს. ძიძგილაობისას ტოგოელმა დანიელ თანაგუნდელს სახეში თავი უთავაზა. ბენდტნერი არ დაშავებულა, მაგრამ ეს ყველაფერი გულისამრევი სანახავი იყო. ისინი თანაგუნდელებმა და მთავარმა მსაჯმა **ჰოვარდ ვებმა** დააშოშმინეს. ინგლისის საფეხბურთო ასოციაცია ინციდენტს აუცილებლად დაუბრუნდება და დამნაშავეს დასჯის. სამშაბათ საღამოს ბენდტნერმა ავტოგოლი გაიტანა, ადებაიორი თამაშში 65-ე წუთზე ჩაერთო და ხუთ წუთში ერთი ბურთი გაქვითა. მისი გოლისას ანგარიში უკვე 0:4 იყო. ამიტომ ადებაიორის შედეგიან თამაშს (ეს მისი მეშვიდე გოლი იყო "ტოტენჰემის" კარში 2006 წლის იანვრის შემდეგ, როცა ის "არსენალში" ჩაირიცხა) პრაქტიკული მნიშვნელობა არ ჰქონია.

ნამატჩევს **არსენ ვენგერს** ადებაიორისა და ბენდტნერის ინციდენტზე ჰკითხეს. ნირწამხდარმა მწვრთნელმა პასუხს თავი აარიდა, არაფერი დამინახავსო. "არსენალის" კაპიტანმა **ვილიამ გალასმა** ასეთი კომენტარი გააკეთა: *"ზუსტად ვერ გეტყვით, რა მოხდა, მაგრამ რაც ამას მოჰყვა, სამწუხაროა. ისინი ცუდად მოიქცნენ. მგონი, ამას თვითონაც კარგად ხვდებიან. მომხდარი მხოლოდ იმით შეიძლება გავამართლოთ, რომ ისინი ახალგაზრდები არიან და ემოციებს აჰყვნენ. ჩვენ ყველა ავყევით ემოციებს."* შედეგი სავალალო გამოდგა - 2:6 ორი მატჩის ჯამში. ვენგერმა გული არ გაიტეხა და ჟურნალისტებთან შეხვედრისას განაცხადა: *"ბევრი ამოცანა გვაქვს გადასაჭრელი. ლიგის თასი ჩვენი პრიორიტეტი არ იყო. დღეს გამოჩნდა, რომ ზოგიერთი მოთამაშე მოუმზადებელია, თუმცა მათ დიდი პოტენციალი გააჩნიათ. ანგარიში ძალიან ულმობელია, მაგრამ ის არ ასახავს იმას, რაც მინდორზე ვნახე."*

ხუანდე რამოსი ინგლისშიც ამტკიცებს, რომ სათასო ტურნირები მისი სპეციალობაა. "არსენალთან" თამაშის შემდეგ, ჰკითხეს, თუ გახსოვთ, თასზე უკანასკნელად როდის წააგეთო. რამოსმა მაშინვე უპასუხა: *"დიახ, ორი წლის წინ კადისთან!"* ამ მარცხის მიუხედავად, სენიორ ხუანდეს სათასო მონაგარი შესაშურია: ბოლო ორი წლის განმავლობაში მას ორჯერ მოიპოვა უეფას თასი, ევროპის სუპერთასი, ესპანეთის სამეფო თასი და ესპანეთის სუპერთასი. ყველა ამ ჯილდომ რამოსის ყოფილი კლუბის, "სევილიის" მუზეუმში დაიდო ბინა. ახლა ჯერი "ტოტენჰემზეა". "მამლებს" ინგლისის ლიგის თასისაგან და უეფას თასისავტომატური საგზურისაგან ერთი ნაბიჯილა აშორებთ. მათი მეტოქე წუზე, ჩელსისა და ევერტონის განმეორებით შეხვედრაში უნდა გარკვეულიყო.




ჯერმეინ ჯენასის ამ გოლს ტოტენჰემმა კიდევ ოთხი მიაყოლა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯორჯ ბარლი შოტლანდიელთა დამრიგებელი ხდება

შოტლანდიის ნაკრები

# ბარლი 24 საათში

შოტლანდიის საფეხბურთო ასოციაციამ ნაკრების მთავარი მწვრთნელი შეარჩია. უახლოეს 24 საათში ვაკანტურ პოსტზე **ჯორჯ ბარლი** დაინიშნება. 51 წლის სპეციალისტი "საუთჰემპტონს" დატოვებს და სამშობლოში დაბრუნდება. "წმინდანებთან" მოლაპარაკება უკვე მიმდინარეობს. უახლოეს საათებში ცნობილი გახდება, რა თანხის გადახდა მოუწევთ შოტლანდიელებს მწვრთნელის გამოსასყიდად. ჯორჯ ბარლი "საუთჰემპტონში" 2005 წლიდან ასპარეზობს. უფრო ადრე, 2003-05 წლებში ის "დერბიში" მოღვაწეობდა. ბარლის სამწვრთნელო კარიერის უმეტესი ნაწილი მეორეხარისხოვან კლუბებში აქვს გატარებული. ეროვნული გუნდი მისი ყველაზე სერიოზული სამსახური იქნება.

ბარლი ერთ-ერთი იყო იმ რამდენიმე კანდიდატიდან, ვისაც შოტლანდიელები გაესაუბრნენ. ნაკრების გაძღოლაზე პრეტენზიას აცხადებდა "მოზერველის" თავკაცი **მარკ მაკგიც**. ბარლისთან გასაფორმებელი კონტრაქტის დეტალები არ გახმაურებულა. საფეხბურთო ასოციაციაში დარწმუნებულები არიან, რომ საუკეთესო გადაწყვეტილება მიიღეს და რომ ბარლი **უოლტერ სმიტისა და ალექს მაკლიშის** მიერ დაწყებულ საქმეს ღირსეულად გააგრძელებს.

მანჩესტერ სიტი. ტრანსფერები

# პოდოლსკი ექვსი თვით?

## ჰიონესს ფეხბურთელის დახმარება უნდა, რუმენიგე ტრანსფერს კატეგორიულად უარყოფს, სევილიას ლუის ფაბიანოს სანაცვლოდ 7 მილიონს შესთავაზებენო...

**ლუკას პოდოლსკი**, შეიძლება, "მანჩესტერ სიტიში" გადავიდეს. "ბაიერნის" გენერალურმა მენეჯერმა **ული ჰიონესმა** არ გამორიცხა, ფეხბურთელი ნახევარწლიანი იჯარით სხვა კლუბს გადაულოცონ. აი, რა განუცხადა ჰიონესმა "კიკერს": *"ყველა ვარიანტი უნდა განვიხილოთ. ალარ ვიცი, რა ვილონო. მინდა, ლუკასმა ევროპის ჩემპიონატზე ითამაშოს. თუ მას იჯარით გავუშვებთ და მომდევნო ექვსი თვის განმავლობაში რეგულარულად ითამაშებს, მიზანი მიღწეული იქნება. ასეთ შემთხვევაში, ნაკრებში მოხვედრა ალარ გაუჭირდება. 1 ივლისს კი ჩვეულებრივ "ბაიერნის" ბაზაზე გამოაცხადდება და ჩვენთან ერთად შეუდგება ახალი სეზონისათვის მზადებს."* მიუნხენურ გიგანტში უმძაფრესი კონკურენციაა. **ოტმარ ჰიტცფელდი** შეტევაში **ლუკა ტონისა და მიროსლავ კლოზეს** ათამაშებს. პრინც პოლდის კი გამუდმებით სკამზე უწევს ჯდომა. ჰიონესი ამბობს, რომ პოდოლსკის გაყიდვა საერთოდ არ დგას დღის წესრიგში, რადგან "ბაიერნის" დონის გუნდს მინიმუმ ოთხი მაღალი კლასის თავდამსხმელი სჭირდება.

22 წლის ფორვარდის აყვანა "მანჩესტერ სიტის" სურს. **სვენ გორან ერიქსონი** რამდენიმე კვირაა, პოდოლსკის ტრანსფერზე საუბრობს. გერმანული სააგენტოების ცნობით, მწვრთნელი ლუკასს ტელეფონითაც შეეხმიანა. მხარეებმა შესაძლო თანამშრომლობაზე იმსჯელეს. ამ ინფორმაციას ჯერჯერობით არცერთი მხარე არ ადასტურებს. რამდენიმე დღის წინ მიუნხენელთა ვიცე-პრეზიდენტმა **კარლ-ჰაინც რუმენიგემ** განაცხადა, რომ პოდოლსკი "ბაიერნში" დარჩება: *"მას ვესაუბრე და განვუმარტე, რომ ტრანსფერი შეუძლებელია. ჩვენ ის გვჭირდება. ლუკასის პოტენციალში ეჭვი არ გვეპარება და მოუთმენლად ველოდებით მის თამაშს."* პოდოლსკი "ბაიერნში" 2006 წლის ზაფხულში "კიოლნიდან" გადავიდა. მან ოთხწლიან კონტრაქტზე მოაწერა ხელი, თუმცა განვლილ წელიწადნახევარში მას გამუდმებით ძირითადში მოსახვედრად უწევდა ბრძოლა. ლუკასის საკითხი ჰაერშია გამოკიდებული. სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე კი სულ უფრო ცოტა დრო რჩება.

"მანჩესტერ სიტის" თემას სხვა ამბებით გავაგრძელებთ. კლუბი, სადაცაა, ახალ კონტრაქტს გაუფორმებს ახალგაზრდა მცველ **მიკა რიჩარდსს**. ინგლისის ნაკრების 19 წლის ფეხბურთელმა "მანჩესტერ იუნაიტედის", "არსენალის", "ჩელსის", "ნიუკასლისა" და "ტოტენჰემის" ყურადღება მიიპყრო. "სიტის" დრო ალარ დაუკარგავს. მან ფეხბურთელს ოთხწლიანი კონტრაქტი და კვირაში 50 ათასი გირვანქა შესთავაზა. მოლაპარაკებებისას "სიტის" ხელმძღვანელობამ იმედი გამოთქვა, რომ რიჩარდსი უფრო მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდება საკუთარ საქციელს მინდორს მიღმა. ბოლო დროს მიკამ რამდენიმე სკანდალში გაჰყო თავი. ცოტა ხნის წინ "სანმა" მობილური ტელეფონით გადაღებული ვიდეომასალა გამოაქვეყნა. მასზე რიჩარდსი და "სიტის" სარეზერვო გუნდის უცნობი ფეხბურთელი მეძავთან სიამტკბილობისას არიან აღბეჭდილნი. ამ შემთხვევამ მიკას რეპუტაციაზე უარყოფითად იმოქმედა. მანჩესტერულ გუნდს ნამდვილად არ სურს, მისი ფეხბურთელები მსგავსი სკანდალებით იქცევდნენ საზოგადოების ყურადღებას.

და კიდევ, სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე ერთი კვირით ადრე "სიტიმ" "სევილიასთან" გარიგება განიზრახა. რადიოსადგური "მარკა" იუწყება, რომ ერიქსონს თავდამსხმელ **ლუიშ ფაბიანოს** სანაცვლოდ 7 მილიონი გირვანქა აქვს გამზადებული. იმავე ინფორმაციაში ვკითხულობთ, რომ ფაბიანოს აგენტი **ხოსე ფუენტესი** მოლაპარაკებების გასამართავად ინგლისში იმყოფებოდა. მოსალოდნელი გარიგების დეტალები უცნობია. მხარეებს ოფიციალური კომენტარები არ გაუკეთებიათ.



ლუკას პოდოლსკი: მორიგი გაჩერება მანჩესტერი?

## ინიესტა 2014 წლამდე, დროგბა?

პოპულარული ესპანური ტაბლოიდი "ასი" იუწყება, რომ "ბარსელონას" **დიდიე დროგბას** შეძენა სურს. კატალონიელები მზად არიან, კოტდივუარელ თავდამსხმელში დიდძალი ფული გადაიხადონო, წერს გამოცემა. "ჩელსისთან" მოლაპარაკებებს სპორტული დირექტორი **ჩიკი ბეგირისტაინი** გაუძღვება. მან იცის, რომ დროგბას შეძენა ძნელი იქნება. უცნობია, სურთ თუ არა "არისტოკრატებს" ფეხბურთელის გაშვება. თუ ლონდონელები ტრანსფერს დათანხმდებიან, "ბარსელონას" "რეალის", "მილანისა" და "ბაიერნის" გზიდან ჩამოშორება მოუწევს. დროგბას ეს კლუბებიც სიამოვნებით გაუფორმებდნენ კონტრაქტს.

ამასობაში, "ბარსა" **ანდრეს ინიესტას** ახალი ხელშეკრულების პირობებზე მოურიგდა. 23 ფეხბურთელი "კამპ ნოუზე" 2014 წლამდე დარჩება. მისი დღევანდელი კონტრაქტი 2010 წელს იწურებოდა, მაგრამ დირექტორებმა საშუროდ მიიჩნიეს ვადის გაგრძელება. ინიესტას ადრინდელზე უკეთეს ხელფასსაც გადაუხდიან. ახალი ანდრესი 12 წლიდან "ბარსელონაში" ირიცხება. ახალი კონტრაქტი იმას ნიშნავს, რომ ფეხბურთელი კარიერას, ფაქტობრივად, მშობლიურ კლუბში დაასრულებს.

## ინგლისელებს არშავინი ექვირებათ

"ზენიტისა" და რუსეთის ნაკრების ნახევარმცველ **ანდრეი არშავინს** ინგლისში ეპატიჟებიან. მისი შეძენა "ტოტენჰემსა" და "ევერტონს" სურთ. ცოტა ხნის წინ პეტერბურგელებმა ნისლიან ალბიონზე სლოვაკი მცველი **მარტინ შკრტელი** გაყიდეს. ის 5 მილიონ დოლარად "ლივერპულში" გადავიდა. არშავინს 8 მილიონად აფასებენ, მაგრამ არც "ტოტენჰემს" და არც "ევერტონს" არ სურთ ფეხბურთელისათვის წლიურად 2 მილიონი დოლარის გადახდა. არადა, ანდრეი "ზენიტში" სწორედ ამდენს იღებს. არშავინს ევროპაში არაფრით გამოუჩენია თავი. ამიტომ მისთვის სოლიდური ანაზღაურების დანიშვნას არავინ აპირებს. ამბობენ, რომ "სევილიამ" **ალექსანდრ კერჟაკოვს** "ზენიტზე" დაბალი ხელფასი დაუნიშნა, მაგრამ ფეხბურთელმა ესპანეთზე მაინც არ თქვა უარი.

## რიისე ნიუკასლში?

**კევინ კიგანს** სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე რამდენიმე ფეხბურთელის შეძენა სურს. ერთ-ერთი "ლივერპულის" განაპირა მცველი **ჯონ არნე რიისეა**. "მირორის" ცნობით, ჯორდები 6.5 მილიონ გირვანქას ამზადებენ. ნორვეგიელი ვარსკვლავი "ენფილდზე" 2001 წელს "მონაკოდან" გადავიდა. მან მერესაიდელთა შემადგენლობაში 329 მატჩი ჩაატარა და 31 გოლი შეაგდო. შვიდი წლის წინ "ლივერპულმა" პრინსიპატელებს ფეხბურთელის სანაცვლოდ 4.6 მილიონი გირვანქა გადაუხადა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



როლანდო ბიანკი

ტრანსფერი

# ბიანკი ლაციოში მოეწყო

## ძაკარდოც რომს უახლოვდება

**რონალდო ბიანკიმ** ნატვრა აისრულა, სამშობლოში დაბრუნდა და "ლაციოს" ფეხბურთელი გახდა. 24 წლის ფორვარდი ნახევარი წლის განმავლობაში წვალობდა "მანჩესტერ სიტიში", სადაც **სვენ გორან ერიქსონმა** დიდი იმედით უხმო, მაგრამ ბიანკიმ ვერ გაიბრწყინა ისე, როგორც შარშან, "რეჯინაში". შვედი მას სულ უფრო და უფრო ნაკლებად ენდობოდა, ფეხბურთელი კი ალბიონზე სკამის სახეხად არ წასულა.

ბიანკის დაბრუნებაზე საუბრები ჯერ კიდევ გასული წლის ნოემბერში დაიწყო, მაგრამ მაშინ "ლაციო" არავის უხსენებია. იყო "რომას", "იუვენტუსისა" და "პალერმოს" ვარიანტები, სულ რამდენიმე დღის წინ კი თითქმის გადაწყვეტილი იყო, რომ ფორვარდი "ტორინოს" საკუთრება გახდებოდა. თუმცა ამ ეტაპზე "ბიანკოჩელესტემ" იყოჩაღა, უფრო სწორად, კლუბის პრეზიდენტმა **კლაუდიო ლოტიტომ**, რომელმაც "სიტის" უკეთესი პირობები შესთავაზა.

ბიანკის აგენტ **ტულიო ტინტისა** და კლუბებს შორის მოლაპარაკებები რომში მიმდინარეობდა. მხარეები ნახევარწლიან საიჯარო ხელშეკრულებას განიხილავდნენ. მაგრამ ლოტიტომ ტრანსფერის სრულად გამოსყიდვა გადაწყვიტა და ამაში 10 მილიონი გირვანქა არ დაიშურა. მიუხედავად იმისა, რომ ფეხბურთელი პრაქტიკულად ვერაფერში გამოიყენა, "მანჩესტერ სიტი" ნაგებაში მაინც არ რჩება, თუ გავიხსენებთ, რომ გასულ ზაფხულს მან ფორვარდი 8.8 მილიონ გირვანქად იყიდა. სექტემბრიდან მოყოლებული, ფეხბურთელმა 15 მატჩში მიიღო მონაწილეობა და უმეტესწილად შემცვლელის რანგში.

გუშინ ბიანკიმ სამედიცინო შემოწმებაც გაიარა. "ლაციო" ფეხბურთელს ამ დღეებში წარადგენს. მოსალოდნელია, რომ დებიუტი შედგება კვირას და, ბედის ირონიით, იმ "ტორინოს" წინააღმდეგ, სადაც ბიანკი რამდენიმე დღის წინ აპირებდა გადასვლას.

ამასობაში, ვრცელდება ინფორმაცია, რომ სადაცაა, ბიანკის "ლაციოში" მცველი **კრისტიან ძაკარდოც** შეუერთდება. "პალერმოს" პრეზიდენტი **მაურიციო ძამპარინი** დიდხანს იკავებდა თავს, მაგრამ ბოლოს იძულებული გახდა, მსოფლიო ჩემპიონისთვის მწვანე შუქი აენთო. იტალიის ნაკრებში მას 17 მატჩი აქვს ჩატარებული. გაგახსენებთ გერმანიის მუნდიალზე მის კომიკურ ავტოგოლს აშშ-სთან მატჩში. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ძაკარდოს კვალიფიკაციას ვაკნინებთ, პირიქით, "ლაციოს" ის ძალიან გამოადგება, ტრავმირებული ცენტრალური მცველების გადამკიდე...

დორტმუნდი. ტრანსფერი

# გადაწყდა: ჰაინალი ბორუსიაში

## იაშვილის თანაგუნდელი დორტმუნდს ზაფხულიდან მიაშურებს. BVB-ს ბადეც უნდა...

„კარლსრუეს" უნგრელმა გამთამაშებელმა **ტამაშ ჰაინალმა** მიმდინარე სეზონის პირველი წრე იმდენად კარგად ჩაატარა, რომ ცხადი იყო, მას ბადენურ კლუბში არავინ გააჩერებდა. ჰაინალი **ალექსანდრე იაშვილის** გუნდში ზაფხულში „კაიზერსლაუტერნიდან" გადავიდა და ახალ გუნდს იდეალურად შეეწყო. ის, რომ KSC-მ პირველი წრე მე-6 ადგილზე დაასრულა, რასაც ბადენური კლუბის ყველაზე ოპტიმისტი ფანიც ვერ წარმოიდგენდა, მეტწილად სწორედ 26 წლის ტანდაბალი ფლეიმეიქერის დამსახურებაა.

ადრეც გაცნობეთ, რომ მისით დორტმუნდის „ბორუსია" იყო დაინტერესებული. მართალია, BVB-მ პირველ წრეში სატურნირო ცხრილში „კარლსრუეზე" დაბალი ადგილი დაიკავა, მაგრამ განა ვინმე დაიწყებს იმის მტკიცებას, რომ „ბორუსიას" სენსაციური, მაგრამ მოკრძალებული „კარლსრუე" სჯობია? მოკლედ, ტრანსფერი გადაწყვეტილია. გუშინ იაშვილის გუნდის მენეჯერმა **როლფ დომენმა** „დოიჩე პრესე აგენტურს" დაუდასტურა, რომ მიმდინარე სეზონის დასრულების შემდეგ უნგრელი ვარსკვლავი „დორტმუნდში" გადაბარგდება.

*„ძალიან სამწუხაროა, რომ ტამაში დაგვტოვებს. ის გუნდის ლიდერად და „კარლსრუეს" ფანების უსაყვარლეს ფეხბურთელად ჩამოყალიბდა. მაგრამ ჩვენ ისიც ვიცით, რომ დორტმუნდის „ბორუსიის" დარ გუნდს ამ მხრივ კონკურენციას ვერ გავუწევთ. ჰაინალი ჩვენთვის ლამაზი ზღაპარია, მაგრამ მას „კარლსრუეში" დარჩენას ვერ დავაძალებთ. გადაწყვეტილია, რომ ზაფხულში ჰაინალი BVB-ს მიაშურებს,"* – განაცხადა დომენმა.

ტრანსფერი „კარლსრუეს" მთავარმა მწვრთნელმა **ედმუნდ ბეკერმაც** დაადასტურა. ჰაინალს ბადენელებთან კონტრაქტი 2010 წლამდე აკავშირებს, მაგრამ მის ხელშეკრულებაში ჩადებულია პუნქტი, რომლის მიხედვითაც, 2008 წლის ზაფხულში უნგრელ ნახევარმცველს KSC-ს დატოვება 1.3 მილიონი ევროს სანაცვლოდ შეუძლია. შესაბამისად, ზაფხულში „ბორუსიის" შეფები „კარლსრუეს" სწორედ ამდენს გადაუხდიან.

ტამაშ ჰაინალმა ბუნდესლიგის პირველ წრეში 5 გოლი გაიტანა და 6 საგოლე პასი გააკეთა. „კიკერის" შეფასებების მიხედვით ის გერმანიის პირველობის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია.

ჰაინალი სამომავლო პერსპექტივაა. ზამთრის სატრანსფერო პერიოდში კი, ვესტფალიელებს თავისი ამბიციები ჯერ არ ამოუწურიათ. „დორტმუნდის" თავკაც **თომას დოლს** მეკარის შეძენა უნდა. მას მერე, რაც **რომან ვაიდენფელერმა** ოპერაცია გაიკეთა, ხოლო **იენს ლემანმა** კი „ბორუსიაში" გადასვლაზე უარი განაცხადა, „ბორუსიის" შეფებმა თქვეს, მეორე წრეში გუნდის კარს სათადარიგო **მარკ ციგლერი** დაიცავსო. ამ მხრივ არაფერი შეცვლილა – დოლმა ციგლერს ნდობა გამოუცხადა, მაგრამ მას უნდა, რომ შეიძინოს ერთი მეკარე, რომელიც ციგლერის შემცვლელი იქნება. „კიკერის" ინფორმაციით, BVB-ს ხელმძღვანელებმა მეორე ბუნდესლიგის წარმომადგენლის, **დავით სირაძის** „პადერბორნის" კარის დარაჯ **ალექსანდერ ბადეს** დაადგეს თვალი. დიახ, ეს სწორედ ის ბადეა, რომელსაც ერთ დროს საქართველოს ნაკრებში უნდა ეთამაშა. ალექსანდერი ახლა 37 წლისაა.

*„ვიცი, რომ დორტმუნდში ჩემზე ფიქრობენ და მინდა ვთქვა, რომ „ბორუსიის" ინტერესი ჩემთვის უდიდესი პატივია. მაგრამ ფაქტია, რომ მოლაპარაკებები ჯერ არ დაწყებულა. თუ დაინტერესება სერიოზულია, პირველ რიგში კლუბები უნდა შეთანხმდნენ. მე არ ვარ ის ადამიანი, რომ „პადერბორნს" მიატოვებს და სხვაგან გაიქცევა. თუ კლუბები შეთანხმდებიან, მეც სერიოზულად დავფიქრდები. თომას დოლი სენსაციური მწვრთნელია და მას დიდ პატივს ვცემ, „ბორუსია" კი იდეალური კლუბი. კარიერის ასეთ გუნდში დასრულება ნებისმიერი ფეხბურთელისთვის შესანიშნავი რამაა,"* – აცხადებს 37 წლის მეკარე.

ალექსანდერ ბადეს თავის ხანგრძლივ კარიერაში ბუნდესლიგის ეგიდით 46, ხოლო მეორე ბუნდესლიგაში კი 129 თამაში აქვს ჩატარებული (კიოლნი, ურდინგენი, ბოხუმი, პადერბორნი).

**გოტფრიდ ლენცი**



ტამაშ ჰაინალი ზაფხულიდან დორტმუნდელი გახდება

ვალენსია

# ჟო, ალვეში თუ პისარო?

## კუმანს თავდასხმის გაძლიერება სურს...




კლაუდიო პისარო

**გასაჭირში** ჩავარდნილი "ვალენსიის" ხელმძღვანელობა შემადგენლობის გაძლიერებას ცდილობს. **ხუან ბაუტისტა სოლერმა** ამ მიზნით მოსკოვს ემისარი გააგზავნა. ის **ჟო ალვეშს** შეხვდა და "მესტალიაზე" თამაშზე დაითანხმა. ცსკა-ს თავდამსხმელი მზადაა, ხვალვე შეიცვალოს კლუბი და პრიმერა დივიზიონში ცადოს ბედი. ახლა მთავარია, "ვალენსიის" მესვეურები მოსკოვური კლუბის ხელმძღვანელებს მოელაპარაკონ. არაოფიციალური ინფორმაციით, რუსები სამხრეთამერიკელს 15 მილიონ ევროდ აფასებენ. გაზეთი "მარკა" გვაუწყებს, რომ გარიგება იანვრის ფანჯრის დახურვამდე უნდა მოესწროს. იქამდე ვალენსიელები შეეცდებიან, მოსკოვური კლუბი თანხის შემცირებაზე დაითანხმოს.

რა მოხდება, თუ ჟოს ტრანსფერი ჩაიშლება? ესპანური ტაბლოიდის ცნობით, "ლამურებს" სათადარიგო გეგმაც შემუშავებული აქვთ. ის ჩელსელი **კლაუდიო პისაროს** შეძენას ითვალისწინებს. 29 წლის პისარო ლონდონში გასულ ზაფხულს, "ბაიერნიდან" გადავიდა. "არისტოკრატებს" მის სანაცვლოდ ერთი ცენტიც კი არ გადაუხდიათ. პისარო ძვირი არ უნდა ღირდეს. მოსალოდნელ გარიგებასთან დაკავშირებით ოფიციალური კომენტარები არ გაკეთებულა.

ფულჰემი

# ლიტმანენი ინგლისში ბრუნდება

"ფულჰემის" თავკაცმა **როი ჰოჯსონმა იარი ლიტმანენი** სინჯებზე მიიწვია. 37 წლის ფეხბურთელს ეს-ესაა "მალმიოსთან" კონტრაქტი დაუმთავრდა. ლიტმანენი ამ კლუბში 2005 წელს ჩაირიცხა, მაგრამ ორი წლის განმავლობაში მხოლოდ 10 მატჩი ჩაატარა და 3 გოლი შეაგდო. ჰოჯსონი მასთან ხანმოკლე კონტრაქტის გაფორმებას აპირებს. მას "ფულჰემის" გადასარჩენად გამოცდილი ფეხბურთელები სჭირდება. ლიტმანენს კი გამოცდილება არ აკლია. იარი მონდომებით ვარჯიშობს, რათა ოპტიმალურ ფორმას მიუახლოვდეს და ლონდონში სეზონის ბოლომდე ისპარეზოს. ის პრემიერლიგაში 2001-02 წლებში ასპარეზობდა. ლიტმანენმა "ლივერპულის" შემადგენლობაში 26 მატჩი ჩაატარა და 5 გოლი შეაგდო. იარის კარიერის საუკეთესო წლები "აიაქსს" უკავშირდება. ის ამსტერდამულ გრანდში 1992-99 წლებში ასპარეზობდა და 1995 წელს ჩემპიონთა თასი მოიგო. 1999 წელს მან "ბარსელონას" მიაშურა, 2001 წლამდე დარჩა. ლიტმანენმა ეროვნულ ნაკრებში 110 მატჩი ჩაატარა და 28 გოლი შეაგდო. ის ფინეთის ყველაზე ცნობილი ფეხბურთელია.

ლიტმანენის გარდა, ჰოჯსონმა დანიის ნაკრების ნახევარმცველი **ლეონ ანდრეასენი** გადაიბირა. უცნობია, რა თანხა მიუთვალეს ბრემენის "ვერდერს". 24 წლის ანდრეასენმა სამწლინახევრიანი კონტრაქტი გააფორმა. ის "ვერდერში" 2005 წლიდან ირიცხებოდა, თუმცა შარშანდელი სეზონი იჯარით "მაინცში" გაატარა. გადაწყვეტილია "რეინჯერსის" ფრანგი თავდამსხმელის, **დანიელ კუზენის** ტრანსფერიც. არც ამ გარიგების ფინანსური დეტალები გახმაურებულა.



იარი ლიტმანენი

## ტამუდომ იდაყვი მოიტეხა

"ესპანიოლის" ტრავმირებულ ფეხბურთელთა სია კიდევ უფრო გაიზარდა. გუშინდელ ვარჯიშზე კატალონიური გრანდის ლიდერმა **რაულ ტამუდომ** იდაყვის ძვალი მოიტეხა. "ესპანიოლის" ექიმები შიშობენ, რომ წამყვანი ნახევარმცველის რეაბილიტაციას დიდი ხანი დასჭირდება. ჯერ-ჯერობით მათ კონკრეტული ვადის განსაზღვრა უჭირთ. გუშინ სალამოს გადაწყვიტეს, რომ ტამუდოს ოპერაცია გაუკეთონ. დღეს მას ბარსელონის ტრავმატოლოგიურ კლინიკაში მიიყვანენ და წამყვან ქირურგს ჩააბარებენ. საბრალო **ერნესტო ბალბერდეს** ესლა აკლდა. ტამუდოს გარდა "ბეტისთან" მატჩში მას ასევე ტრავმირებული **ლაფუენტე, რიერა, დე ლა პენია** და **კლემენტე როდრიგესი** ვერ დაეხმარებიან. ვერ ითამაშებენ **კამენი** და **დანიელ ხარკეც**. კამენი აფრიკის თასზე ასპარეზობს, ხარკეს კი საოჯახო უბედურება შეემთხვა და კლუბის ხელმძღვანელობამ გაათავისუფლა.

## ინტერს აგუერო 30 მილიონადაც უღირს

"ატლეტიკოს" თავდამსხმელ **სერხიო აგუეროს** ერთმანეთზე უკეთესი შეთავაზებები აქვს. მას "ინტერი", "იუვენტუსი", "ბაიერნი", "რეალი" და "ვალენსია" ეპატიჟებიან. ფეხბურთელი 30 მილიონი ევრო ღირს. "ატლეტიკო" აგუეროსთან ახალი კონტრაქტის გაფორმებას ცდილობს. მოქმედი ხელშეკრულება 2012 წელს იწურება. თანამშრომლობის გაგრძელების შემთხვევაში, ფასი კიდევ უფრო აიწევს. "როხიბლანკოს" არგენტინელის გაყიდვა არ სურს და ამ გზით ცდილობს კონკურენტების გზიდან ჩამოშორებას. "გაძეტა დელო სპორტის" ცნობით, "ინტერი" თანახმაა 30 მილიონი ეტაპობრივად გადაიხადოს. ოფიციალური კომენტარები არ გაკეთებულა.

## დონი ჯილარდინოში გაიცვლება

"მილანი" "რომასთან" გარიგებას აპირებს. "როსონერის" დედაქალაქელთა მეკარე **ალეშანდრე დონი** სჭირდება. "ჯალოროსი" კი მილანელთა თავდამსხმელ **ალბერტო ჯილარდინოთია** დაინტერესებული. იტალიელი მიმომხილველები ვარაუდობენ, რომ კლუბები ფეხბურთელებს გაცვლიან. ამბობენ იმასაც, რომ "რომაში" გადასვლის შემთხვევაში, ჯილარდინოს ხელფასის შემცირება მოუწევს. დღეს ის წლიურად 3 მილიონ ევროს იღებს. რომში კი მაქსიმალური ანაზღაურება 2.4 მილიონია. გამონაკლისი მხოლოდ ორ შემთხვევაშია დაშვებული: 2.4 მილიონზე მეტს ფრანჩესკო ტოტისა და დანიელე დე როსის უხდიან.

ინტერვიუ არიგო საკისთან

# როცა მსოფლიო ჩემპიონი ხდები, იძულებული ხარ, რეპუტაციას გაუფრთხილდე

## მანჩინი მოედანზევე მწვრთნელი იყო, კოსტაკურტა უკეთესი იქნება, თუ მოინდომა

ამ კაცის საუბარი ყოველთვის საინტერესოა. ის ორიგინალური რესპონდენტია იმ მხრივ, რომ სხვებისგან განსხვავებით, კრიტიკას არ ერიდება. არიგო საკისგან ბევრჯერ მოხვედრიათ მის კოლეგა-მეგობრებსაც. განსაკუთრებულია საკის დამოკიდებულება ფაბიო კაპელოსთან. ამ თემას ის ეხება ინტერვიუშიც, რომელიც "ილ ტემპოში" დაიბეჭდა და აქვე გთავაზობთ...

**- საკი, რას აკეთებთ ახლა?**

- ვაკეთებ... ფეხბურთს (იცინის). ვცდილობთ, პრესაში ამ თემაზე გარკვეული ამინდი შევქმნა, ვთანამშრომლობ გაზეთებთან, ტელეარხებთან... მოკლედ, მშვენივრად ვარ. სხვათა შორის, ამასწინათ, "რადიო რომადან" დამირეკეს და ექსპერტის საქმე შემომთავაზეს. ესეც ახალი გამოწვევაა და უნდა გამოგიტყდეთ, იდეას ენთუზიაზმით შევხვდი. ჩემი აზრით, რადიოს როლი ნელნელა იზრდება და ის მალე დაჩრდილავს ტელევიზიას. მაგალითად, ხანდახან ტელევიზორის ჩართვა არც მინდა, ჩავჯდები სავარძელში და ვუსმენ რადიოს... ძირითადად, მუსიკას, მაგრამ სხვა გადაცემებიც მაინტერესებს. ტელევიზიიდან ბევრი ყვირილი და ლანძღა-გინება მესმის. აღარ მინდა!

**- ხომ არ მოხუცდით?**

- (იცინის). არა, არა მგონია. დილაობით ძველებურად ვვარჯიშობ და დავრბივარ ჩემს ძაღლთან ერთად. როგორც გახსოვთ, რამდენიმე წლის წინ გულმა შემომიტია, მაგრამ არ დავნებდი...

**- ისე საუბრობთ, თითქოს სადაცაა მუშაობას განაახლებთ. ძნელი დასაჯერებელია, რომ საკის მწვრთნელობა მობეზრდა...**

- გარწმუნებთ, მსგავსს არაფერს ვაპირებ. უბრალოდ, სტრესს ვერიდები. ფეხბურთელისთვის დგება დღე, როცა ბუცები ლურსმანზე უნდა ჩამოკიდოს, ასევეა მწვრთნელისთვისაც.

**- ლიპის შემთხვევაშიც ასეა? მას ძალიან დიდი პაუზა გამოუვიდა...**

- ეს ცოტა სხვა შემთხვევაა. მარჩელოს შეეძლო მუშაობის დაწყება, მაგრამ ბოლო მომენტში ფეხს ითრევდა. მე ვესაუბრე მას... იცით, მან ფეხბურთში ყველაფერი მოიგო. ლიპის კარიერის გვირგვინი მსოფლიო ჩემპიონობა იყო, რითიც ის საბოლოოდ და გვარიანად დანაყრდა. მეჩვენება, რომ მოტივაცია დაკარგული აქვს. ნებისმიერ შემთხვევაში, სადაც არ უნდა დაეწყო მუშაობა, მას ამ გზის გავლა თავიდან მოუწევდა. ადამიანურად, კარგად მესმის მისი. როცა მსოფლიო ჩემპიონი ხდები, იძულებული ხარ, რეპუტაციას გაუფრთხილდე.

**- თქვენც ასე მოიქცეოდით, 1994 წელს მუნდიალი რომ მოგეგოთ?**

- ძნელი სათქმელია... შეიძლება, ასეც ყოფილიყო.

**- საკი, რას სჭირს იტალიურ ფეხბურთს?**

- ბევრი რამ. პირველ რიგში, გაუთავებელი ამბიციები, რომელიც ყველაფერს ანგრევს, რატომღაც ვერიდებით გადამჭრელ ზომებს... არაფრად გვივარგა სტადიონები, ხალხს ფეხბურთზე სიარულის ეშინია...

**- ეს ვიცით. მაგრამ მიზეზი?**

- პრობლემებია ფეხბურთის მართვაში. მაგრამ ისიცაა, რომ მთავრობას არ აქვს კონკურეტული გეგმა, რითიც ხულიგნებს წელში გატეხავდა. არაფრით არ მეგონა, რომ კატანიური ტრაგედიის შემდეგ სიტუაცია არ შეიცვლებოდა. მაშინ ბევრი ლაპარაკი იყო კარდინალურ ცვლილებებზე, მაგრამ რა? მერე მივიღეთ არეცოს ტრაგედია... ჩვენ აუცილებლად უნდა დავაცალკევოთ ერთმანეთისგან ფეხბურთი და საზოგადოებრივი წესრიგი. ფედერკალჩოსთვის ერთადერთი ალტერნატივა ჩემპიონატის შეწყვეტა იყო. მაინტერესებს, რა დააშავეს ფეხბურთელებმა? სტადიონებზე ხულიგნობის ალაგმვა, ეს იგივეა, რაც დამნაშავეობასთან ბრძოლა. ამიტომ, ეს სახელმწიფოს გასაკეთებელია.

**- და მხოლოდ ამის ბრალია სტადიონებზე ხალხის კატასტროფული კლება?**

- რა თქმა უნდა, არა. ათწლეულებია, ამაზე ვლაპარაკობთ, მაგრამ ვერა და ვერ გადაწყდა კლუბებისთვის სტადიონების გადაცემის ან მიყიდვის საკითხი. როცა კლუბს არენის დაქირავება ძალიან დიდ ფასად უწევს, ეს თავისთავად იწვევს ბილეთის გაძვირებას. ნახეთ, როგორ არის დაყენებული ეს საქმე ინგლისსა და გერმანიაში. ჩვენც ამ გზას უნდა დავადგეთ. არის ასევე არაკომფორტული სტადიონების პრობლემაც. ვერ გავიზიარებ იმ იმედგაცრუებას, რაც ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის იტალიაში გამართვაზე უარის თქმას მოჰყვა. დიახ, ჩვენ გაგვიჩნდა შანსი, რომ დაწყებულიყო სტადიონების მასობრივი რეკონსტრუქცია ან ხელახლა აგება, მაგრამ ეს შანსი დავკარგეთ. მაგრამ არ მესმის, სტადიონები მხოლოდ ევროპის ჩემპიონატისთვის გვჭირდება? დავუმატოთ ამას ერთი გარემოებაც: 10-15 წლის წინ, სერია A-ში 6-7 გრანდი იყო. დღეს "პარმა", "სამპდორია" და "ლაციო" სხვა ამოცანებს წყვეტენ...



არიგო საკი

**- როგორ ფიქრობთ, აუცილებელი იყო "კალჩოპოლის" სკანდალის აგორება მაინცდამაინც მსოფლიო ჩემპიონატის წინ?**

- ერთი მხრივ, ჩვენ ამით დავამტკიცეთ, რომ საკუთარი პრობლემების აღიარება შეგვიძლია. მეორე მხრივ, რისკიც დიდი იყო. მაგრამ, როგორც ჩანს, ამ უსიამოვნო აჟიოტაჟმა "სკუადრა აძურა" ერთ მუშტად შეკრა.

**- დაძლია კალჩომ სკანდალის შედეგები?**

- ვფიქრობთ, ჯერ არა. ამისთვის ერთი, ორი ან სამი წელი საკმარისი არ იქნება. მენტალიტეტი უნდა შეიცვალოს. თუმცა არ ვარ დარწმუნებული, რომ სხვა ქვეყნებში ანალოგიური რამ არ ხდება.

**- რამდენად დიდია კლუბების პრეზიდენტების როლი კალჩოს პრობლემებში?**

- ამ პრობლემის თავი და თავი სისტემაშია. წელან რომ ვახსენე ფეხბურთის მართვის დაბალი ხარისხი, ამასაც ვგულისხმობდი. ინგლისური მოდელი ამ მხრივაც მისაღებია. იქ მწვრთნელის ფუნქცია მარტო ვარჯიში და თამაშის გაძღოლა არ არის. როცა იტალიელ მწვრთნელებსაც ექნებათ იმის საშუალება, რომ სატრანსფერო საკითხებში პრიორიტეტი ჰქონდეთ, მერე ამ პრობლემასაც მოევლება.

**- ბერლუსკონი და გალიანი არ ერეოდნენ თქვენს საქმეებში?**

- ვერ ვიტყვი, რომ ეს ჩარევა იყო. გამიმართლა, რომ ისინი ძალიან კარგად ერკვეოდნენ და ერკვევიან ფეხბურთში, სელექციაში და ასე შემდეგ...

**- როგორ მუშაობს დონადონი იტალიის ნაკრებში?**

- ვფიქრობ, უკვე ყველაფერი კარგადაა. დონადონიმ ჩემგან უდიდესი პატივისცემა მარტო იმითიც დაიმსახურა, რომ ნაკრების მწვრთნელობას დათანხმდა. ვიცი, რომ რობერტოსთვის ესა თუ ის პოსტი მატერიალური თვალსაზრისით არაფერს ნიშნავს, მას ყოველთვის სპორტული ამბიცია ამოძრავებდა. მიილო ლიპის მემკვიდრეობა, თან მსოფლიო ჩემპიონატის მოგების შემდეგ, ეს უდიდესი რისკია და როცა მწვრთნელი ასეთ რისკზე მიდის, მხოლოდ საქებარ სიტყვებს იმსახურებს.

**- რას უნდა ველოდოთ ევროპის ჩემპიონატისგან?**

- არ ვეთანხმები იმ ხალხს, ვინც ძლიერი ჯგუფის გამო წუწუნებს. მსოფლიო ჩემპიონი ყველაფრისთვის მზად უნდა იყოს. თუ მიზანი წარმატებაა, მაშინ, ნებისმიერი ბარიერი უნდა გადალახო. დარწმუნებული ვარ, "სკუადრა აძურასთვის" ფსიქოლოგიური პრობლემა არ იქნება. ჩემი აზრით, ნახევარფინალში აუცილებლად ვიქნებით...

**- იტალიურ კლუბებს ევროპაში მაინც უჭირთ. რატომ?**

- ძალიან მაინტერესებს, რას იზამს ეს "ინტერი", რომელიც შარშანდელზე ძლიერია. რაც შეეხება მიზეზს... ჩვენი ფეხბურთი განსხვავებულია. იტალიურ კლუბებს უჭირთ მასიური დაცვის დაძლევა. ამიტომ, ჩემპიონთა ლიგასა თუ უეფას თასზე მეტოქეები "ჩვენი" ტაქტიკით გვეთამაშებიან. ასე რომ, უნდა დავიწყოთ ალტერნატიული გზების ძიება.

**- "ინტერი" ახსენეთ. როგორ ფიქრობთ, ამ გუნდის მთავარი ღირსება ძლიერი შემადგენლობაა თუ მწვრთნელი?**

- ცხადია, ორივე ერთად. მანჩინი მოედანზე უკვე მწვრთნელი იყო. მან ეს "ლაციოშიც" დაამტკიცა. რობერტოს წარმატებებს ვუსურვებ.

**- ...განსხვავებით კაპელოსგან? თვლით, რომ თქვენ და კაპელო მტრები ხართ?**

- არავითარ შემთხვევაში! ისე, კაპელოსგან მეც ხშირად მომისმენია ჩემ მიმართ კრიტიკა. მან ერთხელ თქვა, საკიმ "მილანში" ბევრი არაფერი დამიტოვაო. სიმართლე გითხრათ, მეწყინა...

**- ის ახლა ინგლისშია...**

- ...და ძალიანაც კარგი. ვფიქრობ, მან იპოვნა თავისი ადგილი.

**- მიაღწევს წარმატებებს? როგორ ფიქრობთ?**

- აბსოლუტურად გულწრფელად გეუბნებოდით: მინდა, რომ გაიმარჯვოს, რადგან ეს იტალიური სამწვრთნელო სკოლის წარმატებაც იქნება. პროგნოზისგან კი თავს შევიკავებ, ამას დრო გვიჩვენებს...

**- თქვენ კაპელო "რეალში" მუშაობის დროს გააკრიტიკეთ. ის ჩემპიონი გახდა და ამით ერთგვარად პასუხი გაგცათ...**

- არ ვიტყოდი, რომ ეს კრიტიკა იყო. მე "რეალში" ცოტა ხანს ვიმუშავე სპორტულ დირექტორად და მინდოდა, ფაბიოსთვის გარკვეული რჩევები მიმეცა. სწორედ ამაზე ვსაუბრობდი იმ ინტერვიუში, რომელმაც ის ძალიან გააბრაზა.

**- აღიარებთ, რომ "რეალში" ლუქსემბურგოსთან ერთად მისვლა შეცდომა იყო?**

- "რეალი" განსაკუთრებული მოვლენაა. თუ სამეფო კლუბის რომელიმე მწვრთნელი იტყვის, რომ მას შედეგის მისაღწევად დრო სჭირდება, მისი მადრიდული კარიერა იქვე დასრულდება. "რეალში" ფიქრობენ, რომ ეს უკვე აწყობილი სახელმწიფოა, რომელსაც წარმატება მყისიერად უნდა ჰქონდეს.

**- ...მაგრამ რატომ გაუშვეს კაპელო?**

- მადრიდში სხვანაირი ფეხბურთი უყვართ.

**- მათ ხომ კარგად იცოდნენ კაპელოს საფეხბურთო ფილოსოფია?**

- ბუნებრივია, მაგრამ "რეალის" ხელმძღვანელობას იმ მომენტში სხვა გზა არ ჰქონდა. გუნდს სასწრაფოდ სჭირდებოდა კარგი მწვრთნელი. თანაც არ დაგავიწყდეთ, კაპელო მადრიდში ორი ტურინული სკუდეტოს შემდეგ ჩავიდა. ის ყოველთვის აღიქმებოდა გამარჯვებულ მწვრთნელად. თუმცა მას თავის პრინციპები აქვს ეს მარტო ფეხბურთს არ ეხება..

**- სერია A-ს ბედი გადაწყვეტილია?**

- 70 პროცენტით. ჩემგან დიდი სიმპათიების მიუხედავად, ვფიქრობ, "რომას" მომატების პოტენციალი აღარ აქვს. ასე რომ, "ინტერი" თუ ჩემპიონი ვერ გახდა, მხოლოდ მისი ბრალი იქნება. შარშანდელისგან განსხვავებით, მანჩინის ორი თანაბარი ძალის შემადგენლობა ჰყავს და ვფიქრობ, ორ ფრონტზე ბრძოლაში ხელი არ შეეშლება.

**- რატომაა "მილანი" ასეთი არასტაბილური?**

- ეს კითხვა მეც მიჩნდება ხოლმე. ნამდვილად არ ვიცი. არადა, ამ გუნდს ყველაფერი აქვს იმისთვის, რომ პირველზე თუ არა, მეორე ადგილზე მაინც იყოს.

**- ხომ არ გგონიათ, რომ ანჩელოტის ეპოქა დასასრულს მიუახლოვდა?**

- ჩემი აზრით, მას არ აწყენდა გარემოს გამოცვლა. მაგრამ ის უკვე სისხლხორცეულადაა დაკავშირებული "მილანთან". რაც არ უნდა იყოს, კარლო და ტასოტი მაინც ნაყოფიერად მუშაობენ.

**- გამოდის, რომ შეგირდებმა გაგიმართლეს?**

- რიიკაარდსაც დავამატებდი. ვფიქრობ, კოსტაკურტაც კარგი მწვრთნელი იქნება, შეიძლება, უკეთესიც, თუკი მოინდომა.

**- ადრე ვან ბასტენზე თქვით, დიდი მწვრთნელი გახდებაო...**

- რასაც ის ჰოლანდიის ნაკრებში აკეთებს, ვფიქრობ, სწორია. მარკოს ყველაფერი წინ აქვს.

**- რანიერის "იუვენტუსი" მოგწონთ?**

- იმაზე მეტად, ვიდრე მოველოდი. კლაუდიომ ფეხბურთი კარგად იცის.

**- ვინ იქნება ლიპის, კაპელოს, რანიერის, ანჩელოტის შემდეგ? მოდიან კარგი სპეციალისტები?**

- ახალგაზრდები ნაკლებად. მაგრამ ამ სიას მე გავაგრძელებდი პრანდელით, მარინოთი, გვიდოლინით, დელ ნერით... ძალიან კარგად მუშაობს კაზირაგი ახალგაზრდულ ნაკრებში. იტალია ამ მხრივ მართლაც მდიდარია.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ხავიერ ირურეტა

სარაგოსა. ახალი მწვრთნელი

# ირურეტამ დაიწყო

## ბასკი სპეციალისტი დარწმუნებულია, რომ არაგონულ კლუბს აალორძინებს

გუშინ "სარაგოსას" ახალი მთავარი მწვრთნელი, **ხავიერ ირურეტა** საზოგადოებას წარუდგინეს. არაგონული კლუბის ოფისში მოწყობილ ღონისძიებას 100-ზე მეტი ჟურნალისტი დაესწრო. რაც იმის ნიშანია, რომ "სრაგოსა" ესპანეთში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული კლუბია.

ირურეტამ გულშემატკივრებს პირობა მისცა, რომ დღე და ღამ იმუშავებს იმ პრობლემების აღმოსაფხვრელად, რომლის გამოც ხელმძღვანელობამ **ვიქტორ ფერნანდესი** თანამდებობიდან დაითხოვა: "მოგესალმებით. პირველ ყოვლისა, მსურს, "სარაგოსას" ხელისუფლებას უდიდესი ნდობისთვის მადლობა გადავუხადო. ბედნიერი ვარ, რომ დიდი ტრადიციების მქონე კლუბში დავინიშნე. ჩვენ ძალიან ბევრს ვიმუშავებთ. გულშემატკივრები დაინახავენ, რომ გუნდი კვირიდან კვირამდე მოუმატებს. ჩემს ოპტიმიზმს შემადგენლობის მაღალი ხარისხი განაპირობებს. ამ ფეხბურთელებს ძალიან ბევრის მიღწევა შეუძლიათ. მჯერა, სწორი მართვისა და თავდაუზოგავი მუშაობის პირობებში კრიზისი დაიძლევა. ვერ წარმოიდგენთ, რაოდენ დიდი ენთუზიაზმით ვარ გამსჭვალული. ერთი სული მაქვს, მუშაობას როდის დავიწყებ. უნდა დავამტკიცოთ, რომ პრიმერა დივიზიონის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი და თავმოყვარე გუნდი ვართ. არ მინდა იფიქროთ, რომ ჩემს წინა მორბედებს მუშაობას ვუწუნებ. არავითარ შემთხვევაში. ვიქტორ ფერნანდესი "სარაგოსას" ისტორიის განუყოფელი ნაწილია. ამ კლუბს მან არაერთი დიდი წარმატება მოუტანა, მაგრამ ამჯერად მთავარ მწვრთნელად მე დავინიშნე და ვალდებული ვარ, ის ხარვეზები აღმოვფხვრა, რაც გულშემატკივრებს, ფეხბურთელებსა და ხელმძღვანელებს აწუხებთ. მოკლედ, ჩვენ ვიწყებთ! ინჩასებს თანადგომისაკენ მოვუწოდებ."

ირურეტა "ბეტისიდან" გათავისუფლების შემდეგ უმუშევარი იყო. ერთი შეხედვით, "სარაგოსას" შეთავაზება მისთვის ერთადერთი შველა იყო, მაგრამ ბასკ სპეციალისტს თუ დავუჯერებთ, წინადადებები არ აკლდა: "სარაგოსამ" დიდ კონკურსში გაიმარჯვა. არაერთი კლუბი მიწვევდა თანამშრომლობის ხელს, მაგრამ ფეხს ვითრევდი. აი, არაგონელთა წინადადებას კი უსიტყვოდ დავთანხმდი. ვგრძნობ, ეს ის გუნდია, რომელიც გამახარებს და რომელსაც მე გავახარებ. ახლა მთავარია, მშვიდად მუშაობის საშუალება მოგვეცეს. თუ ჩვენს ირგვლივ სიმშვიდე არ იქნება გამეფებული, ძალიან გაგვიჭირდება. უახლოეს წარსულში "ბეტისში" ვმუშაობდი. არ მინდოდა ამ გუნდის დღეს ხსენება, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ "ბეტისი" კრიზისის მორევში სწორედ სიმშვიდის არ არსებობამ ჩააგდო. იქ პრეზიდენტი ერთ მხარეს იყო, დირექტორატი მეორეს. გულშემატკივრები კი ყველას ებრძოდნენ, მათ შორის ფეხბურთელებსა და მთავარ მწვრთნელს. მჯერა, "სარაგოსას" ინჩადა იგივე შეცდომას არ დაუშვებს. უნდა გავერთიანდეთ."

დასასრულს სენიორ ირურეტამ **ანდერ გარიტანოს** გადადგომაზეც ისაუბრა. მოგეხსენებათ, ვიქტორ ფერნანდესის გაშვების შემდეგ თანამდებობა სწორედ მას ანდეს, მაგრამ სულ რაღაც რვა დღეში გარიტანომ ნებაყოფლობით გადადგომის შესახებ განაცხადა. ბატონი ხავიერისთვის ეს ყველაფერი ცოტა გაუგებარია: "მიჭირს მივხვდე, თუ რამ განაპირობა გარიტანის უეცარი სახე ცვლილება. რამდენიმე წუთის წინ მითხრეს, რომ ეს ნაბიჯი მან ოჯახთან დაკავშირებული პრობლემებით ახსნა. დეტალებში კარგად არ ვარ გარკვეული, ამიტომ ბევრი რამ ჩემთვის გაუგებარია, თუმცა არც იმის უფლება მაქვს, ჩემი წინამორბედის სიტყვებში ეჭვი შევიტანო. მოკლედ, "სარაგოსას" თავკაცი ახლა მე ვარ და სხვა არაფერი მაინტერესებს. ამ გუნდის აღორძინებას მთელ ცოდნას, გამოცდილებასა და ენერგიას მოვახმარ."

გუშინ ირურეტამ "სარაგოსა" პირველად ავარჯიშა. მთავარმა მწვრთნელმა დრო უქმად არ დაკარგა და შეგირდებს ტყავი გააძრო. გასახდელისკენ მიმავალმა **დიეგო მილიტომ** "დიარიო ასის" ჟურნალისტს შეჩივლა, ბავშვობის შემდეგ ამდენი არ მირბენიაო... ვნახოთ, როგორ შედეგს გამოიღებს ერთ-ერთი ყველაზე მცოდნე და გამოცდილი ესპანელი სპეციალისტის შემართება.

დეპორტივო. სკანდალის გამოძახილი

# მუნუას პატიმრობა მიუსაჯეს

## თუმცა ის ციხეში არ ჩაჯდება, ურუგვაელი მეკარე მწვრთნელის განცხადებამ უკიდურესად ალაშფოთა...

რამდენიმე კვირის წინ "დეპორტივოს" გასახდელში დიდი უსიამოვნება მოხდა. ინციდენტში გალისიური კლუბის მეკარეები გუსტავო მუნუა და დუდუ ავათი მონაწილეობდნენ. მუნუამ ფართო საზოგადოებისთვის უცნობი მიზეზის გამო შხაპიდან გამოსულ კოლეგას სახეში ისეთი უთავაზა, რომ საბრალო ავათი წაიქცა, ლანვიდან კი სისხლი თქრიალით წასკდა. ფაქტი გახმაურდა და "დეპორის" ხელმძღვანელობამ ორივე ფეხბურთელი დასაჯა. ისინი დეტალებს თუ არ გაახმაურებენ და დამნაშავე ბოდიშს არ მოიხდის, ძირითად შემადგენლობაში თამაშს ვერ ეღირსებიან.

მიუხედავად იმისა, რომ გალისიური კლუბის მესვეურებს პრობლემის შიდა სამზარეულოშივე მოგვარება სურდათ საქმეში სასამართლო ჩაერია. მართალია, **მუნუასთვის** არავის უჩივია, მაგრამ ლა კორუნიის პროკურატურა სახელმწიფო ბრალმდებლის რანგში გამოვიდა და ურუგვაელის წინააღმდეგ ხულიგნობის მუხლით სისხლის სამართლის საქმე აღძრა. მოკვლევის დასრულების შემდეგ პროკურორმა მასალები სასამართლოს გადასცა. გუშინ ლა კორუნიის სასამართლოს თავმჯდომარემ საქმე გულდასმით განიხილა და გუსტავო მუნუას 6-თვიანი პირობითი პატიმრობა მიუსაჯა. გამომდინარე იქიდან, რომ სამხრეთამერიკელს ებრაელმა კოლეგამ არ უჩივლა, მოსამართლემ მისი საპატიმროში გაგზავნა საჭიროდ არ მიიჩნია და 3 600 ევროს გადახდა დააკისრა.

დაგვეთანხმებით, მაღალანაზღაურებადი მეკარისთვის 3 600 ევროს გადახდა არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს. წესით, ის კმაყოფილი უნდა დარჩენილიყო, რომ ციხეში არ გამოკეტეს. თუმცა მუნუას სასამართლოს გადაწყვეტილება უსამართლოდ მიაჩნია: "გაოგნებული ვარ. ვაღიარებ, ძალიან ცუდად მოვიქეცი, მაგრამ თავს იმის თქმის უფლებას მივცემ, რომ ხულიგნობა არ ჩამიდენია. ჩემი ადვოკატი არგუმენტირებულად, თუმცა უშედეგოდ ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ თანაგუნდელს ფიზიკური შეურაცხყოფა შელაპარაკების საფუძველზე მივაყენე. ამ ფაქტს ხულიგნობასთან არანაირი კავშირი არ ჰქონდა. ხულიგნობა უმიზეზოდ ჩადენილ დანაშაულს ჰქვია. ავათზე გავბრაზდი და დავარტყი. რა თქმა უნდა, ეს არ არის გამამართლებელი არგუმენტი, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ჩვენი ჩხუბით სხვა ადამიანების სიმშვიდე თუ ჯანმრთელობა საფრთხის ქვეშ არ ჩაგვიგდია. ჩხუბი საშხაპეში მოხდა. იქ ჩვენს გარდა არავინ იმყოფებოდა. მესმის, თეატრში რომ დამერტყა და ამ საქციელით სხვა ადამიანები სტრესში ჩამეგდო. მოკლედ, ჩადენილ ქმედებას ვინანიებ, მაგრამ სასამართლოს მიერ გამოტანილ გამამტყუნებელ გადაწყვეტილებას კატეგორიულად არ ვეთანხმები."

გუშინ საღამოს "დეპორტივოს" მთავარმა მწვრთნელმა და პრეზიდენტმა საგანგებო პრესკონფერენცია გამართეს. თქვენს სამსჯავროზე თავდაპირველად **მიგელ ანხელ ლოტინას** განცხადებას გამოვიტანთ: "ძალიან სამწუხაროა, ჩვენი კლუბი ასეთ სამარცხვინო ისტორიაში გაეხვა. 21-ე საუკუნის გუნდში მსგავსი რამ არ უნდა ხდებოდეს. რა თქმა უნდა, უტოპისტი არ გახლავართ და ვაცნობიერებ, რომ ადამიანს ემოციების მოთოკვა ზოგჯერ ძალიან უჭირს... მაგრამ რაც არ უნდა მოხდეს, თანაგუნდელები ერთმანეთს ასე არ უნდა ექცეოდნენ. ჩვენ ქუჩის ცხოვრებას ვგმობთ და მოვითხოვთ, ყველა ფეხბურთელმა დისციპლინა ზედმიწევნით დაიცვას. ჩემი, როგორც მთავარი მწვრთნელის პოზიცია უცვლელია - ინციდენტში მონაწილეებმა ხელმძღვანელობას ახსნა-განმარტებით უნდა მიმართონ და მთელ გუნდს ბოდიში მოუხადონ. სამწუხაროდ, ამას დღემდე ვერ ველირსეთ. სასამართლოს გადაწყვეტილბას მივესალმები. დაუშვებელია, რომ ნერვული აშლილობისას ადამიანებმა ერთმანეთს ცხვირ-პირი გაუერთიანონ. არ მინდა, მორალის მკითხველის შთაბეჭდილება დავტოვო. უბრალოდ, მე მთავარი მწვრთნელი ვარ და დიდ პასუხისმგებლობას ვგრძნობ. დარწმუნებული ვარ, დირექტორატი მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდება და შიდა მოკვლევას გააგრძელებს. ამაზრზენი ფაქტი ადეკვატურად უნდა შეფასდეს. "დეპორტივო" ბანდიტების თავშესაფარი არ არის."

სენიორ ლოტინას **აუგუსტო სესარ ლენდოიროს** ჩამოართვა სიტყვა: "ყველა დარწმუნებული უნდა იყოს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება ვერ დაგვამშვიდებს. ამ ჩხუბის გამო ჩვენი კლუბის სახელი შეილახა. რა თქმა უნდა, უკიდურესად პრინციპულები ვიქნებით და საქმეს ბოლომდე მივიყვანთ. დამნაშავე ან ბოდიშს მოიხდის და დანაშაულს მოინანიებს, ან თამაშს ვერ ეღირსება. გარდა ამისა, იმასაც ვიტყვი, რომ გუსტავო მუნუას მხოლოდ 3 600 ევროს გადახდა არ მოუწევს. ამ დღეებში დირექტორატის საგანგებო სხდომას გავუძღვები და დღის წესრიგში მისთვის დიდძალი ფულადი ჯარიმის დაკისრებას დავაყენებ. არავის ვუსაფრდებით. პირველ რიგში ჩვენს ინტერესებში შედიოდა, რომ ასეთი რამ არ მომხდარიყო. რომელ არხსაც არ ჩართავ, რომელ გაზეთსაც არ გადაშლი, ყველგან "დეპორტივოს" ჩხუბზე ყვებიან. ნებისმიერმა ადამიანმა უნდა იცოდეს, რომ გუნდს დიდი ისტორია აქვს და მისი გაფიცხებით ამ ისტორიას ჩირქი არ უნდა მოსცხოს. დიახ, არავის ვუსაფრთებით და მიზნობრივად არავის ვებრძვით. უბრალოდ, არ დავუშვებთ, რომ მუშტებით ანგარიშსწორება ჩვეულებრივ მოვლენად იქცეს. თუ დღეს მკაცრად არ მოვიქცევით, ხვალ აუცილებლად იგივე განმეორდება. ასე რომ, ნურავის ნურაფერი ეწყინება. ჩვენ არ დაგვიწყია, მხოლოდ ვერეაგირებთ."

სტატიის მომზადება დასრულებული გვქონდა, როცა ესპანურმა საინფორმაციო სააგენტოებმა მუნუას მორიგი განცხადება გაავრცელეს. ურუგვაელი მეკარე ლოტინას ერთმა სიტყვამ უკიდურესად ალაშფოთა: "არ არსებობს ის სოციალური საფეხური, რომელიც ღირსების შელახვას გადამაყლაპინებს. მთავარმა მწვრთნელმა განაცხადა, "დეპორტივო" ბანდიტების თავშესაფარი არ არისო. თუ მე მგულისხმობდა, ვურჩევ ცოტა მეტი იფიქროს, ვიდრე რაიმეს წამოროშავს. მსოფლიოს ყველა ბანდიტის სულშიც ჩამიფურთხებია. ის რომ მთავარი მწვრთნელის სავარძელში ხარ მოკალათებული, არ გაძლევს უფლებას, სრულიად დაუსაბუთებლად ადამიანს ბანდიტი უწოდო. ვინც მე ბანდიტად მიმიჩნევს, ვურჩევ ასეთები საკუთარი ოჯახის წიაღში მოიკითხოს. მირჩევნია, "დეპორტივო" საერთოდ დავტოვო, ვიდრე მიგელ ანხელ ლოტინას თავზე დაშარდვის უფლება მივცე. მარტივი გზაა, გუნდი საშინელ კრიზისში იმყოფება, ამ დროს კი მკაცრი განცხადებით ყურადღება სულ სხვა მოვლენისკენ გადაგაქვს. ვფიქრობ, საზოგადოება სწორ დასკვნებს გამოიტანს. ყოველ შემთხვევაში, ბანდიტი არასოდეს ვყოფილვარ და სხვებისგან განსხვავებით ყოველთვის მყოფნის იმის ვაჟკაცობა, ჩემს მიერ ჩასვრილი თავადვე მოვასუფთავო."

როგორც ხედავთ, მიგელ ანხელ ლოტინას ერთმა სიტყვამ გუსტავო მუნუა იმდენად ალაშფოთა, რომ მან უზომოდ კატეგორიული განცხადება გააკეთა. სავარაუდოა, რომ ამის შემდეგ მის წინააღმდეგ სადამსჯელო გადაწყვეტილებას "დეპორტივოს" დირექტორატი უფრო მარტივად გამოიტანს. თუ ურუგვაელს არ დააშოშმინებენ, გალისიური კლუბში დისციპლინა საბოლოოდ დაინგრევა და მას სრული ქაოსი მოიცავს.

**ილია ნიკოლაიშვილი**







დუდუ ავათისა და გუსტავო მუნუას უთანხმოება დიდ სკანდალში გადაიზარდა

საქართველოს თასი

# ნაგებულის მოგება ნამში



დავით ბარბაქაძე მომგებიანი სროლის შემდეგ

23 იანვარი, სპორტის სასახლე

**A ჯგუფი**

**მაკაბი-ავიამშენი 76:116**

13:28, 25:31, 15:32, 23:25

მაკაბი: ი. ბერიშვილი (11ქ, 5პ), სორდია (10ქ, 5პ), გ. შერმადინი (10ქ, 5მ), პირველაშვილი (4ქ, 5მ, 5პ), ვაშაკიძე (11ქ, 5მ), ს. შერმადინი (17ქ, 10მ), კორკოტაძე (9ქ), გაგლოშვილი (2ქ), ახმედიანი, იოსელიანი (2ქ)

ავიამშენი: ბერაია (2ქ), მოსეშვილი (2ქ), ხომტარია (12ქ), ნიკოლაძე (30ქ, 4პ), ტულუში (16ქ, 14პ, 8მ, 3ჩ), იმნაძე (16ქ, 11მ, 3პ, 3ჩ), ნინიაშვილი (7ქ, 12მ), მათიაშვილი (8ქ, 8მ), სუხიშვილი (6ქ), მინაშვილი (17ქ)

მსაჯები: მ. კუპატაძე, გ. მიქელაძე

| გუნდი | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. ავიამშენი | 2 | 2 | 0 | 4 |
| 2. დინამო | 2 | 1 | 1 | 3 |
| 3. მაკაბი | 2 | 0 | 2 | 2 |

**B ჯგუფი**

**თსუ-ენერჯი 84:83**

21:20, 21:20, 20:21, 22:22

თსუ: არწივიძე (11ქ, 4პ, 4ჩ, 7მ), ფანჩულიძე (19ქ, 6პ), დ. ბერიშვილი (11ქ, 7პ, 3ჩ), ბარბაქაძე (21ქ, 9მ, 4ჩ), ყველაშვილი (7ქ, 7მ), კეიდია (8ქ, 12მ, 2დ), ტყეშელაშვილი (7ქ), ბ. ნოზაძე

ენერჯი-ინვესტი: ბაბიაშვილი (8ქ, 2დ), სტეფანოვი (15ქ, 12მ), ბოისა (4ქ, 4ჩ), დიდია (6ქ), ლეჟავა (33ქ, 5მ, 3პ), ცეკვავა (6ქ), ლიპარტელიანი (3ქ), გოგობერიშვილი (4ქ), ტუჯანი (2ქ, 6მ, 3ჩ, 2დ), ჭოჭუა, ჩიტაშვილი (2ქ, 13პ, 5მ)

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, ხ. გაბედავა

| გუნდი | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. თსუ | 2 | 2 | 0 | 4 |
| 2. ენერჯი | 2 | 1 | 1 | 3 |
| 3. ვითა | 2 | 0 | 2 | 2 |

**დღეს ფინალში**
**15:15 თსუ-ავიამშენი**

საფეხბურთო მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალში, დამატებით დროში იტალიის ნაკრებმა გერმანიას გოლი რომ გაუტანა, გეხსომებათ, რა არამიწიერი სიხარული გამოხატეს აპენინელებმა. მას შემდეგ ასეთი გახარებული გუნდი გუშინ სპორტის სასახლეში ვნახე - თსუ-მ „ენერჯის" საფინალო სირენამდე 1 წამით ადრე ჯიბეში ხელი ჩაუყო და ფინალის საგზური ამოაცალა.

ერთი გუნდი ბურთს რომ ათამაშებს და ბოლო წამზე გამარჯვების სამქულიანს ჩააგდებს, ასეთი რამ ხშირად ხდება, მაგალითად **გიორგი ნიკოლაძემ** ამ სეზონში ასე ორჯერ მოაგებინა „ავიამშენს". თსუ-"ენერჯის" გუშინდელი შეხვედრისას კი საქმე სხვაგვარად იყო: საფინალო სირენამდე 1 წამით ადრე, წუთშესვენების შემდეგ სტუდენტებს ბურთი მოედნის შუიდან გამოჰქონდათ. ასეთ დროს, როგორც წესი შემტევი გუნდი ყოვნდება და დრო ეწურება. ...მაგრამ ცენტრალური ხაზიდან **დავით ბერიშვილმა** ბურთი სეხნია **ბარბაქაძეს** საჯარიმოში ჩაუგდო, ისიც დაუფიქრებლად შეტრიალდა და ფარიდან ასხლეტით ბურთი კალათში მოათავსა - 84:83 თსუ-ს სასარგებლოდ.

ამ ეპიზოდს სიხარულით იხსენებს მატჩის გმირი ბარბაქაძე: *„ბოლო წუთშესვენებისას მწვრთნელმა როგორც დაგვარიგა, ყველაფერი ისე შევასრულეთ - ირაკლი კეიდია და ბექა ნოზაძე ბურთის შემომტანი დავით ბერიშვილისკენ გადავიდნენ. მე - პირიქით, მარჯვენა ფრთაზე. დათომ ბურთი ჩემკენ ჩამოაგდო და საბედნიეროდ გადამწყვეტი ტყორცნა მიზანში მოვარტყი. ძალიან გახარებული ვარ."*

გგონიათ მხოლოდ უკანასკნელი წამი იყო საინტერესო? გადახედეთ მეოთხედების ანგარიშებს, ოთხივე შემთხვევაში სხვაობა ქულასაც არ აღემატება. მთელი თამაში, თავისი სტატისტიკიანად თანაბარი გამოდგა: თსუ - 17 რეალიზებული ორქულიანი, „ენერჯი" - 18 ორიანი. თსუ - 12 ჩაგდებული სამქულიანი, „ენერჯი" - 11 სამიანი. თსუ - 14 რეალიზებული საჯარიმო, „ენერჯი" - 14 საჯარიმო. თსუ - 48 მახსნა, „ენერჯი" - 47. თსუ - 20 პასი, „ენერჯი" - 22. თსუ - 14 ჩაჭრა, „ენერჯი" - 14. თსუ - 23 ფოლი, „ენერჯი" - 23. თსუ - 24 შეცდომა, „ენერჯი" - 14. სტატისტიკის ასეთი იდენტურობა ისეთივე იშვიათი მოვლენაა, როგორც ერთ წამში გათამაშებული კომბინაციით თამაშის მოგება.

რუსთაველთა შემადგენლობაში ტრავმირებული **ლაშა გამყრელიძე** კარგად შეცვალა თსუ-დან გადასულმა **მიხეილ ჩიტაშვილმა**, რომელმაც „ენერჯის" თამაშს სისწრაფე შეუნარჩუნა და თავის წილად 13 შედეგიანი გადაცემა მიითვალა. ფარქვეშ ეფექტური იყო **იოვან სტეფანოვი**, რომელმაც 15 ქულას 12 მოხსნა წაამატა, ხოლო ქულების მოგროვების დარგში **დავით უსტიაშვილმა „მინისტრის პოსტი" ბესიკ ლეჟავას** ანდო. ბესომ 9-9 ორი და სამქულიანიდან 6-6 ჩააგდო და 33 ქულა მიითვალა.

რუსთაველებს სისწრაფესა და გუნდურ თამაშში არც სტუდენტები ჩამორჩებოდნენ. „ენერჯისთან" მათი პლუსი მოედნის მთელს მონაკვეთზე კარგად განხორციელებული პრესინგი იყო. სეზონის დასაწყისში **ნუგზარ ჭეიშვილის** გუნდს ასეთი პრესინგი იშვიათად გამოსდიოდა და ზოგჯერ ამის გამო დამარცხებულან კიდეც. ხოლო სამ თვეში იგი იმდენად კარგად დახვეწეს, რომ მეორე ტაიმში არ მახსენდება ეპიზოდი, თსუ-ს მოედნის მთელს სიგრძეზე მიმართული პრესინგის გამო „ენერჯისგან" ქულა მიეღოს. გუნდი იმდენად კარგად ჩანს შეთამაშებული, რომ ორი საკვანძო კალათბურთელის დაკლება (რიჩარდ მათიაშვილის და მიხეილ ჩიტაშვილისა) ოდნავადაც არ დატყობია. რიჩო სათანადოდ შეცვალა დავით ბარბაქაძემ, ხოლო მიშა - დავით ბერიშვილმა. გაიხსენეთ - სწორედ ამ ორი ახალწვეულის გათამაშებული კომბინაციის წყალობით მოიგო თსუ-მ.

მატჩის უკანასკნელ წამზე კი გესაუბრეთ, მაგრამ არანაკლებად საინტერესო იყო ბოლო მეოთხედი, რომლის მოკლე ქრონოლოგიას ახლა გთავაზობთ.

**სირენამდე 6 წუთი:**

ლეჟავა (ენერჯი) - 3 ქულა (69:68)
ლეჟავა (ენერჯი) - 2 ქულა (71:68)

**5 წუთი:**

კეიდია (თსუ) - 3 ქულა (71:71)
ფანჩულიძე (თსუ) - 2 ქ (73:71)

**4 წუთი:**

ლეჟავა (ენერჯი) - 3 ქულა (74:73)
ბერიშვილი (თსუ) - 1+1 (75:74)
ლეჟავა (ენერჯი) - 3 ქულა (77:75)

**3 წუთი:**

სტეფანოვი (ენერჯი) - 2 ქულა (79:75)
ლეჟავა მე-5 ფოლი
კეიდია (თსუ) - 1+1 (ორივე ააცილა)
ბერიშვილი (თსუ) - 1+1 (77:79)

**2 წუთი:**

ფანჩულიძე (თსუ) - 3 ქულა (80:79)
გოგობერიშვილი (ენერჯი) - 3 ქულა (82:80)

**1 წუთი:**

0:55 წამი: არწივიძე - მე-5 ფოლი
0:7 წამი: სტეფანოვი 1 საჯარიმო (83:80)
0:1 წამი: სტეფანოვი ფანჩულიძეზე განზრახ დაჯარიმდა
0:1 წამი: ფანჩულიძე 1+1 (82:83)
0:1 წამი: ბერიშვილმა ბურთი გვერდიდან შემოიტანა და ბარბაქაძემ ორქულიანი ჩააგდო (84:83)

„ავიამშენი" „მაკაბის" დიდი შესვენებისას ოქმში აღმოვაჩინეთ, რომ **კოტე ტულუშს** 11 ქულა, 5 მოხსნა და 4 პასი ჰქონდა. მეორე ტაიმში ასევე რომ გაეგრძელებინა, კოტე სეზონის პირველ სამმაგ დუბლს დააფიქსირებდა. ვინაიდან მატჩის შედეგი ეჭვს არარ იწვევდა - „ავიამ" პირველ ტაიმშივე თავის სასარგებლოდ გადაწყვიტა გამარჯვებულის ბედი, ჟურნალისტებმა გადავწყვიტეთ სამმაგი დუბლისთვის გვექომაგა. კოტე მესამე პერიოდშივე შესწვდა ორმაგ დუბლს - 11 ქულას 11 შედეგიანი გადაცემა მიამატა, საფინალო სირენამდე 2 წუთით ადრე კი 8 მოხსნაც ჩაიწერა... ორი მოხსნაც და სამმაგ დუბლს აღვნიშნავდით, მაგრამ ბოლო წუთები კოტესთვის ისე არ აეწყო, როგორც გვეგონა. მაკაბელებმა ზუსტ სროლებს მოუხშირეს და ფარიდან ასხლეტილი ბურთის დაუფლება იოლი აღარ იყო. ამას ერთი საინტერესო ეპიზოდიც დაემატა - კალათიდან ზემოთ ასულ ბურთს ტულუში ისე ელოდა, როგორც ზემოთ ავარდნილ ჯერის ტომი, მაგრამ მულტფილმის გმირის მსგავსად ბურთი უკან არ დაბრუნებულა - ფარის კარკასში გაიჭედა. მოკლედ, კოტე ტულუშმა სამმაგ დუბლს ვერ მიაღწია, თუმცა სეზონის რეკორდი კი დააფიქსირა - 14 პასი გააკეთა. სხვათა შორის 13 პასი 2 საათით ადრე „ენერჯის" გამთამაშებელმა მიშა ჩიტაშვილმა მიითვალა. მისმა რეკორდმა მხოლოდ 2 საათს „იმეფა".

„ავია"-"მაკაბის" მატჩში ორმაგი დუბლი კიდევ ორმა კალათბურთელმა მიითვალა: „ავიატორმა" **დავით იმნაძემ** 16 ქულას 11 მოხსნა შეუფარდა, ხოლო მაკაბელმა **სოსო შერმადინმა** 17 ქულას - 10 მოხსნა. „ავიას" გამარჯვების მთავარი შემოქმედი კი უკანახაზელი **გიორგი ნიკოლაძე** იყო - 30 ქულა.

„ეს მატჩი ფინალის წინ ერთგვარი რეპეტიცია გახლდათ. კარგად მოვემზადეთ და ვფიქრობ ხვალ საინტერესო ფინალი გველის," - განაცხადა ნამატჩევს გიორგი ნიკოლაძემ.

როგორც მიხვდით დღეს ფინალია - 15:15 საათზე „ავიამშენი" თსუ-ს დაუპირისპირდება.

ვაჟა სიმონიშვილი



გიორგი ცინცაძე (მარჯვნივ) სამარელთა წინააღმდეგ

ქართველები ევროთასებზე

# გასაკვირია, მაგრამ წააგეს

**ევროთასებზე აქამდე ცინცაძისა და მარკოიშვილის მოგებებით განებივრებულები ვიყავით. ახლა კი უჩვეულო ამბებზე - „კიევისა" და „ტარტუ როკის" წაგებებზე უნდა მოგითხროთ.**

კიეველებმა ულების თასის ჯგუფური ეტაპის ბოლო მატჩი სტუმრად გერმანულ „არტლანდთან" დათმეს (69:71) და სატურნირო ცხრილში პირველი ადგილი იტალიურ ბენეტონს გადაულოცეს.

მატჩის ბოლო წუთი **მანუჩარ მარკოიშვილის** ორქულიანით გაიხსნა - „კიევი" 65:64 დაწინაურდა, მაგრამ ბოლო წამებზე გერმანელებმა იყოჩაღეს და ორი ქულის სხვაობით გაიმარჯვეს.

მანუმ 32 წუთი ითამაშა, 8 ქულა, 6 მოხსნა და 2 ჩაჭრა ჩაიწერა.

მეთექვსმეტედფინალის წილისყრა 28 იანვარს გაიმართება. უკრაინელთა შესაძლო მეტოქეები არიან სხვა ჯგუფების მესამეადგილოსნები: „ცრვენა ზვეზდა" (სერბეთი), „ჰემოფარმი" (სერბეთი), „უნიქსი" (რუსეთი), „აზოვმაში" (უკრაინა), „ვილერბანი" (საფრანგეთი), „კიოლნი" (გერმანია) და „ოოსტენდე" (ბელგია). ამ ეტაპის მატჩებს მარკოიშვილის თანაგუნდელები 19 და 26 თებერვალს ჩაატარებენ.

**მე-10 ტური**

| | |
|---|---|
| არტლანდი (გერმანია)- კიევი (უკრაინა) | 71:69 |
| აკადემიკი (ბულგარეთი)- პო ორტეზი (საფრანგეთი) | 106:89 |
| რიგა (ლატვია)- ბენეტონი (იტალია) | 80:83 |

| H ჯგუფი | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. ბენეტონი | 10 | 7 | 3 | 17 |
| 2. კიევი 10 | 7 | 3 | 17 | |
| 3. აკადემიკი | 10 | 6 | 4 | 16 |
| 4. არტლანდი | 10 | 5 | 5 | 15 |
| 5. რიგა | 10 | 3 | 7 | 13 |
| 6. პო ორტეზი | 10 | 2 | 8 | 12 |

თუკი, თანაბარი ქულების მიუხედავად „კიევს" იტალიურმა „ბენეტონმა" დაგაასწრო, **გიორგი ცინცაძის** „ტარტუ როკი" „სამარასთან" სტუმრად წაგების (65:77) მიუხედავად ჯგუფში პირველობას ინარჩუნებს, რადგან შინ რუსები 20 ქულის სხვაობით ჰყავს დამარცხებული.

„ტარტუ" ბოლო ტურში ფინურ „ლაპენრაანტას" მასპინძლობს და მოგების შემთხვევაში ევროთასის ჯგუფურ ეტაპს პირველ ადგილზე დაასრულებს.

თავისი ყოფილი კლუბის წინააღმდეგ გიორგი ცინცაძემ 36 წუთში 8 ქულა, 6 მოხსნა, 4 პასი და 1 ჩაჭრა მიითვალა.

**A ჯგუფი**

| | |
|---|---|
| სამარა (რუსეთი)- როკი (ესტონეთი) | 77:65 |
| პაოკ (საბერძნეთი)- ლაპენრაანტა (ფინეთი) | 80:76 |

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. ტარტუ | 5 | 4 | 1 | 9 |
| 2. სამარა | 5 | 4 | 1 | 9 |
| 3. ლაპენრაანტა | 5 | 1 | 4 | 6 |
| 4. პაოკ | 5 | 1 | 4 | 6 |

**მომდევნო მატჩი**
29 იანვარი: როკი-ლაპენრაანტა

ვახტანგ ტყეშელაშვილი




ეროვნული ბიბლიოთეკა

**ძიუდო**

26-27 იანვარი. თბილისის მსოფლიო თასი

# იაპონიამ პირობა შეასრულა



ოლიმპიური ჩემპიონი მასატო უჩიშიბა

ახლოვდება ძიუდოისტთა მსოფლიო თასი და თბილისში ნელ-ნელა იკრიბებიან სტუმრები - კანადელები ორი დღის წინ ჩამოვიდნენ, გუშინ, გამთენიისას კი იაპონელები, პორტუგალიელები და ერთი შვეიცარიელი გვესტუმრა. ცხადია, უწინარესად, იაპონელთა შემადგენლობა დაგაინტერესებთ და თავიდანვე გეტყვით - მათ შეპირებული გუნდი ჩამოიყვანეს - ტურნირზე ოლიმპიური ჩემპიონი **მასატო უჩიშიბაც** (66) იჭიდავებს და მსოფლიოს პრიზიორი **იოჰეი ტაკაიც** (+100). ამათ გარდა, მაყურებელი იხილავს მრავალგზის მონაწილეებს - **ნაოია ოგავას** (60) და **სეიკო საიტოს** (90), ტურნირის შარშანდელ ჩემპიონ **მასატო ინაზავას** (73) და **მასაჰიკო ტამოუჩის** (81). სამწუხაროდ, 100-ში არავინ ჩამოუყვანიათ, რადგან შეპირებული ფალავანი დამტვრეულა, შემცვლელი კი არ წამოუყვანიათ.

შეპირებისამებრ, ძლიერი გუნდი გვაახლეს პორტუგალიელებმაც - მსოფლიოს პრიზიორი **ჟოაო ნეტო** (81), უკვე საკმაოდ გამოცდილი და მუდამ მედლის ზონაში მოტრიალე **პედრო დიასი** (66), ასევე საკმაოდ გამოცდილი **დიოგო ლიმა** (81) და **უგო სილვა** (90). შვეიცარიელთაგან ჯერ მხოლოდ ერთი სპორტსმენი ჩამოვიდა - **დავიდ პაპო** (73), თუმცა როგორც ისინი ამბობენ, უახლოეს ხანებში ევროპის ჩემპიონი, მსოფლიოს ვერცხლის პრიზიორი **სერგეი აშვანდენიც** (81) უნდა ჩამოვიდეს.

გუნდების უმეტესობა დღეს და ხვალ ჩამოვა.

**ირაკლი თავაძე**

**სუმო**

იანვრის ბაშო

# ლევან გორგაძე ლიდერია

20 წლის დებიუტანტმა **ლევან გორგაძემ** მეორე ელიტურ დივიზიონ ძურიოში უმთავრეს მიზანს ძალიან მალე მიაღწია - ახალი წლის ბაშოს მე-11 დღეს, **ტოჩინოშინის** საბრძოლო სახელით მოასპარეზე ქართველმა მერვე ბრძოლა მოიგო და დადებითი ბალანსი (შესაბამისად რეიტინგში წინსვლა) დაიბევა. თუმცა ახლა უფრო მეტზეა საუბარი, თუკი ლევანი იყოჩაღებს, ერთი შეხედვით ფანტასტიკურ მიზანს მიაღწევს - ტიტულს მოიგებს და ერთი ტურნირით მაკუუჩიში გადავა. ამისთვის მან სამივე დარჩენილი ორთაბრძოლა უნდა მოიგოს და მაკუუჩის დივიზიონის ცხრილის ქვედა ნაწილში სიტუაცია მის სასარგებლოდ უნდა დასრულდეს. დღეისათვის კი ტოჩინოშინი ხუთ სხვა სუმოისტთან ერთად 8-3 ბალანსით ლიდერია.

გუშინ ტოჩინოშინმა ოშიდაშით დოჰიოდან განდევნა ვეტერანი **ტოიოძაკურა**, რომელსაც უმაღლეს დივიზიონში ოცამდე ტურნირში მიუღია მონაწილეობა და ერთხელ „მებრძოლი სულის" პრიზიც დაიმსახურებია. დღეს ტოჩინოშინის მეტოქე ტიტულის ფავორიტთაგანი, მეხუთე ძურიო **ჰოშიჰიკარია**. ჰოშიჰიკარი. 23 წლის მონღოლია, მას სულ ერთი ნაბიჯი აშორებს მაკუუჩის დივიზიონის საგზურის მოპოვებამდე. ამისთვის მას, ალბათ, ტოჩინოშინის დამარცხებაც ეყოფა. მოკლედ, დღევანდელი ორთაბრძოლა ძალიან ბევრ საკითხს გაარკვევს. ტოჩინოშინი დაახლოებით 40 კილოთი მძიმეა, ვიდრე მისი მონღოლი მეტოქე. ამ ორი სუმოისტის გარდა რვა-რვა მოგება აქვთ **საკაიძავას, კიტაძაკურას, კიტატაიკის** და **ტამავაშის**.

აი, უმაღლეს დივიზიონ მაკუუჩიში კი ქართველ **კოკაის** ველარ აქვს კარგად საქმე - მან ზედიზედ მესამე მარცხი იწვნია. გუშინ კოკაის შეტევა 174-კილოიანმა **ივაკიამამ** შეაჩერა და გვერდიდან შეტევით ძირს დაანარცხა. კოკაის 6-5 ბალანსი აქვს, ოთხი დარჩენილი ორთაბრძოლიდან მან ორი მაინც უნდა მოიგოს. დღეს კოკაის მეტოქე დივიზიონის დებიუტანტი **იჩიჰარაა**, 23 წლის იჩიჰარა ელიტის ყველაზე მძიმე რიკიშია - ის 180 კილოს იწონის.

იმპერატორის თასს, სავარაუდოდ, მონღოლი სუმოისტი მოიპოვებს - 10-10 მოგებით ორი მონღოლი დიდი ჩემპიონი, **ჰაკუჰო** და **ასაშორიუ** ლიდერობენ, მათ კვალში 9-9 მოგებით კიდევ ორი მონღოლი **კაკურიუ** და **კიოკუტენჰო** უდგანან. რვა-რვა მოგება ხუთ რიკიშის აქვს, აქედანაც ორი მონღოლია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**ჰაცუ ბაშო**
**(იანვრის სუპერტურნირი)**
13-27 იანვარი, ტოკიო (იაპონია)

**მაკუუჩი**

XI დღე: მნიშვნელოვანი ბრძოლები: კოკაი-ივაკიამა 0:1 (ცუკიოტოში), ჰაკუჰო-ამინიშიკი 1:0, ასაშორიუ-კოტოოშუ 1:0, კოტომიცუკი-ვაკანოსატო 1:0, კისენოსატო-კაიო 1:0, ტოკიტენკუ-ამა 1:0, გოეიდო-დეჯიმა 1:0, მიაბიამა-ტოიონოშიმა 1:0, ტოჩინონადა-ჰომაშო 1:0, ასასეკირიუ-კიოკუტენჰო 1:0, როჰო-ბარუტო 1:0, კასუგაო-ტამაკასუგა 1:0, ჰოკუტორიკი-ვაკანოჰო 1:0, ტაკეკაძე-ფუტენო 1:0.

სატურნირო მდგომარეობა. 10-1: ჰაკუჰო (იოკოძუნა), ასაშორიუ (იოკოძუნა). 9-2: კაკურიუ (მაეგაშირა 8), კიოკუტენჰო (მ 10). 8-3: კისენოსატო (მ 1), ასასეკირიუ (მ 4), ტაკეკაძე (მ 7), ფუტენო (მ 12), ივაკიამა (მ 13). .. 6-5: კოკაი (მ 9).

XII დღე. მნიშვნელოვანი წყვილები: კოკაი-იჩიჰარა, ასაშორიუ-ამინიშიკი, ჰაკუჰო-კოტოოშუ, კოტომიცუკი-ასასეკირიუ, კაიო-კიოკუტენჰო, ამაკისენოსატო, დეჯიმა-ტოჩინონადა, კოტოშოგიკუ-ტოკიტენკუ, მიაბიამა-როჰო, ბარუტო-ტოიონოშიმა, გოეიდო-ჰომაშო, კასუგაო-ჰოკუტორიკი, კაკურიუ-ფუტენო.

**ძურიო**

XI დღე. მნიშვნელოვანი ბრძოლები: ტოჩინოშინი-ტოიოძაკურა 1:0 (ოშიდაში), რიუო-კოტოკასუგა 1:0, საკაიძავა-ჰოშიჰიკარი 1:0, ჰაკუროძანი-შუნკეცუ 1:0, ტამავაში-კიტატაიკი 1:0, შირონონამი-კიტაძაკურა 1:0.

სატურნირო მდგომარეობა: 8-3: საკაიძავა (ძურიო 3), ჰოშიჰიკარი (ძ 5), კიტაძაკურა (ძ 8), კიტატაიკი (ძ 11), ტოჩინოშინი (ძ 12), ტამავაში (ძ 13). 7-4: ჰაკუბა (ძ 8), შირონონამი (ძ 9).

XII დღე. მნიშვნელოვანი წყვილები: ტოჩინოშინი-ჰოშიჰიკარი, კორიუ-მოკონამი, ჰაკუროძანი-ჰაკუბა, ოცუკასა-ტამავაში, კიტაძაკურა-მისაცუკასა, შირონონამი-კიტატაიკი.



ტოჩინოშინი ძურიოს ლიდერია

**ჭიდაობა**

საქართველოს ჩემპიონატი

# ბათუმი. ვინ იბრძოლებს ლიცენზიებისთვის?



ელდარ კურტანიძე ნაკრებში დაბრუნებას ბათუმიდან შეეცდება

**26-27 იანვარს ბათუმში იმართება თავისუფალი ჭიდაობაში საქართველოს ჩემპიონატი, რომელიც ჩვენი ფალავნებისთვის ორმაგად მნიშვნელოვანია. ქვეყნის პირველობის როლზე სიტყვას არ გავაგრძელებთ, მაგრამ ამჯერად ამას ისიც ემატება, რომ ტურნირმა ოლიმპიური ნაკრების კანდიდატები უნდა გამოავლინოს.**

მოგეხსენებათ, შარშან ბაქოში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე ჩვენებმა დიდად ვერ იყოჩაღეს და მხოლოდ ორი ლიცენზია მოიპოვეს. ამდენად, მთავარი აქცენტი წლევანდელ სეზონზეა გადატანილი, ხოლო ვინ გახდება ოლიმპიური გუნდის უპირველესი კანდიდატი, ვის მიეცემა სეზონის უპირველეს ტურნირებზე გამოსვლის პრეროგატივა, ეს ყველაფერი სწორედ ქვეყნის ჩემპიონატმა უნდა გაარკვიოს. აქედან გამომდინარე, ტურნირში ყველა ის ფალავანი გამოვა, ვისაც ოლიმპიადაზე გამგზავრების ოდნავი პრეტენზია მაინც გააჩნია. მწვრთნელებმა დასვენების უფლება მხოლოდ **ოთარ თუშიშვილს** (66) მისცეს, რომელმაც მსფლიო პირველობაზე ბრინჯაო და ლიცენზია ერთად მოიპოვა. ტურნირიდან არ ათავისუფლებენ, მაგრამ მცირე შეღავათი გაუკეთეს ნაკრების მეორე ლიცენზირებულ ფალავანს - **გელა საღირაშვილს** (74), რომელსაც წონას არ აკლებინებენ და 84-ში აჭიდავებენ.

მოკლედ, თუშიშვილის გარდა, ბათუმელი მაყურებელი ქვეყნის ყველა უძლიერეს ფალავანს იხილავს. მათ შორის, ორ მსოფლიო ჩემპიონს - **გიორგი გოგშელიძესა და ლუკა კურტანიძეს**, რომელთა დაპირისპირებაც 96 კილოგრამ წონით კატეგორიაში ქართული ჭიდაობის კლასიკად იქცა. შარშან ამ დაპირისპირებაში უპირატესობა გოგშელიძეს დარჩა. ვნახოთ, რა მოხდება წლეულს.

თუმცა, ქვეყნის ჩემპიონატში საინტერესო ბევრი სხვა რამეცაა. მაგალითად, როგორ ხვდება ახალ სეზონს კიდევ ერთი მსოფლიო ჩემპიონი **რევაზ მინდორაშვილი** (84). ასევე საინტერესოა, რა მოხდება მძიმე წონაში, სადაც ერთ მხარეს ევროპის პრიზიორი **ლექსო მოდებაძე** დგას, მეორეზე - პერსპექტიული ახალგაზრდა **დავით მოძმანაშვილი**. კონკურენცია, მეტ-ნაკლებად, ყველა წონაშია შენარჩუნებული და მთელმა ტურნირმა საინტერესო ბრძოლებში უნდა ჩაიაროს.

29-30 იანვარს იმავე დარბაზში უკვე ანტიკური ჭიდაობის ჩემპიონატი გაიმართება, თუმცა ოლიმპიური ნაკრების დაკომპლექტებაში 28-29 თებერვალს უნგრულ სომბათჰეიში გასამართი მსოფლიო თასიც არანაკლებ როლს შეასრულებს. საქმე ისაა, რომ საქართველოს ჩემპიონატზე 4 წამყვანი ფალავანი არ იჭიდავებს - **დავით ბედინაძე** (60), **მანუჩარ კვირკველია** (74), **ბადრი ხასაია** (84) და **რამაზ ნოზაძე** (96). მსოფლიო ჩემპიონებს - ბედინაძესა და კვირკველიას ასვენებენ, ნოზაძე ზუსტად იმ დღეებში ფრანგულ კრეტეიში იჭიდავებს (ჩვენგან იქ სხვები არ გამოვლენ), ხასაიამ კი ვერაფრით მოირჩინა ფეხის კუნთი, რამაც მას პირველი, ბაკურიანში გამართული საბაზო შეკრებაც გამოატოვებინა. ეს ოთხეული ამ წონების ჩემპიონებთან ერთად მსოფლიო თასზე იჭიდავებს და ოლიმპიური გუნდიც იქ დაკომპლექტდება.

ცხადია, ამათი არყოფნა ტურნირს უდაოდ დაეტყობა, მაგრამ თვალსასეირო და საინტერესო მაინც ბევრია მოსალოდნელი. კონკურენცია ხომ აქაც ბევრ წონაშია შენარჩუნებული.

ამასობაში რამდენადმე შეიცვალა ანტიკოსთა ნაკრების მოსამზადებელი გეგმა, რისი მიზეზიც... ბელარუსის ნაკრები გახდა. საქმე ისაა, რომ ჩვენებს ერთი შეკრება მინსკში, ადგილობრივ ოლიმპიურ ბაზაზე უნდა გაევლოთ, მაგრამ იქაურებმა გეგმები შეცვალეს, რამაც ჩვენების გრაფიკიც არია. ახლა საქმეა ასეა - ქართველები მსოფლიო თასის შემდეგ იქვე, 1-2 მარტს სომბათჰეიში საერთაშორისო ტურნირშიც იჭიდავებენ. არის იდეა, ამ ტურნირის შემდეგ შეკრებაც იქვე გაიარონ, მაგრამ ეს ფინანსებზეა დამოკიდებული. ახლა სწორედ ამ თანხის მოსაძიებლად მუშაობენ და თუ იშოვეს, შეკრებაზე იქვე დარჩებიან.

მოჭიდავეთა წლევანდელი ჩემპიონატები ერთი ნოვაციითაც გამოირჩევა - ქართული სპორტის ისტორიაში პირველად, დოპინგ-კონტროლი შინაურ ტურნირზეც ჩატარდება. აქამდე დოპინგზე მხოლოდ საერთაშორისო რანგის შეჯიბრებებზე ტარდებოდა, ადგილობრივებზე კი არ კეთდებოდა, რისთვისაც საერთაშორისო ანტიდოპინგურმა სააგენტომ მკაცრადაც გაგვაფრთხილა. იმდენად მკაცრად, რომ ოლიმპიადიდან დისკვალიფიკაციითაც დაგვემუქრნენ. მოკლედ, ამ ტურნირზე ფალავნები დოპინგსაც ჩააბარებენ, ეს სინჯები იქვე დაილუქება და ძიუდოს მსოფლიო თასის სინჯებთან ერთად მეორე დღესვე შესამოწმებლად ანკარის ლაბორატორიაში გაიგზავნება.

**ირაკლი თავაძე**





ვლადიმერ ისელიძე - 60

# წყალბურთის დიდოსტატი

ჩვენს ბავშვობაში, ერთი ცნობილი საცურაო აუზი იყო სანაპიროზე, რესტორან „არაგვის" ადგილზე. დიდი და პატარა იქ იყრიდა თავს, ტარდებოდა საბჭოთა კავშირის პირველობები, საერთაშორისო ტურნირები წყალბურთში, ვატერპოლოს სახელით რომ იყო მაშინ ჩვენში ცნობილი. პატარა **ვოვა ისელიძეც**, თბილისის მე-60 სკოლის მოსწავლე, დაჟინებით ლამობდა იქ მოხვედრას. ფეხბურთსაც თამაშობდა, კალათბურთში თბილისის ჩემპიონიც კი გახდა, ჭიდაობდა კიდეც, მაგრამ მაინც წყალბურთისკენ ეჭირა თვალი. აუზზე მოხვედრა ძნელი იყო და ვოვაც არაერთხელ გამოუგდიათ იქიდან, ვიდრე ერთხელ მწვრთნელმა **ვლადიმერ (ვოვა) ბარნაბიშვილმა** არ შენიშნა და აუზში დარჩენის უფლება დართო. 1961 წლიდან იწყება დიდი და პატარა ვოვას ურთიერთობა, ურთიერთობა, რომელმაც იგი, სრულიად ახალგაზრდა, 1965 წელს თბილისის „დინამოს" ცნობილ გუნდში მიიყვანა! მელბურნის (1956 წელი) ოლიმპიადის ბრინჯაოს მედლის მფლობელი, თბილისის „დინამოს" უფრო მწვრთნელი **ნოდარ გვახარია**, ყმაწვილის საშუალო სკოლის დამთავრებასაც კი არ დაელოდა ისე ჩარიცხა (!) ოსტატთა გუნდში, სადაც მან 1981 წლამდე ითამაშა, ათი წელი კი მისი კაპიტანი იყო, სპორტის დამსახურებული ოსტატიც გახდა და მილიონობით გულშემატკივარის სიყვარული მოიპოვა ჩვენში და საზღვარგარეთ.

ვ. ისელიძე თავისი ჩვიდმეტწლიანი სპორტული კარიერის მანძილზე არც ოლიმპიური ჩემპიონი, არც მსოფლიო და ევროპის ჩემპიონი არ გამხდარა. ის კი არა, საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ტიტულიც ვერ მოიპოვა! მიუხედავად ამისა, იგი ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო თავდამსხმელად აღიარეს! მართლაც რომ, უნიკალური შემთხვევაა!

გამოჩენილი სპორტსმენი უმაღლეს ჯილდოებს ვერ დაეუფლა (ან არ „მისცეს" ამის საშუალება!), მაგრამ მის სპორტულ ბიოგრაფიაში მრავლადაა მნიშვნელოვანი მიღწევები. იგი თბილისის „დინამოს" რიგებში 1966 წლის სსრკ ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორია; 1967 წელს საბჭოთა კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადის, ხოლო 1979 წელს VII სპარტაკიადის ბრინჯაოს და ვერცხლის მედლების მფლობელი ხდება საქართველოს ნაკრებში. 1979 წლის სპარტაკიადის საუკეთესო ბომბარდირია; 1967 და 1968 წლებში გერმანიაში და კუბაზე სსრკ ახალგაზრდულ ნაკრებში „ოლიმპიური იმედის" თამაშების ჩემპიონი ხდება, 1970 და 1975 წლებში იტალიასა და მოსკოვში მსოფლიო სტუდენტური უნივერსიადების ჩემპიონია, ამასთან, მოსკოვში ტურნირის საუკეთესო ბომბარდირადაც აღიარეს. საბჭოთა კავშირის პირველ ნაკრებთან ერთად 1974 წლის (ავსტრია) ევროპის ჩემპიონატის მეორე პრიზიორი, ხოლო 1975 წელს „ახალზელანდიური" თამაშების ჩემპიონია.

როცა ვეკითხები, ყველაზე მეტად რაზე წყდება გული, ნოდარ გვახარიას იხსენებს, რომელიც ამბობდა, დრო რომ გადის, მხოლოდ ტიტულების ამარა ვრჩებით, ვილას ახსოვს შენი თამაშიო...

არადა, ვ. ისელიძეს შეეძლო ორგზის ოლიმპიური თამაშების (1968 წელი - მეხიკო, 1980 წელი - მოსკოვი) ჩემპიონი გამხდარიყო! 1968 წელს, წინასაოლიმპიადო შეკრებაზე კიშინიოვში, მოსკოვის დინამოელ ვ. სკოკთან ინციდენტი შეემთხვა, არაკაცური საქციელისთვის შემოელახა და მას ნაკრები დაატოვებინეს. 1980 წელს, მოსკოვის ოლიმპიადის წინ, საუკეთესო ფორმაში მყოფი ქართველი სპორტსმენი ნაკრებიდან კვლავ მოკვეთეს. ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელი კი ვ. ისელიძის „მეგობარი" ვ. სკოკი გახლდათ, მან ასე „გადაუხადა" სამაგიერო ვოვას! საბჭოთა ნაკრები კი ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი გახდა!

ვ. ისელიძემ ერთხელ მაინც მიიღო მონაწილეობა ოლიმპიადაში. ეს იყო 1976 წელს, მონრეალში, როცა საუკეთესო ფორმაში მყოფი საბჭოთა კავშირის ნაკრები, მთავარი მწვრთნელის ა. ბლუმენტალის უხეში შეცდომებისა და საეჭვო, არასპორტული საქმიანობის გამო (ოლიმპიადის შემდეგ იგი გაათავისუფლეს და მასზე სისხლის სამართლის საქმეც კი იყო აღძრული), VIII ადგილზე გავიდა. ვ. ისელიძემ შვიდ თამაშში შვიდი გოლი გაიტანა. ისევ ის ავადსახსენებელი ბლუმენტალი ედგა სათავეში ნაკრებს, როცა 1975 წლის კალის (კოლუმბია) მსოფლიო ჩემპიონატის წინ ვ. ისელიძე კვლავ გამოიყვანა ნაკრების შემადგენლობიდან, მის ნაცვლად კი მოსკოვის „დინამოს" მოთამაშე, არაფრით გამორჩეული ა. როდიონოვი შეიყვანა. ნაკრები მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს დაეუფლა. ჩემპიონატის შემდეგ ჩატარდა საბჭოთა კავშირის „დინამოს" კლუბების პირველობა („დინამიადა"). ჰოდა, ამ ტურნირზე თბილისის „დინამომ" დაამარცხა მოსკოვის „დინამო" და ვ. ისელიძემ ხუთი (!) გოლი გაუტანა მსოფლიო ჩემპიონს. ა. როდიონოვი მას პერსონალურად მეურვეობდა. აი, ასე „იძია შური" ვ. ისელიძემ!

და, რაოდან შემაშფოთებელია ის სავალალო მდგომარეობა, რაც დღეს ქართულ წყალბურთშია გამეფებული! სპორტის ოლიმპიურ სახეობაში, სადაც ბრწყინავდნენ მელბურნის (1956 წელი) ოლიმპიადის ბრინჯაოსა და რომის (1960 წელი) ოლიმპიადის ვერცხლისმედალოსანი **პეტრე მშვენიერაძე**, მელბურნის (1956 წელი) ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალოსანი ნოდარ გვახარია, რომის (1960 წელი) ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსნები **ლერი გოგოლაძე** და **გივი ჩიქვანაია**, სეულის (1988 წელი) ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალოსანი **მიხეილ გიორგაძე**; **ოთარ მიმინოშვილი, ბორის მეგედი, ნოდარ კურტანიძე, მურთაზ გულედანი, დათო რურუა, გელა ტუკვაძე, გიორგი ზუმბულიძე, ოთარ იოსელიანი, სოსო ნიჟარაძე, ვასილ სანაძე, რევაზ ოჩიგავა, თემურ უშანგიშვილი, ნუგზარ ერაძე** და სხვები; სადაც ვ. ისელიძემ მთელი ეპოქა შექმნა, სულს ლაფავს! არ ტარდება საქართველოს ჩემპიონატი, ბავშვთა და მოზარდთა წყალბურთი ჩამკვდარია, ინფრასტრუქტურა განადგურებულია; კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო, სპორტის საწყლოსნო სახეობათა ფედერაცია აბსოლუტურ ინერტულობას იჩენენ ამ სახეობის აღორძინებისა და განვითარების საქმეში. როდემდე უნდა გაგრძელდეს ასე?

ვ. ისელიძე, ინჟინერ-ქიმიკოსი, პოლიციის პოლკოვნიკი, ღირსების ორდენის კავალერი, დიდი სპორტიდან წასვლის შემდეგაც თავდაუზოგავად ემსახურებოდა თავის სამშობლოს. 1986 წელს დაამთავრა სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია მოსკოვში. მუშაობდა სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე. 1990-1994 წლებში იყო დამოუკიდებელი საქართველოს წყალბურთის ფედერაციის პირველი პრეზიდენტი; სპორტსაზოგადოება „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

ოჯახიც საამაყო ჰყავს! ხარობს ექვსი შვილიშვილით.

გამოჩენილ, ყველასთვის საყვარელ სპორტსმენსა და უმწიკვლო ადამიანს ვლადიმერ (ვოვა) ისელიძეს 25 იანვარს დაბადებიდან სამოცი წელი უსრულდება! ვულოცავ მას ამ ღირსშესანიშნავ თარიღს და ეჭვიც არ მეპარება, რომ მისი დიდი ნიჭისა და კაცობის მრავალრიცხოვანი დამფასებელი შეუერთდება წყალბურთის დიდოსტატისადმი მიძღვნილ ჩემ სიტყვებს.

**ზურაბ დვალი**



# დავაწესოთ ხორხე დე ბაგრატიონის სახელობის პრიზი!

**ყოფილი** ავტომრბოლი, ქართული წარმოშობის ესპანელი ხორხე დე ბაგრატიონი, 63 წლისა, ღვიძლის სიმსივნით, თბილისში გარდაიცვალა და სვეტიცხოველში, დიდი წინაპრების გვერდით დაკრძალეს.



ბაგრატიონთა ქართული სამეფო ოჯახის წარმომადგენელი, ტახტის მემკვიდრე, გიორგი XIV ანუ ხორხე დე ბაგრატიონი XX საუკუნის 60-იან წლებში ასპარეზობდა ავტოსპორტში ფორმულა 2-ში გამოდიოდა ისეთი დიდი ავტომრბოლების მსხარდამხარ, როგორიც იყო ლეგენდარული შოტლანდიელი **ჯიმ კლარკი**, ინგლისელი **გრემ ჰილი**, ავსტრალიელი **ჯეკ ბრებემი**, ინგლისელი **ჯონ სარტისი**.

ფორმულა 1-ში ხორხე დე ბაგრატიონი პირველად 1968 წელს გამოჩნდა. ესპანეთის გრან პრის მონაწილეთა სიაში ბაგრატიონის გვარი და მანქანის დასახელება შეიტანეს, მაგრამ ავტომრბოლის „ლოლა" უსპონსოროდ დარჩა. თუმცა სტარტი მაინც ჩაითვალა, მიუხედავად იმისა, რომ მანქანა სასტარტო ბილიკზე აღარ იდგა. იგივე განმეორდა 1974 წელსაც და ბაგრატიონის საპირველფორმულო კარიერა ამით შემოიფარგლა. სამაგიეროდ ავტომრბოლი წარმატებას აღწევდა ესპანეთისა და ევროპის ტრასებზე „სუპერტურიზმში", რალისა და „გამძლეობაზე რბოლებში" დიდ დისტანციებზე. ამ მხრივ ხორხე დე ბაგრატიონი მრავალგზის ჩემპიონია. ასპარეზობდა „ფორდისა" და „პორშეს" მოდელებით. რამდენჯერმე მოახერხა ლეგენდარული „ლე მანის 24 საათიან რბოლაში" გამოსვლა, 1982 წელს კი ოფიციალურად წავიდა ავტოსპორტიდან. ამის შემდეგ იყო „პორშესა" და „ფიატის" დილერი.

ხორხე დე ბაგრატიონს ყოველთვის სურდა ისტორიულ სამშობლოში, საქართველოში ჩამსვლა და მოახერხა კიდეც. დაესწრო ავტომოყვარულებისთვის პირველი ქართული ჟურნალის, „ავტომოტივის" პრეზენტაციას. შეიძლებოდა მისი გამოცდილების გამოყენება ქართულ ავტოსპორტშიც.

ახლა, როცა ხორხე დე ბაგრატიონი ქართულ მიწას მიაბარეს, მგონი ურიგო არ იქნება, მისი ხსოვნის პატივსაცემად, დავაწესოთ სპეციალური პრიზი წრიულ რბოლაში გამარჯვებულისთვის, თუნდაც რალის ტრიუმფატორისთვის. იქნებ დავამზადებინოთ ხორხე დე ბაგრატიონის პატარა ბიუსტი და წლის ბოლოს ან თუნდაც შარშანდელი სეზონის გამარჯვებულს გადავცეთ ეს პრიზი.

მსოფლიო ავტოსპორტის ისტორიიდან ცნობილია ერთი ასეთი ფაქტი. 1982 წელს, ბელგიაში დაღუპული კანადელი პილოტის, **ჟილ ვილნევის** („ფერარი") ხსოვნის პატივსაცემად მისი პატარა ბიუსტი გააკეთეს და ხუთი სეზონის მანძილზე ეს პრიზი ყველაზე მამაც, სწრაფ და წარმატებულ ავტომრბოლს გადაეცემოდა. მგონი, ურიგო არ იქნება, თუ საქართველოშიც იარსებებს ასეთი ჯილდო.

**დავით ჩუბინიძე**





# წყვილში კვლავ მეოთხედფინალშია

17 წლის **ოქსანა კალაშნიკოვა** კაარსტის საერთაშორისო ტურნირის (10 ათასი დოლარი) ძირითად ბადეში ვერ გავიდა, მას ჩეხმა თანატოლმა **პავლა სმიდოვამ** აჯობა, თუმცა ოქსანა ჯერ ისევ კაარსტის ტურნირზეა. ის გერმანელ **დომინიკ რიპოლთან** (398) ერთად წყვილთა თანრიგში ასპარეზობს. პირველ წრეში ქართულ-გერმანულმა დუეტმა იოლად დაამარცხა გერმანული (**ვაინშტაინი, ვესელი**) - 6:0, 6:1. ტურნირის მეოთხედფინალში მათ სერიოზული მეტოქეები ელით, პირველ ნომრად განთესილები, უკრაინელი **იულია ბეიგელციმერი** (230) და პორტუგალიელი **ნეუსა სილვა** (204). სხვათა შორის, პორტუგალიელს კალაშნიკოვა, შესაძლოა, ერთი კვირის მერეც შეხვდეს „ფედერაციის თასზე". კალაშნიკოვა წყვილთა მსოფლიო რეიტინგში 424-ე პოზიციაზეა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ოქსანა კალაშნიკოვა

ეროვნული ბიბლიოთეკა



2002 წლის ოქტომბერი. საქართველოს ნაკრები მსოფლიო თასზე გავიდა. ლევან ცაბაძე და მეელუდ მთიულიშვილი

ინტერვიუ ლევან ცაბაძესთან

# პორტუგალიიდან ახალ ზელანდიამდე

*პირველი გვერდიდან*

**- კიდევ ერთი უცხოელი, რომელიც ნაკრებში იმუშავებს, ფიზმომზადების მწვრთნელი ფრანგი ნიკოლა ფულკიეა. რას იტყვით მასზე?**

- ნიკოლა ფულკიეს არ ვიცნობ, ამიტომ მის პიროვნებაზე ვერაფერს ვიტყვი. როგორც სპეციალისტმა კი ნათლად დაგვანახა, რაც შეუძლია. ყველამ ჩვენი თვალით ვნახეთ, როგორი მომზადებული იყო მსოფლიო თასზე საქართველოს ნაკრები. ფულკიემ დაამტკიცა, რომ საუკეთესოა თავის საქმეში.

**- საინტერესოა, რა პრინციპით იქნებიან ნაკრებში მოწვეული მორაგბეები. მაგალითად, კლოდ სორელისთვის აუცილებელი პირობა იყო ამა თუ იმ მოთამაშეს საფრანგეთის რომელიმე კლუბში ეთამაშა.**

- კლოდ სორელი ამ პრინციპით მოთამაშეებს ნაკრებში იმიტომ იწვევდა, რომ თვითონ საფრანგეთში ცხოვრობდა და ყველა მოთამაშეზე ჰქონდა ინფორმაცია, ვინ როგორ ფორმაშია. ამიტომ ერიდებოდა ის საქართველოში, ან თუნდაც სხვა ქვეყნებში მოთამაშე ლეგიონერების მოწვევას, ვერ ენდობოდა.

მე საქართველოში ვცხოვრობ. მწვრთნელი რომ არ ვიყავი, თვეში მინიმუმ ორი თამაშის ნახვას მაინც ვახერხებდი. ახლა ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელი ვარ და ცხადია, ყველა თამაშს დავესწრები. ჩემთვის პრობლემა არ იქნება დავინახო, გამორჩეული მოთამაშე და შანსი მივცე. რაც შეეხება საფრანგეთში მოთამაშეებს, ამათგან ზოგიერთი ცხადია პრივილეგირებული იქნება - იქ 10 წელი ვთამაშობდი და კარგად ვიცი, რომელი გუნდი რას წარმოადგენს. არის გუნდები, პირველ და მეორე დივიზიონებში, სადაც თუ სათანადოდ მომზადებული არ ხარ, არავინ გაგაჩერებს. ასეთ გუნდებში მოთამაშე მორაგბეებს, ცხადია ნაკრებში თამაშის პრობლემა არ უნდა ჰქონდეთ.

**- რამდენიმე დღეში ერთა თასის გათამაშებაში პორტუგალიის ნაკრებთან მატჩი გველის. ეროვნული ნაკრები ამ საპასუხისმგებლო შეხვედრას სერიოზული სირთულეებით ხვდება.**

- ამაზე ამ რამდენიმე დღის წინათ ვფიქრობდი და ჩემთვის მეცინებოდა. ჩემი და ვიქტორ დიდებულიძის დებიუტი ეროვნულ ნაკრებში ერთდროულად შედგა და მაშინაც მძიმე სიტუაცია იყო გუნდში. მე და ვიქტორი, რომელიც ნაკრებში ლეგიონერებს კურატორობს, კიდევ ერთხელ აღმოვჩნდით საკმაოდ სერიოზული პრობლემების ნინაშე, ამჯერად მწვრთნელების რანგში. მაგრამ არა უშავს, ჩვენი სარაგბო კარიერაც არ ყოფილა დალხენილი, ამიტომ პრობლემები და სიძნელეები არ გვაშინებს, გადავლახავთ.

**- პორტუგალიასთან ნაკრების რამდენიმე წამყვანი მოთამაშე დაგვაკლდება. ჩვენ გუნდში ბევრი დებიუტანტია. რამდენად მოხერხდება სამ დღეში მათი სათანადოდ მომზადება, შეთამაშება?**

- ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენ ვიწყებთ ახალ ოთხწლიან ციკლს, რომლის მიზანიც ახალ ზელანდიაში გასამართი მსოფლიოს თასზე გასვლა და იქ გარკვეული წარმატების მიღწევაა. გუნდის მომზადება და შეთამაშება ორ-სამ დღეში ან თუნდაც ერთ წელიწადში იოლი არაა. ნაკრები რამდენიმე მორაგბემ დატოვა, ბევრი ისეთ ასაკშია, ალბათ ოთხი წლის შემდეგ ზელანდიაში ვერ დაგვეხმარება, ამიტომ გუნდის განახლებაა საჭირო. ჩვენი მიზანია, შანსი მიეცეს ახალ მოთამაშეებს, რათა შეძლონ თავიანთი შესაძლებლობების დამტკიცება. ნაკრებში გამოჩნდებიან ახალი სახეები, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც ნინა ნაკრების შემადგენლობაში არც კი მოიაზრებოდნენ.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ევროპის ჩემპიონატი

# ელენე ევროპაში: წილი ნაყარია

**ხვალ ელენე გედევანიშვილი** კარიერაში მესამედ ფიგურული ციგურაობის ევროპის ჩემპიონატზე ჩაებმება. გუშინ კი მონაწილეთა გამოსვლის თანმიმდევრობა წილისყრით გაირკვა. ელენე გედევანიშვილმა ევროპის ჩემპიონატზე 2006 წელს მეხუთე ადგილი დაიკავა და ყველა აალაპარაკა, ამას დაერთო წარმატება ტურინის ზამთრის ოლიმპიადაზე, სადაც დებიუტანტი ქართველი მეათე ადგილზე გავიდა. შარშანდელი ევროპის ჩემპიონატის წინ გედევანიშვილი ფავორიტთა შორის მოიხსენიებოდა, თუმცა პოლიტიკამ ქართველ გოგონას გეგმები აურია და ფორმიდან ამოგდო, შარშან მან ევროპის ჩემპიონატზე მერვე შედეგი აჩვენა. წლეულს, ჩვენი თანამემამულე აღარ განიხილება, როგორც ერთ-ერთი ფავორიტი. მიუხედავად ამისა, ჩვენ გვჯერა, რომ ზაგრებში ელენე კარგად ისრიალებს და წარუმატებლობის სერიას დაასრულებს.

წილისყრამ 40 მოციგურავე რვა ჯგუფად გაანაწილა, ელენე გედევანიშვილი რიგით ბოლოსწინა ჯგუფში გამოვა, 34-ე ნომრად. ამ ჯგუფში მის შემდეგ მხოლოდ შვეიცარიელი **სარა მაიერი** გამოვა. მცირე შესვენების შემდეგ კი ყინულზე გავლენ უკანასკნელი ჯგუფის წარმომადგენლები: **კიირა კორპი, სტეფანია ბერტონი, კაროლინა კოსტნერი, იენი ვაჰამაა და ლაურა ლეპისტო.** ევროპის ჩემპიონატის მთავარი ფავორიტები იტალიელი კაროლინა კოსტნერი და შვეიცარიელი სარა მაიერი არიან. ქალთა მოკლე პროგრამა ჩვენი დროით ნაშუადღევს, სამის ნახევარზე დაიწყება, თუმცა ელენეს ასპარეზობა მოგვიანებით მოუწევს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**





საქართველოს ჩემპიონატი. პირველი ლიგა, ვაჟები

# ნიგალიძე ერთპიროვნული ლიდერია

**გუშინ, საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატის პირველ ლიგაში მესამე ტური გაიმართა. აქამდე მაქსიმალური ქულათა რაოდენობით 5 მონაწილე მიიწევდა წინ, გუშინდელს მერე კი მხოლოდ ერთი დარჩა - გაიოზ ნიგალიძე.**

ნიგალიძეს სერიოზული მეტოქე ჰყავდა **დავით ბენიძის** სახით, მაგრამ მოულოდნელად, იოლად მოიგო. ცხადია, ამ საქმეში თეთრი ფერის უპირატესობამაც ითამაშა გარკვეული როლი, თუმცა უპირატესობას გამოყენება რომ სჭირდება, თქმა არ უნდა. გაიოზი აშკარა ფავორიტია, რასაც ბოლო წლებია, სისტემატურად ამტკიცებს. განსაკუთრებით წარმატებით თამაშობს პირველ ლიგაში და ასაკობრივ ჩემპიონატებში; შარშან კი, საქართველოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე დიდოსტატებთანაც არ აკანკალებია ხელიდა რამდენიმეს ქულებიც აართვა, მეტის მისაღწევად კი გამოცდილება არ ეყო. ეჭვი არ გვეპარება, რომ ნიგალიძე ამჯერადაც შეძლებს უმაღლესი ლიგის საგზურის მოპოვებას და კიდევ მეტ კონკურენციას გაუწევს ქვეყნის უძლიერეს მოჭადრაკეებს. მისი დღევანდელი მეტოქე **შოთა აზალაძეა**. გაიოზს ამჯერად შავი ფერით მოუწევს თამაში. ბრძოლა საკმაოდ დაძაბული იქნება - აზალაძეც ამბიციური და მაღალი კლასის ოსტატია და თეთრი ფერის გამოყენებას მაქსიმალურად შეეცდება. შოთამ გუშინ შავებით ყაიმი დააფიქსირა **დავით ლომსაძესთან** და ორნახევარი ქულა დაუგროვდა. ამდენივე აქვს ლომსაძესაც. დათოს მეტოქე **იოსებ კვირიაშვილი** იქნება, რომელმაც მესამე ტურში შავებით აჯობა **დიმიტრი კვარაცხელიას**.

ჩემპიონატის არც ერთი ტური არ ჩაივლის მოულოდნელი შედეგის გარეშე. კვლავ იმარჯვა ვეტერანმა **გიორგი ციხელაშვილმა**. მან ერთ-ერთი ფავორიტის **გიგა ყუფარაძის** დამარცხება შეძლო. ბატონი გიორგის ორი ქულა აქვს და აშკარად მეტისთვის ბრძოლა ძალუძს. მეორე ტურში კი დამარცხდა **ლევან ბრეგაძესთან,** მაგრამ იქაც მედგრად იბრძოლა და ობიექტურად არ უნდა ნაეგო. ბრეგაძე თავის მხრივ გახდა მოულოდნელი შედეგის თანაავტორი: 214 პუნქტით ნაკლები რეიტინგის მქონე **ზვიად ფაციასთან** წააგო.

გამორჩევას იმსახურებს გოგონათა შედეგებიც. სულ ტურნირზე ოთხი მანდილოსანი თამაშობს. გუშინ ყველამ იმარჯვა და აქედან სამმა - შავებით: **ნინო ბაციაშვილმა გიორგი გამზარდია** დაამარცხა, **ალექსანდრა ვახანიამ - ნიკა ვოლკოვი,** ხოლო **სოფო ხუციძემ აკაკი ლიპარტელიანს** აჯობა; **მერი არაბიძემ** თეთრებით **მიხეილ ჭიპაშვილს** მოუგო, თუმცა ამ პარტიაში მცირე ინციდენტი მოხდა: დაახლოებით თანაბარ პოზიციაში ჭიპაშვილს ალამი ჩამოუვარდა, უფრო სწორად, დროში ვერ ჩაეტია - თანამედროვე ელექტრონულ საათებზე დროის გადაცილება ციფრებით აღინიშნება - ციფერბლატზე ნულები იწერება, რომელსაც გვერდზე მინუსი ეწერება. ჭიპაშვილმა, რომელმაც კარიერის უდიდესი ნაწილი ძველი, მექანიკური საათებით თამაშში გალია, ალლო ვერ აუღო გუშინდელ ფაქტს და მთავარი მსაჯის მიმართ პრეტენზიები გამოთქვა - ფიქრობდა, რომ მსაჯი ცდებოდა. ინციდენტი მალევე ამოიწურა: ჭიპაშვილს წესების სრული დაცვით ჩაეთვალა წაგება.

მეოთხე ტურის წინ ლიდერს ნახევარი ქულით 6 მოჭადრაკე ჩამორჩება, ორი ქულა კი 15 მონაწილეს აქვს. ცხადია, ჯერ ადრეა იმ სავარაუდო ექვსეულის პროგნოზირება ვინც საგზურს მიიღებს, თუმცა დღეს და ხვალ მთავარი ფავორიტები მაინც გამოიკვეთებიან.

მეოთხე ტური, პირველი ათი დაფა:
**შოთა აზალაძე (2.5)-გაიოზ ნიგალიძე (3); იოსებ კვირიაშვილი (2.5)-დავით ლომსაძე (2.5); ლუკა პაიჭაძე (2.5)-ივერი ჭილლაძე (2.5); სოფო ხუციძე (2)-ზვიად ფაცია (2.5); დავით ზარქუა (2)-ალექსანდრა ვახანია (2); რევაზ ჭკუასელი (2)-პარმენ გელაზონია (2); დავით ბენიძე (2)-ალეკო მინაშვილი (2); ნინო ბაციაშვილი (2)-დავით ურუშაძე (2); გიორგი ნიკოლაშვილი (2)-თამაზ მგელაძე (2); მერი არაბიძე (2)-ალექსანდრე ყაშაშვილი (2).**

**ზვიად შათირიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

## შაკის მორიგი ტრავმა

"მაიამი ჰიტის" ვეტერანი ცენტრი შაკილ ო'ნილი ისევ ტრავმირებულია. ამჯერად, კალათბურთელი თავის გუნდს უახლოესი ორი კვირის განმავლობაში ვერ დაეხმარება. როგორც "მაიამის" ექიმები აცხადებენ, შაკს კუნთის ანთება აქვს.

ვეტერანმა კალათბურთელმა ამ რეგულარულში უკვე გამოტოვა რვა მატჩი და ცოტა ხნის წინ დაუბრუნდა "ჰიტს", მაგრამ მაინც ვერ უშველა კრიზისში მყოფ თანაგუნდელებს, რომლებსაც დღეისთვის ზედიზედ 14 წაგება აქვთ რეგულარულში.

## მოურნინგი ჯერ არა წასულა

მოულოდნელი ინფორმაცია გაავრცელა "მაიამი ჰიტის" კიდევ ერთმა ცენტრმა, ალონზო მოურნინგმა. ეს ვეტერანი ცოტა ხნის წინ აცხადებდა, რომ მორიგი ტრავმის შემდეგ, ის აღარ აპირებდა კარიერის გაგრძელებას, მაგრამ ზოს ახალი განცხადების მიხედვით, მას საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია.

*"დღეს ამაზე ფიქრის დრო არ არის. ამჟამად მხოლოდ აღდგენით პროცედურებზე ვფიქრობ. ჯერ უნდა გავიგო, შევძლებ თუ არა ნორმალურად სიარულს და სირბილს. მხოლოდ ამაზეა დამოკიდებული, დავბრუნდები თუ არა კალათბურთში"*, - განაცხადა მოურნინგმა მორიგი სამედიცინო შემოწმების შემდეგ.

შეგახსენებთ, რომ ალონზომ დეკემბერში მარჯვენა ფეხის მძიმე ტრავმა მიიღო და სწორედ ამის შემდეგ განაცხადა დიდი კალათბურთიდან წასვლის შესახებ.

## მარბერიმ სეზონი დაასრულა

საბოლოოდ გაირკვა "ნიუ იორკ ნიქსის" გამთამაშებლის, **სტეფონ მარბერის** ბედი. გუშინ, კალათბურთელმა მარცხენა ფეხზე ოპერაცია გაიკეთა, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს მცველი წელს მოედანზე ველარ გავა.

ექიმ **ჯილიან ჰემილტონის** ინფორმაციით, ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა. რაც შეეხება "ნიქსის" ხელმძღვანელობას, ის არ აკონკრეტებს მარბერის მოედანზე დაბრუნების თარილს.

## ვირტუსმა ახალი მწვრთნელი იპოვნა

როგორც უკვე ვიტყობინებოდით, ბოლონიის "ვირტუსის" ხელმძღვანელობამ მთავარი მწვრთნელის პოსტიდან დაითხოვა **სტეფანო პილასტრინი.** გუშინ, იტალიურ კლუბს ახალი დამრიგებელი დაუნიშნეს. "ვირტუსს" სათავეში ჩაუდგა **რენატო პასკუალი,** რომელიც კარგად არის ცნობილი ევროპულ საკალათბურთო სამყაროში. ეს სპეციალისტი სხვადასხვა წლებში "ბენეტონსა" და უკრაინის "კიევს" ავარჯიშებდა.

## კიოლნი გაკოტრებულია

გერმანიის თასის მფლობელმა და ქვეყნის ვიცე-ჩემპიონმა "კიოლნმა" საბანკროტო პროცედურა გაიარა. გუნდმა, რომელიც წელს ULEB-ის თასზე ასპარეზობს, გამოაცხადა, რომ მისი სპონსორი ველარ ასრულებს მასზე დაკისრებულ ფინანსურ მოვალეობებს.

*"ჩვენ წინასწარ გავაფრთხილეთ კლუბის ყველა თანამშრომელი, მოთამაშეები, გერმანიის კალათბურთის ფედერაცია, ULEB და ჩვენი პარტნიორები"*, - განაცხადა "კიოლნის" მფლობელმა **ვალტერ პუეტცმა.**

ახლა, გერმანიის კალათბურთის ფედერაციამ უნდა გადაწყვიტოს, მისცემს თუ არა კლუბს დისკვალიფიკაციას. რაც შეეხება ULEB-ის თასს, აქ "კიოლნმა" სამშაბათს მორიგი ტურის მატჩი გამართა პორტუგალიის "ოვარენსესთან".

## ბრაზილიას ესპანელი მწვრთნელი დაუნიშნეს

ბრაზილიის ნაკრებს ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს. ამ გუნდს სათავეში ჩაუდგა 63 წლის ესპანელი სპეციალისტი **მონჩო მონსალვე.** მან ამ პოსტზე ადგილობრივი სპეციალისტი **ალუსიო ფერეირა** შეცვალა.

ესპანელი მწვრთნელის ოფიციალური პრეზენტაცია თებერვალში შედგება. ბრაზილიის საკალათბურთო ფედერაციის ხელმძღვანელებმა მონსალვეს კონკრეტული მიზანი დაუსახეს - მწვრთნელმა გუნდს პეკინის ოლიმპიური თამაშების დარჩენილი სამი ვაკანტური საგზურიდან ერთ-ერთი უნდა მოუპოვოს. საკვალიფიკაციო ტურნირი ათენში 14-20 ივლისს გაიმართება და ბრაზილიის ნაკრების ძირითადი მეტოქეები იქნებიან - გერმანია, საბერძნეთი, სლოვენია და ხორვატია.

მონსალვეს მდიდარი სამწვრთნელო კარიერა აქვს. 1972 წლიდან მოყოლებული, ის სათავეში ედგა "ბარსელონას", "სარაგოსას", "მალაგას", "ტენერიფეს", "ვალიადოლიდს", "კასტილიას"... მისი ბოლო სამუშაო ადგილი იყო ესპანეთის კალათბურთის ფედერაციის ტექნიკური საბჭო.

ფორმულა 1

## ჰემილტონს ჰოტორნის თასი ერგო

გასული სეზონის აღმოჩენა, მსოფლიო პირველობის ვიცე-ჩემპიონი **ლუის ჰემილტონი** მორიგი პრიზის მფლობელი გახდა.

ამჯერად ბრიტანელმა პილოტმა ჰოტორნის თასი მიიღო. ტრადიციულად, ეს ჯილდო წლის საუკეთესო ბრიტანელ ავტომრბოლს გადაეცემა. დაჯილდოვების ცერემონია ლონდონში გაიმართა.

ჰოტორნის თასი 1958 წელს დაარსდა. ინციატივის ავტორი ფორმულა 1-ში პირველი ბრიტანელი ჩემპიონის, **მაიკ ჰოტორნის** ოჯახი გახდა. ეს პილოტი ჩემპიონობიდან ერთი წლის თავზე ტრაგიკულად დაიღუპა.

ჰემილტონი მე-18 ბრიტანელი პილოტია, ვინც ეს პრიზი დაიმსახურა.

## ფერარი ყველაზე სწრაფია

ვალენსიაში მიმდინარე ტესტების მეორე დღეს, ყველაზე სწრაფები "ფერარის" პილოტები იყვნენ.

საუკეთესო დრო აჩვენა ბრაზილიელმა **ფელიპე მასამ,** რომელმაც თავისი ყველაზე სწრაფი წრე წუთსა და 12.182 წამში გაიარა. მეორე ადგილზე აღმოჩნდა მისი პარტნიორი, მოქმედი მსოფლიო ჩემპიონი **კიმი რაიკონენი.** ფინელის დრო იყო - 1.12,721. სამეულში მოხვდა "უილიამსის" პილოტი **ნიკო როსბერგი** (1.12,838).

სხვათა შორის, როსბერგმა უკან ჩამოიტოვა "მაკლარენის" ორი პილოტი - **ჰეიკი კოვალაინენი** (1.13,026) და ამ გუნდის ტესტერი **პედრო დე ლა როსა** (1.13,163). ფინელი და ესპანელი, შესაბამისად მეოთხე და მეხუთე პოზიციებზე აღმოჩდნენ.

მეექვსე ადგილი ერგო "რენოს" ლიდერს **ფერნანდო ალონსოს** (1.13,316). "BMW-ზაუბერის" ტესტ-პილოტი **მარკო ასმერი** შარშანდელი ბოლიდით გამოდიოდა. მან მეცხრე დრო აჩვენა (1.13,669) და გაუსწრო თანაგუნდელ **ნიკ ჰაიდფელდს** (1.13,779), რომელიც ახალ მანქანას ცდიდა.

არც ისე დამაჯერებლად გამოიყურებოდა ახალი "ტოიოტა": **იარნო ტრული** მე-12 იყო, **ტიმო გლოკი** - მე-14.

სულ ტრასაზე 16 პილოტი გავიდა.

NBA. რეგულარული

# საკრამენტო თითქმის გუნდია




"საკრამენტოს" შემადგენლობა შეევსო და ტრავმირებულ-დისკვალიფიცირებულების დაბრუნებით, "კინგზიც" იმ გუნდს დაემსგავსა, რომელიც შემადგენლობით დასავლეთის ელიტაში თუ ვერა, ყოველ შემთხვევაში, კონფერენციის პირველ რვა გუნდში ნამდვილად შედის.

**რონ არტესტი, მაიკ ბიბი** (რომელიც ამ ეტაპზე "კლივლენდში" **დრიუ გუდენის** ნაცვლად გადასვლის ურეალურეს კანდიდატად განიხილება), **კევინ მარტინი,** უჩვეულოდ მოტივირებული და მონდომებული ცენტრი **ბრედ მილერი,** "სპურსიდან" გაგდების მერე ათამაშებული **ბენო უდრიხი და ჯონ სალმონსი** - ამ ხალხით "მეფეებს" (თუ გუნდი ტრავმიანობას თავიდან აიცილებს) საფლეიოფო საგზურის მოპოვება ნამდვილად შეუძლიათ.

პირველად მიმდინარე რეგულარულში, "მეფეების" მთავარ მწვრთნელს, **რეჯი თეუსს** ძირითადში სამივე ლიდერის - არტესტის, ბიბისა და მარტინის დაყენების საშუალება მიეცა. მაიკმა წინასაზეზონო მატჩისას მძიმე ტრავმა მიიღო და მხოლოდ ერთი კვირის წინ დაუბრუნდა გუნდს (ბიბიმ 36 შეხვედრა გააცდინა), ხოლო მარტინს კი, შედარებით ნაკლები დრო კი გაუცდა, მაგრამ "კინგზს" მისი არყოფნაც (17 მატჩი) მაგრად დაეტყო. ტრავმებისა და დისკვალიფიკაციების გამო, 17 მატჩი არტესტმაც გამოტოვა და გუნდის დღევანდელი მდგომარეობა (18 მოგება-22 წაგება) იქნებ გმირობის ტოლფასიც კი იყოს.

უძლიერესი შემადგენლობით "საკრამენტომ" კრიზისში მყოფ "ნიუ ჯერსის" გადაუარა და 130 ქულამდეც სულ ცოტა დააკლდა.

"საკრამენტომ" სროლების 57 პროცენტის გამოყენებით ამ რეგულარულის პირადი რეკორდი დაამყარა და მატჩის მსვლელობისას 24 სამქულიანიდან მასპინძლებმა 15 გამოიყენეს. Aსევე საყურადღებოა ისიც, რომ თამაშიდან 46 ზუსტ გასროლას, "მეფეებმა" 30 შედეგიანი გადაცემა შეაშველეს, ანუ ოპონენტს იდეალური გუნდური თამაშით აჯობეს.

უკანასკნელი მეოთხედის დასაწყისში მარტინის 6 ქულითა და არტესტის აქტიურობით, "კინგზმა" სამწუთიანი მონაკვეთი 15:3 მოიგო, 29 ქულით გაიქრა წინ და ბოლოში, თეუსმა თავის გამოჩენის შანსი ახალგაზრდებსაც მისცა, თუმცა "ნიუ ჯერსიმ" ამითაც ვერ ისარგებლა და სამარცხვინოდ დამარცხდა.

მეორე მეოთხედის შუაწელიდან მოყოლებული, "საკრამენტო" შეხვედრის ბოლომდე სულ 12 და მეტი ქულის სხვაობით იყო წინ და დაბეჩავებულმა ისტრუზერფორდელებმაც ზედიზედ მეექვსე მარცხი იგემეს.

"საკრამენტო" ამჯერად დასავლეთში მე-11 ადგილზე იმყოფება და გუნდის ბოსებმაც ერთი დილემა უნდა გადაჭრან - ამ შემადგენლობით საფლეიოფო საგზურისთვის ბოლომდე იომონ (რაც დღევანდელ კონტინგენტს აშკარად შეუძლია), თუ აქცენტი გუნდის გაახალგაზრდავებაზე გადაიტანონ და 21 თებერვლამდე, ანუ იქამდე, სანამ ლიგაში ტრანსფერების განხორციელებაა ნებადართული, რამდენიმე ძვირადღირებულ ვარკვლავთან განშორება გადაწყვიტონ. რთული სათქმელია, რას და როგორ მოიფიქრებენ კალიფორნიელთა უთავო მეთავეები.

**საკრამენტო-ნიუ ჯერსი 128:94**

**36:25, 28:22, 33:26, 31:21**

**საკრამენტო:** არტესტი (27 ქ. 6 მ. 5 ჩ. 4 პ), კევინ მარტინი (19 ქ. 7 მ. 3 პ. 2 ჩ), ბიბი (15 ქ. 7 პ), ბ. მილერი (14 ქ. 8 პ. 7 მ), უდრიხი (14 ქ. 3 პ), გარსია (13 ქ. 4 მ), მური (10 ქ).

**ნიუ ჯერსი:** ვ. კარტერი (21 ქ. 8 პ. 3 მ), რ. ჯეფერსონი (18 ქ. 4 მ), კიდი (13 ქ. 5 პ), მ. ალენი (12 ქ).

**მილუოკი-ფინიქსი 104:114**

**24:30, 38:24, 21:23, 22:37**

**მილუოკი:** რედი (28 ქ. 5 მ. 5 პ. 2 ჩ), ბოგუტი (19 ქ. 13 მ. 4 პ), სიმონსი (15 ქ. 6 მ. 3 პ), ვილიანოვა (14 ქ. 9 მ. 3 პ), ჩ. ბელი (11 ქ. 8 პ. 2 ჩ), აივი (10 ქ).

**ფინიქსი:** ნეში (37 ქ. 10 პ. 4 მ. 2 ჩ), ა. სტაუდმაიერი (19 ქ. 12 მ. 3 დ. 2 ჩ), რ. ბელი (19 ქ. 2 ჩ), მერიონი (14 ქ. 6 მ).

კვირის მოთამაშეები

გასული კვირის საუკეთესო მოთამაშეებად ლიგამ აღმოსავლეთიდან "შარლოტ ბობქეთსის" ფორვარდი **ჯერალდ უოლასი,** ხოლო საპირისპირო კონფერენციიდან კი "გოლდენ სტეიტ უორიორზის" ფლეიმეიქერი **ბაირონ დევისი** დაასახელა.

უოლასის დამაჯერებელი თამაშით, "შარლოტმა" წინა კვირის ოთხი დაპირისპირებიდან სამი თავის სასარგებლოდ დაასრულა, თავად ჯერალდის საშუალო სტატისტიკური მონაგარი კი შემდეგი იყო - 29.1 ქულა, 8.0 მოხსნა, 4.8 შედეგიანი გადაცემა და 3.0 ჩაჭრა.

14 იანვარს, "დენვერის" წინააღმდეგ მატჩში, უოლასმა კარიერაში მეოთხედ დააგროვა 40 ქულა, ხოლო მისმა გუნდმა კი დასავლელი მეტოქე 119:116 დაამარცხა. ორი დღის შემდეგ "ბობქეთსმა" თანაკონფერენციელ "მეჯიქს" 99:93 აჯობა, ხოლო ჯერალდმა კი შეხვედრა 36 ქულითა და 14 მოხსნით ჩაამთავრა, ხოლო შეტევაში გაკეთებული 8 მოხსნით კი, მან კარიერის რეკორდი დაამყარა.

რაც შეეხება დევისს, რომელიც კარიერაში საუკეთესო სეზონს ატარებს, მისი "უორიორზი" "შარლოტის" მსგავსად, ოთხიდან სამი მატჩის მოგებით გამოირჩა, ხოლო კალიფორნიელთა ლიდერის სტატისტიკა კი ასეთი გახლდათ - 26.3 ქულა, 7.0 შედეგიანი გადაცემა, 5.0 მოხსნა და 4.5 ჩაჭრა (წინა კვირის ლიგის რეკორდი).

უოლასის დარად, დევისმაც ერთი 40-ქულიანი მატჩი გამართა, ხოლო 16 იანვარს "ინდიანასთან" 117:126 წაგებულ დაპირისპირებაში კი, იგი 7 (!) ჩაჭრით გამოირჩა.

უოლასისა და დევისის გარდა, წინა კვირის საუკეთესო მოთამაშის ტიტულისთვის იბრძოდნენ - **ლებრონ ჯეიმსი** ("კლივლენდი"), **ენდრიუ ბოგუტი** ("მილუოკი"), **დევიდ უესტი** ("ნიუ ორლეანი"), **ჯამალ კროუფორდი** ("ნიუ იორკი"), **სტივ ნეში** ("ფინიქსი"), **კევინ მარტინი** ("საკრამენტო"), **კრის ბოში** ("ტორონტო") და **დერონ უილიამსი** ("იუტა").




16-17 თებერვალს, ნიუ ორლეანში NBA-ის "ყველა ვარსკვლავის უიქ ენდი" უნდა გაიმართოს, რომლის ერთ-ერთი ყველაზე სანახაობრივი დისციპლინა ჩატენვების კონკურსია.

გუშინ, ლიგამ დაასახელა იმ კალათბურთელთა გვარები, რომლებიც ამ კონკურსში პირველობისთვის იბრძოლებენ. პრეტენდენტთა შორისაა შარშანდელი გამარჯვებული, "მინესოტას" ფორვარდი **ჯერალდ გრინი,** რომელსაც ტიტულის დაცვა მოუწევს.

გრინს სამი კონკურენტი ეყოლება: **დუაიტ ჰოვარდი** ("ორლანდო მეჯიქი"), **ჯამარიო მუნი** ("ტორონტო") და **რუდი გეი** ("მემფისი"). ამ ტრიოდან მხოლოდ ჰოვარდს აქვს ჩატენვების კონკურსში მონაწილეობის გამოცდილება, მუნი და გეი კი, დებიუტანტები არიან. შარშანდელ ფინალში, გრინმა სწორედ ჰოვარდს მოუგო ქულებით.

NBA. ოლ სტარის უიქენდი

## გრინი, ჰოვარდი და ორი ახალბედა

წლევანდელ კონკურსში ერთი სიახლეა. გამარჯვებულის გამოვლენა მაყურებლების პრიორიტეტი გახდა. თავდაპირველად, ფინალისტების ვინაობას მსაჯები გაარკვევენ, ხოლო შემდეგ საქმეში ფანები ჩაერთვებიან. sms-ებით და NBA-ის ოფიციალურ ვებგვერდზე ხმის მიცემით, ისინი წლევანდელ ლაურეატს წარმოგვიდგენენ.

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

# ოლ სტარზე ხუთი ცვლილება

"ყველა ვარსკვლავის მატჩამდე" სამი დღით ადრე, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ნაკრებების შემადგენლობებში ხუთი ცვლილება მოხდა.

დასავლეთის გუნდში სამი ჰოკეისტი შეიცვალა. გუნდში გამოიძახეს "ანაჰაიმ დაქსის" მცველი **სკოტ ნიდერმაიერი**, მისი თანაგუნდელი, ფორვარდი **კორი პერი** და "დალას სტარზის" თავდამსხმელი **მაიკ რიბეირო**. ამ ჰოკეისტებმა უნდა შეცვალონ ტრავმირებული მოთამაშეები - მცველი **სერგეი ზუბოვი** ("დალასი"), ფორვარდები **ჰენრიკ ზეტერბერგი** ("დეტროიტი") და **პოლ შჩასტნი** ("კოლორადო").

აღმოსავლეთის გუნდში ორი ახალი ჰოკეისტია - "პიტსბურგ პინგვინზის" ფორვარდი **ევგენი მალკინი** და "ბოსტონ ბრუინზის" მეკარე **ტიმ ტომასი**. ისინი "ოლ სტარზე" **სიდნი კროსბისა** ("პიტსბურგი") და **მარტინ ბროდოს** ("ნიუ ჯერსი") ნაცვლად ითამაშებენ.

ამ ცვლილებების შემდეგ, გუნდების შემადგენლობებმა შემდეგი სახე მიიღო:

**დასავლეთი:** მეკარეები - **ევგენი ნაბოკოვი** ("სან ხოსე"), **კრის ოსგუდი** ("დეტროიტი"), **მენი ლეგასი** ("სტ. ლუისი");

მცველები - **სკოტ ნიდერმაიერი** ("ანაჰაიმი"), **დიონ ფანოფი** ("კალგარი"), **ნიკლას ლიდსტრიომი** ("დეტროიტი"), **კრის პრონგერი** ("ანაჰაიმი"), **ედ ჟოვანოვსკი** ("ფინიქსი"), **დანკან კეი** ("ჩიკაგო");

თავდამსხმელები - **ჯო ტორნტონი** ("სან ხოსე"), **რიკ ნეში** ("კოლამბუსი"), **ჰენრიკ სედინი** ("ვანკუვერი"), **ჯეისონ არნოტი** ("ნეშვილი"), **რაიან გეტცლაფი** ("ანაჰაიმი"), **პაველ დაციუკი** ("დეტროიტი"), **ჯერომ იგინლა** ("კალგარი"), **ანჟე კოპიტარი** ("ლოს ანჯელესი"), **მარინ გაბორიკი** ("მინესოტა"), **შონ ჰორკოფი** ("ედმონტონი"), **მაიკ რიბეირო** ("დალასი"), **კორი პერი** ("ანაჰაიმი").

**აღმოსავლეთი:** მეკარეები - **ტიმ ტომასი** ("ბოსტონი"), **ტომაშ ვოკოუნი** ("ფლორიდა"), **რიკ დიპიეტრო** ("აილენდერსი");

მცველები - **ზდენო ხარა** ("ბოსტონი"), **ანდრეი მარკოვი** ("მონრეალი"), **კიმო ტიმონენი** ("ფილადელფია"), **ბრაიან კემპბელი** ("ბოსტონი"), **სერგეი გონჩარი** ("პიტსბურგი"), **ტომაშ კაბერლე** ("ტორონტო");

თავდამსხმელები - **ვენსან ლეკავალიე** ("ტამპა ბეი"), **ევგენი მალკინი** ("პიტსბურგი"), **მარიან ჰოსა** ("ატლანტა"), **ილია კოვალჩუკი** ("ატლანტა"), **სკოტ გომესი** ("რეინჯერსი"), **დანიელ ალფრედსონი** ("ოტავა"), **ალექსანდრ ოვეჩკინი** ("ვაშინგტონი"), **ჯეისონ სპეცა** ("ოტავა"), **მაიკ რიჩარდსი** ("ფილადელფია"), **ერიკ სტაალი** ("კაროლინა"), **მარკ სავარი** ("ბოსტონი"), **მარტინ სენტ ლუისი** ("ტამპა ბეი").

**რეინჯერსი-ატლანტა 4:0**

2:0, 1:0, 1:0

გოლები: 1:0 ეივერი-4 (იაგრი-30, გომესი-35), 2:0 დუბინსკი-7 (იაგრი-31, ტიუტინი-5), 3:0 სტრაკა-9 (დრური-20, ტიუტინი-6), 4:0 იაგრი-15 (გომესი-36, ტიუტინი-7).

**ფილადელფია-ნიუ ჯერსი 3:7**

2:3, 1:2, 0:2

გოლები: 1:0 ბრიერი-20 (მ. რიჩარდსი-33, ნუბლი-15), 1:1 ოდუია-2 (პ. მარტინი-15, ზაიაცი-13), 2:1 ნუბლი-15 (აპშოლი-8, კობურნი-18), 2:2 ლანგენბრუნერი-7 (პ. მარტინი-16, ოდუია-9), 2:3 ზუბრუსი-8 (ელიაში-16, ჯონსტა-19), 2:4 ელიაში-11 (ოდუია-10), 2:5 პარიზე-17 (ზაიაცი-14, ოდუია-11), 3:5 ჯ. კარტერი-18 (რ. ჯონსი-19, მ. რიჩარდსი-34), 3:6 პარიზე-18 (ზაიაცი-15, ლანგენბრუნერი-18), 3:7 ელიაში-12 (კლარკსონი-8, რახუნეკი-8).

**კაროლინა-აილენდერსი 3:6**

1:1, 1:3, 1:2

გოლები: 0:1 სილინჯერი-12 (ჰანტერი-17, მარტინეკი-9), 1:1 ე. სტაალი-27 (სტილმანი-23, რეი უიტნი-26), 1:2 პარკი-9 (მარტინეკი-10), 1:3 სილინჯერი-13 (ჰანტერი-18), 1:4 ბერგენჰაიმი-3 (შატანი-16, ჟერვე-13), 2:4 კომოდორი-3, 3:4 კულენი-9, 3:5 ვიტი-2 (კომო-4), 3:6 კომო-3.

**მონრეალი-ბოსტონი 8:2**

4:1, 2:0, 2:1

გოლები: 1:0 კოსტოპულოსი-4 (ბიგინი-2, სმოლინსკი-12), 2:0 რაიდერი-8 (ს. კოივუ-26, შტრაიტი-23), 2:1 შტურმი-16 (კესელი-13, სავარი-42), 3:1 ა. კოსტიცინი-13 (კომისარეკი-10), 4:1 ლაპიერი-3 (ს. კოსტიცინი-6), 5:1 სმოლინსკი-3 (ბიგინი-3, კოსტოპულოსი-5), 6:1 კომისარეკი-4 (პლეკანეცი-26, ა. კოსტიცინი-15), 7:1 კოვალიოვი-21 (შტრაიტი-24, ა. მარკოვი-22), 7:2 ნოკელაინენი-5 (ვიდემანი-15, სავარი-43), 8:2 ა. კოსტიცინი-14 (ა. კოსტიცინი-7, შტრაიტი-25).

**ტამპა ბეი-ედმონტონი 4:3**

0:0, 3:1, 1:2

გოლები: 1:0 ბ. რიჩარდსი-14 (სენტ ლუისი-38, პლავაჩი-9), 2:0 კ. მაკდონალდი-1 (ტარნავსკი-3), 3:0 სენტ ლუისი-19 (ლეკავალიე-36, ლუკოვიჩი-4), 3:1 კოლიანო-9 (სემ განიე-16, პიტკანენი-8), 4:1 ლეკავალიე-30 (სენტ ლუისი-39), 4:2 სტაიოსი-5 (კოლიანო-15, სემ განიე-17), 4:3 ჰემსკი-13 (პენერი-16, ჰორკოფი-29).

**ფლორიდა-ოტავა 5:3**

1:0, 2:2, 2:1

გოლები: 1:0 ბოუმისტერი-9 (ბუტი-6), 1:1 მაკამონდი-5 (ფიშერი-18), 2:1 გლასი-1 (ჰორტონი-23, კალიმორი-5), 2:2 ნილი-5 (ფიშერი-19, ფილიპსი-9), 3:2 უეისი-9 (ო. იოკინენი-24, ჰორტონი-23), 4:2 ბუტი-14 (ჰორტონი-25, უეისი-20), 5:2 გ. კემპბელი-4 (ჰორტონი-26, კრეპსი-8), 5:3 ფიშერი-18 (ვოლჩენკოვი-8, ფილიპსი-10).



სკოტ ნიდერმაიერი

**დალასი-კოლამბუსი 2:4**

0:0, 2:1, 0:3

გოლები: 1:0 მოროუ-20 (მიეტინენი-15, რიბეირო-32), 2:0 ოტი-6 (დელეი-11, ჰალპერნი-12), 2:1 კ. რასელი-1 (ფერდიოვი-21), 2:2 მოურეი-3 (პეიდა-9, ნოვოტნი-11), 2:3 კ. რასელი-2 (ფერდიოვი-22, კლესლა-7), 2:4 ნეში-26 (ფერდიოვი-23, ფუტი-12).

**კოლორადო-ნეშვილი 0:4**

0:1, 0:0, 0:3

გოლები: 0:1 შ. უებერი-3 (სატერი-14, ფიდლერი-11), 0:2 ერატი-13 (არნოტი-26, სატერი-15), 0:3 რადულოვი-16 (დუმონი-23, შ. უებერი-6), 0:4 ერატი-14 (სმიტსონი-7, კოისტინენი-10).

**კალგარი-მინესოტა 2:1**

0:1, 1:0, 1:0

გოლები: 0:1 როლსტონი-16 (გაბორიკი-26, მ. კოივუ-13), 1:1 იელე-3 (ლომბარდი-16, მოსი-6), 2:1 კონროი-8 (ნოლანი-7, იელე-5).

**ლოს ანჯელესი-დეტროიტი 0:3**

0:1, 0:1, 0:1

გოლები: 0:1 ჰოლმსტრიომი-19 (დაციუკი-40, ლიდსტრიომი-40), 0:2 სამუელსონი-8 (ელისი-4), 0:3 ფრანცენი-9 (სამუელსონი-19, რაფალსკი-34).

**სან ხოსე-ჩიკაგო 3:2**

1:1, 2:0, 0:1

გოლები: 0:1 სკილი-3 (სოპელი-12), 1:1 ოზოლინში-3 (რივე-17, ჯ. ტორნტონი-42), 2:1 პაველსკი-10 (ერჰოფი-16), 3:1 ერჰოფი-1 (მ. კარლი-10, მარლოუ-16), 3:2 ბარიში-1 (დოუელი-1).

---

მძლეოსნობა

## გეტლინმა ჩივილი გადაწყვიტა

100 მეტრზე სირბილში ათენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა, ამერიკელმა **ჯასტინ გეტლინმა** აშშ-ის ანტი-სადოპინგო სააგენტოში აპელაცია შეიტანა. როგორც ცნობილია, ამ ორგანიზაციამ სპრინტერს ოთხწლიანი დისკვალიფიკაცია მისცა. შეგახსენებთ, რომ 2006 წელს, Kansas Relays-ის ტურნირზე აღებულმა დოპინგ-ტესტმა გეტლინის ორგანიზმში ტესტოსტერონის კვალი აღმოაჩინა.

ამერიკელი ათლეტი უარყოფს აკრძალული პრეპარატის შეგნებულად მიღებას და სამართლიანობის აღდგენას ითხოვს.

ჭადრაკი

## ვეიკ ან ზეეს ტურნირი

**IX ტური:** **ვესელინ ტოპალოვი** (ბულგარეთი)-**ვლადიმერ კრამნიკი** (რუსეთი) 1:0; **პეტერ ლეკო** (უნგრეთი)-**მაგნუს კარლსენი** (ნორვეგია) 1:0; **მაიკლ ადამსი** (ბრიტანეთი)-**ლუკ ვანველი** (ჰოლანდია) 1:0; **პაველ ელიანოვი** (უკრაინა)-**ლევონ არონიანი** (სომხეთი) 0.5:0:5; **თეიმურ რაჯაბოვი** (აზერბაიჯანი)-**იუდით პოლგარი** (უნგრეთი) 0.5:0:5; **ვიშვანათან ანანდი** (ინდოეთი)-**ბორის გელფანდი** (ისრაელი) 0.5:0:5; **ვასილი ივანჩუკი** (უკრაინა)-**შაჰრიარ მამედიაროვი** (აზერბაიჯანი) 0.5:0:5.

**სატურნირო მდგომარეობა:** 1-2. **ლევონ არონიანი** (სომხეთი), **მაგნუს კარლსენი** (ნორვეგია) - 5.5; 3-6. **მაიკლ ადამსი** (ბრიტანეთი), **ვიშვანათან ანანდი** (ინდოეთი), **ვლადიმერ კრამნიკი** (რუსეთი), **თეიმურ რაჯაბოვი** (აზერბაიჯანი) - 5; 5. 7-10. **ვასილი ივანჩუკი** (უკრაინა), **ვესელინ ტოპალოვი** (ბულგარეთი), **პეტერ ლეკო** (უნგრეთი), **შაჰრიარ მამედიაროვი** (აზერბაიჯანი) - 4.5; 11-12. **ლუკ ვან ველი** (ჰოლანდია), **იუდით პოლგარი** (უნგრეთი) - 4; 13-14. **პაველ ელიანოვი** (უკრაინა), **ბორის გელფანდი** (ისრაელი) - 3.

## ფიშერი ისლანდიაში დაკრძალეს

გუშინ, ისლანდიის სამხრეთით, ლაუგარდალურის ეკლესიაში დაკრძალეს მსოფლიოს მეთერთმეტე ჩემპიონი ჭადრაკში, ამერიკელი **რობერტ ფიშერი**, რომელიც 17 იანვარს, 64 წლის ასაკში გარდაიცვალა.

*"თავად ფიშერის სურვილი იყო, რომ მისი დაკრძალვის ცერემონია საიდუმლოდ ჩატარებულიყო და მას მხოლოდ მოჭადრაკის უახლოესი ადამიანები დასწრებოდნენ. ეს ბოლო სურვილი მან თავის მეუღლეს, მიოკო ვატაის გაანდო, რომელიც გუშინ ჩამოფრინდა იაპონიიდან ისლანდიაში. ამიტომაც, ლაუგარდალურის ეკლესიაში ცერემონიას მიოკოსა და პასტორის გარდა, მხოლოდ გარადა სვერისონი, ფიშერის ყველაზე ახლო მეგობარი ესწრებოდა.*

*საკუთარი დაკრძალვა გენიალური მოჭადრაკის ბოლო შთამბეჭდავი კომბინაცია იყო. მან ისევ მოატყუა მთელი მსოფლიო, თავისი ყველა თაყვანისმცემელი და პაპარაცები. დასაფლავების შემდეგ, მე ვესაუბრე ბორის სპასკის და მანაც იგივე სიტყვები გაიმეორა"*, - განაცხადა ფონდ RJF-ის (Robert James Fischer) პრეზიდენტმა **ეინარ ეინარსონმა**.

ჰოკეი

## კუნძულელებმა ძირითადი მცველი დაკარგეს

"ნიუ იორკ აილენდერსს" სეზონის ბოლომდე დააკლდება მცველი **კრის კამპოლი**. ჰოკეისტს გუშინ ტრავმირებულ მხარზე ოპერაცია გაუკეთეს. კამპოლიმ დაზიანება "ნიუ ჯერსი დევილზთან" მატჩში მიიღო, რომელიც გასულ კვირას გაიმართა.

ექიმების პროგნოზით, მცველის სრულად გამოჯანმრთელებას რამდენიმე თვე დასჭირდება. ტრავმამდე, კამპოლიმ რეგულარულ ჩემპიონატში 46 მატჩი ჩაატარა. მის ანგარიშზე 4 გოლი და 14 შედეგიანი პასი მოდის.

## ფიოდოროვი ტრავმირებულებში მოხვდა

"კოლამბუს ბლუ ჯეკეტსმა" ტრავმირებულთა სიაში შეიყვანა რუსი ვეტერანი **სერგეი ფიოდოროვი**. მის ნაცვლად კლუბმა ფარმ-კლუბიდან **ენდრიუ მიურეი** გამოიძახა.

ფიოდოროვმა, რომელიც 8 გოლითა და 19 შედეგიანი პასით კლუბის მესამე ბომბარდირია, ტვინის შერყევა მიიღო და ამის გამო, მინიმუმ ერთი კვირა ვერ შეძლებს მოედანზე გასვლას.

## ტორონტომ გენერალური მენეჯერი გაუშვა

როგორც ვარაუდობდნენ, "ტორონტო მეიპლ ლივზმა" თანამდებობიდან დაითხოვა გენერალური მენეჯერი **ჯონ ფერგიუსონი**. ამ პოსტს დროებით **კლიფ ფლეტჩერი** დაიკავებს. კანადური კლუბი ბოლო ორი წელია ვერ ხვდება პლეიოფში და წელსაც მხოლოდ მე-14 ადგილს იკავებს აღმოსავლეთ კონფერენციაში.

ფერგიუსონის შემცვლელი ფლეტჩერი 1991-97 წლებში ხელმძღვანელობდა "ტორონტოს".

*"ჩვენი გუნდი ვერ აჩვენებს იმ შედეგებს, რასაც მისგან ველოდით. დროა "ტორონტოს" აღორძინებაზე ვიზრუნოთ"*, - აცხადებს კლუბის პრეზიდენტი **რიჩარდ პედი**.

---

# TV სპორტი

**24 იანვარი. ხუთშაბათი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 ესპანეთის თასი. 1/4 ფინალი. I მატჩი. ხეტაფე-მალიორკა.
15:10 საფრანგეთის ჩემპიონატი. ნანსი-მარსელი.
16:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:10 ესპანეთის თასი. 1/4 ფინალი. I მატჩი. ვალენსია-ატლეტიკო.
19:00 გასული კვირის ჰიტ-აღლუმი.
20:45 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
21:05 უოქ ენდის მატჩების ანონსი.
21:10 გასული კვირის ჰიტ-აღლუმი.
22:55 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ფეიენოორდი-ტვენტე (LIVE).
00:55 ესპანეთის თასი. 1/4 ფინალი. I მატჩი. ვილიარეალი-ბარსელონა (LIVE).

**SPORT 1 (უკრაინა)**

09:40 სპორტდონსი.
10:10 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
10:25 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. XIII ტური. ლეტუვოს რიტასი-უნიკახა.
12:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ვიგანი-ევერტონი.
13:50 ესპანეთის თასი. 1/8 ფინალი. I მატჩი. სევილია-ბარსელონა.
15:36 ესპანეთის თასი. 1/8 ფინალი. I მატჩი. ბარსელონა-სევილია.
17:23 სპორტდონსი.
17:52 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ფულჰემი-არსენალი.
19:42 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
20:12 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. V ეტაპი. კვალიფიკაცია. ახალი ზელანდია.
21:07 ფეხბურთი. Barca TV.
21:15 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
21:30 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
22:00 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ტურის მიმოხილვა.
22:30 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
22:45 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. XIII ტური. პანათინაიკოსი-ფენერბაჩე (LIVE).
00:35 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
00:48 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ვანკუვერი-სტ. ლუისი (LIVE).
02:35 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
02:46 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. XIII ტური. ლეტუვოს რიტასი-უნიკახა.
04:18 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
04:45 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ვიგანი-ევერტონი.
06:35 სპორტდონსი.
07:00 ფეხბურთი. Barca TV.
07:08 ფეხბურთი. [illegible] ვალენსია.
08:51 ფეხბურთი. Barca TV.

**EUROSPORT**

10:30 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. ქალები. 1/2 ფინალი. მელბურნი (LIVE).
12:30 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. მამაკაცები. 1/2 ფინალი. მელბურნი (LIVE).
16:30 ფიგურული სრიალი. ევროპის ჩემპიონატი. ორიგინალური ცეკვა. ზაგრები. ხორვატია.
20:30 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
20:45 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ჯგუფური ეტაპი. განა.
21:00 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ჯგუფური ეტაპი. გვინეა-მაროკო. განა (LIVE).
23:00 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ჯგუფური ეტაპი. განა.
23:30 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ჯგუფური ეტაპი. განა-ნამიბია. განა (LIVE).
01:30 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ჯგუფური ეტაპი. მიმოხილვა.
02:30 ფიგურული სრიალი. ევროპის ჩემპიონატი. მამაკაცები. თავისუფალი პროგრამა. ზაგრები. ხორვატია.
04:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. მონტე კარლო.

**EUROSPORT-2**

10:30 ახალი ამბები.
13:00 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ციურიხი (შვეიცარია)-ნოვარა (იტალია).
14:00 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ჯგუფური ეტაპი. ტუნისი-სენეგალი. განა.
15:00 ახალი ამბები.
17:00 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ჯგუფური ეტაპი. ს. აფრიკა-ანგოლა. განა.
18:00 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ჯგუფური ეტაპი. ტუნისი-სენეგალი. განა.
19:00 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ციურიხი (შვეიცარია)-ნოვარა (იტალია).
19:45 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. H134. ზაკოპანე. პოლონეთი (LIVE).
20:45 ახალი ამბები.
21:30 სნოუბორდი. მსოფლიო თასი. ავსტრია.
22:00 ფრისტაილი. მსოფლიო თასი. საფრანგეთი.
22:30 ახალი ამბები.
23:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. გასული სეზონის მიმოხილვა.
00:00 კრივი. ნახევრადმსუბუქი წონა. ს. პაულუ (აშშ)-ტ. კოტენი (აშშ) (LIVE).
02:00 ახალი ამბები.
02:15 ლაკროსი. ჩრდილოეთ ამერიკის რეგულარული ლიგა. კოლორადო-ედმონტონი.
03:15 ახალი ამბები.

# ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**აფრიკის თასი**

**D ჯგუფი**

**ტუნისი-სენეგალი 2:2**

**ტუნისი:** კასრაუი, ელ-ბეკრი, ფელპი, ჰაგი, ჟაიდი, მნარი, ტრაუი, ზუაგი (80. ბენ დიფალაჰი), შიხაუი, ჟემაა (86. მიკარი), ფრანსილეუდო სანტოსი (63. ზაიემი).

**სენეგალი:** სილვა, ბეიე, ს. დიავარა, აბდულაიე ფეიე, გირანი, ფ. მენდი (61. ა. კამარა), ნ'დიაე (63. დიოპი), სალი, დიუფი, დ. კამარა, ნიანგი (88. გეიე).

**გოლები:** 1:0 ჟემაა (9), 1:1 სალი (45), 1:2 დ. კამარა (66), 2:2 ტრაუი (82)

**მაყურებელი:** 10 000

**ს. აფრიკა-ანგოლა 1:1**

**ს. აფრიკა:** ჯოზეფი, მასილელა, მუნი, მორისი, მლონგო, მოდისე, ა. მოკოენა, პიენაარი (71. ვან ჰეერდენი), ჩაბალალა (46. შაბანგუ), მორირი (46. ფანტენი), ზუმა.

**ანგოლა:** ლამა, აიროსა (89. ლოკო), კალი, რუი მარკეში, იამბი აშა, პაულუ ფიგეირედო (64. ზე კალანგა), სებასტიაო ჟილბერტო, მაკანგა, მენდონკა (73. ედსონი), ფლავიო, მანუშო.

**გოლები:** 0:1 მანუშო (29), 1:1 ვან ჰეერდენი (87)

**მაყურებელი:** 20 000

**იტალია**

**ატალანტა-მილანი 2:1**

**ატალანტა:** კოპოლა, ბელინი, კაროციერი, პელეგრინო, რივალტა, ადრიანო პინტუ, დონი (54. ს. ინძაგი), გარენტე, ლანჯელა (65. დე აშენტისი), ტისონე (81. პადოინი), ფლოკარი.

**მილანი:** კალაჩი, ბონერა (71. ოდო), ფავალი, კალაძე, ნესტა, გატუზო (83. გურკუფი), კაკა, პირლო, ზეედორფი, პატო (63. რონალდო), ჯილარდინო.

**გოლები:** 0:1 გატუზო (!6), 1:1 ლანჯელა (42), 2:1 ტისონე (68)

**მაყურებელი:** 20 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 19 | 15 | 4 | 0 | 43-13 | 49 |
| 2. რომა | 19 | 12 | 6 | 1 | 37-19 | 42 |
| 3. იუვენტუსი | 19 | 10 | 7 | 2 | 36-16 | 37 |
| 4. ფიორენტინა | 19 | 9 | 7 | 3 | 30-18 | 34 |
| 5. უდინეზე | 19 | 9 | 5 | 5 | 23-22 | 32 |
| 6. ატალანტა | 19 | 6 | 7 | 6 | 27-26 | 25 |
| 7. სამპდორია | 19 | 7 | 4 | 8 | 25-24 | 25 |
| 8. ჯენოა | 19 | 6 | 7 | 6 | 20-25 | 25 |
| 9. პალერმო | 19 | 6 | 7 | 6 | 27-33 | 25 |
| 10. მილანი | 17 | 6 | 6 | 5 | 28-16 | 24 |
| 11. ნაპოლი | 19 | 6 | 6 | 7 | 29-29 | 24 |
| 12. კატანია | 19 | 5 | 7 | 7 | 18-22 | 22 |
| 13. ლივორნო | 18 | 5 | 6 | 7 | 22-28 | 21 |
| 14. ლაციო | 19 | 4 | 7 | 8 | 22-29 | 19 |
| 15. პარმა | 19 | 4 | 6 | 9 | 22-29 | 18 |
| 16. ტორინო | 19 | 2 | 11 | 6 | 17-24 | 17 |
| 17. სიენა | 19 | 3 | 8 | 8 | 22-30 | 17 |
| 18. რეჯინა | 18 | 3 | 8 | 7 | 15-26 | 17 |
| 19. ემპოლი | 19 | 3 | 7 | 9 | 15-26 | 16 |
| 20. კალიარი | 19 | 2 | 4 | 13 | 13-36 | 10 |

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| ფრაიბურგი-შაფჰაუზენი | 3:1 |
| ნიურნბერგი-ციურიხი | 3:0 |
| კოლენი-გრასჰოპერსი | 0:2 |
| ვუპერტალი-ბოხუმი | 2:1 |
| ლეჩია-ბონი | 0:0 |
| ალენი-ბორუსია (მ) | 1:4 |
| არმინია-ესბერგი | 0:0 |
| აინტრახტი-აუგსბურგი | 2:2 |
| ჰამბურგი-მიდტიულანდი | 2:0 |
| მაინცი-შტუტგარტი | 1:3 |

**ინგლისი**

**I ლიგა**

| | |
|---|---|
| მილუოლი-ნოტინგემი | 2:2 |

**ინგლისის ლიგის თასი**

**1/2 ფინალი. II მატჩი**

| | |
|---|---|
| ევერტონი-ჩელსი | 0:1 (1:2) |

**იტალიის თასი**

**1/4 ფინალი. I მატჩები**

| | |
|---|---|
| უდინეზე-კატანია | 3:2 |
| სამპდორია-სიენა | 1:1 |
| ინტერი-იუვენტუსი | 2:2 |

**ესპანეთის თასი**

**1/4 ფინალი. I მატჩები**

| | |
|---|---|
| ხეტაფე-მალიორკა | 1:0 |
| ვალენსია-ატლეტიკო | 1:0 |

**საფრანგეთი**

| | |
|---|---|
| ვალანსი-ლანსი | 1:2 |
| კაენი-ოსერი | 0:0 |
| ლილი-ლე მანი | 3:1 |
| ლიონი-ლორიანი | 2:0 |
| მონაკო-სოშო | 1:0 |
| პსჟ-მეცი | 3:0 |
| რენი-ნიცა | 1:1 |
| სტრასბური-ტულუზა | 2:0 |
| ნანსი-მარსელი | 1:1 |

**ჰოლანდია**

| | |
|---|---|
| აიაქსი-უტრეხტი | 2:0 |
| გრააფსხაპი-როდა | 2:1 |
| გრონინგენი-ნიმეგენი | 5:1 |
| ეინდჰოვენი-სპარტა | 3:1 |
| ჰერენვეენი-ვენლო | 5:1 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| დენ ბოში-ვოლენდამი | 1:1 |

**ბელგია**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ტურნე-გეელი | 1:0 |
| ტუბიზე-ნამური | 0:0 |
| ვაასლანდი-ვირტონი | 0:0 |

**პორტუგალიის ლიგის თასი**

| | |
|---|---|
| პენაფიელი-სეტუბალი | 1:1 |
| სპორტინგი-ბეირა მარი | 3:0 |

**შოტლანდიის თასი**

| | |
|---|---|
| ქოვი-როსი | 2:4 |
| რეინჯერსი-ისტ სტირლინგი | 6:0 |
| გრეტნა-მორტონი | გადაიდო |

**თურქეთის თასი**

| | |
|---|---|
| დიარბაქირი-ანკარა | 2:3 |
| რიზე-ანკარაგუჯუ | 1:0 |
| ალანია-ფენერბაჩე | 3:10 |
| გაზიანთეპი-ქაისერი | 0:2 |
| დენიზლი-ბურსა | 0:0 |
| ოფთასი-გალათასარაი | 3:0 |

**კალათბურთი**

**ევროლიგა**

| | |
|---|---|
| ცსკა-ტაუგრესი | 70:62 |
| ლეტუვოს რიტასი-უნიკახა | 71:63 |
| ეფესი-არისი | 74:84 |
| ლე მანი-ციბონა | 100:87 |
| მონტეპასკი-პროკომი | 87:64 |
| ბარსელონა-რომა | 75:77 |

**ხელბურთი**

**ევროპის ჩემპიონატი**

**მამაკაცები**

| | |
|---|---|
| ესპანეთი-შვედეთი | 26:27 |
| ხორვატია-ჩერნოგორია | 34:26 |
| გერმანია-საფრანგეთი | 23:26 |
| პოლონეთი-დანია | 26:36 |
| უნგრეთი-ისლანდია | 28:36 |
| ნორვეგია-სლოვენია | 29:33 |

**ჰოკეი**

**რუსეთი**

| | |
|---|---|
| მეტალურგი (ნ)-ამური | 2:2 |
| ავანგარდი-აკ ბარსი | 4:6 |
| სიბირი-ვიტიაზი | 4:4 |
| ტრაქტორი-ს. იულაევი | 3:2 |
| ლადა-სკა | 4:0 |
| ნეფტეხიმიკი-მეტალურგი (მ) | 1:2 |
| სევერსტალი-ცსკა | 2:1 |
| ტორპედო-სპარტაკი | 1:1 |
| ხიმიკი-დინამო | 5:2 |
| მედ-ლოკომოტივი | 1:3 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| ჰამბურგი-შტრაუბინგი | 4:2 |


ანა ივანოვიჩი გამარჯვებას ზეიმობს

ავსტრალიის ლია პირველობა

# მელბურნში სერბები დომინირებენ

ავსტრალიის ლია პირველობას ნახევარფინალისთვის მხოლოდ ევროპელი ჩოგბურთელები შემორჩა. მეოთხედფინალი გადაულახავი ბარიერი აღმოჩნდა არამხოლოდ ქალთა მსოფლიოს პირველ ჩოგან **ჟუსტინ ანენსთვის**, არამედ დები უილიამსებისთვისაც და საერთოდ, ამერიკელი ჩოგბურთელებისთვის, რომელთა სამივე წარმომადგენელმა ტურნირი სწორედ მეოთხედფინალში დატოვა.

ტურნირის ეს ეტაპი განსაკუთრებით მტკივნეული გამოდგა **ვენუს და სერენა უილიამსებისთვის**, რომლებიც ჯერ ერთეულებში გავარდნენ (ორივემ სერბ მეტოქესთან წააგო), შემდეგ კი წყვილთა ასპარეზობასაც გამოეთიშნენ. სამაგიეროდ, სერბმა ჩოგბურთელებმა გაილაღეს, რომლებსაც ორივე ბადეში ერთად სამი ნახევარფინალისტი ეყოლებათ. აქედან ორი ქალთა ბადეში გამოდის და ისინი ფინალამდე (თუ იქ გასვლას შეძლებენ) ერთმანეთს არ დაუპირისპირდებიან

ფინალში გასასვლელად კი, **ელენა იანკოვიჩმა** გზიდან უიმბლდონისა და აშშ-ის ღიას ყოფილი ჩემპიონი, რუსი **მარია შარაპოვა** უნდა ჩამოიცილოს, **ანა ივანოვიჩს** კი, ვინც მეოთხედფინალში ვენუსი დაამარცხა, სლოვაკ **დანიელა ჰანტუხოვასთან** ექნება საქმე, რომელმაც ტურნირი პოლონელ **აგნიეშკა რადვანსკას** დაატოვებინა.

განსაკუთრებით რთული ამოცანა აქვს შესასრულებელი იანკოვიჩს, რომლის წინაშეც შესანიშნავ ფორმაში მყოფი შარაპოვა დადგება. ამ ორი ჩოგბურთელის წინა ოთხი შეხვედრიდან რუსს სამი აქვს მოგებული. თანაც, მეოთხედფინალში მან მსოფლიოს პირველი ჩოგნის დამარცხება შეძლო და ახლა ოზი ოუპენის ფინალში ზედიზედ მეორედ გასასვლელად ემზადება. თუმცა, იანკოვიჩმა ხომ ტურნირს მისი ჩემპიონი სერენა უილიამსი გამოთიშა, ის ადამიანი, ვინც შარაპოვა შარშანდელ ფინალში დაამარცხა...

შეგახსენებთ, რომ სერბულმა ტრიომ შარშან საფრანგეთის ღიას ნახევარფინალშიც ითამაშა, მაგრამ ფინალამდე მხოლოდ ერთმა, ივანოვიჩმა გააღწია.

ვენუსის და ივანოვიჩის შეხვედრის პირველი სეტი ნამდვილი ლატარეა გამოდგა. სერბმა საწყისი გეიმი თავის სერვისზე მოიგო და აქედან მოყოლებული, ექვსი გეიმის განმავლობაში, თავის სერვისზე ქულის აღებას ვერცერთი ვერ ახერხებდა. მერე კი, ვენუსმა ბოლოსდაბოლოს შეძლო თავისი სერვის-გეიმის მოგება და სეტიც ტაიბრეიკზე გადავიდა, სადაც უფრო სტაბილური ივანოვიჩი იყო.

მეორე სეტში ივანოვიჩმა შეძლო ერთბრეიკიანი უპირატესობის შენარჩუნება და შეხვედრა გამარჯვებით დაასრულა. აღსანიშნავია, რომ ამ ორი ჩოგბურთელის წინა ოთხივე შეხვედრა ამერიკელს ჰქონდა მოგებული და თანაც ისე, რომ ივანოვიჩს ერთი სეტიც არ მოაგებინა.

*"ჩემი აზრით, აღმოსავლეთ ევროპის - რუსეთისა და სერბეთის ჩოგბურთელები უფრო მიზანსწრაფულები ვართ და ეს ჩვენს შედეგებზეც აისახება. ჩვენ უზარმაზარი მხარდაჭერა გვაქვს. როცა მამას ტელეფონით ველაპარაკები, ის ყოველთვის მეუბნება, რომ უამრავი ადამიანი, მთელი ქვეყანა გვქომაგობს. ჩვენი წყალობით, ჩოგბურთი სერბეთში სპორტის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სახეობა ხდება. სულ უფრო ბევრი ბავშვი იწყებს ჩოგბურთში ვარჯიშს. აბა, რა იქნება, როცა ხედავ, რომ შენი ქვეყნიდან ორი-სამი ჩოგბურთელი ნახევარფინალში გადის"*, - ამბობს ივანოვიჩი.

აღსანიშნავია, რომ ფიზმომზადებაში მას ახალი მწვრთნელი **სკოტ ბაირნსი** ავარჯიშებს, რომელსაც ანა ძალიან ემადლიერება. *ფიტნესში უამრავი მწვრთნელი მყოლია, მაგრამ სკოტთან მუშაობა ჩემთვის სასარგებლოცაა და სასიამოვნოცო*, - ყვება ივანოვიჩი, რომელიც ნახევარფინალში ჰანტუხოვას დაუპირისპირდება.

ჰანტუხოვა კარიერაში პირველად ითამაშებს დიდი სლემის ტურნირის ნახევარფინალში. რადვანსკასთან შეხვედრაში ის შეცდომებს თითქმის არ უშვებდა და პოლონელს თამაშის გადარჩენის არანაირი შანსი არ დაუტოვა. სლოვაკი ხაზიდან უზუსტესი დარტყმებით, მეტოქეს ბურთს კორტის ხან ერთ, ხან მეორეს მხარეს უგზავნიდა, რითაც მას კონტრშეტევის განხორციელების საშუალებას უსპობდა. თანაც, თავისი შეტევისთვის საფუძველს ამზადებდა და როგორც კი შანსი უჩნდებოდა, ბადესთან გასვლით და დროპ შოტებით ამთავრებდა საქმეს.

ჰანტუხოვას სახელმა საჩოგბურთო სამყაროში პირველად 2002 წლის მარტში გაიბრწყინა, როცა მან ინდიან ველსის ფინალში შვეიცარიელი **მარტინა ჰინგისი** დაამარცხა. მაგრამ იმის შემდეგ, შარშანდლამდე ბევრი არაფრისთვის მიუღწევია. შარშან კი მან კიდევ ერთხელ მოიგო ინდიან ველსის ტურნირი და აი, მისი აღმასვლის ლოგიკური გაგრძელება ოზი ოუპენის ნახევარფინალია.

ჯოკოვიჩმა სამ სეტში მოუგო ესპანელ **დავიდ ფერერს**, ვინც მესამე სეტში კი გაიბრძოლა, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია. სერბი 5:3-ს იგებდა, როცა მან მეტოქის მოწოდებაზე ოთხი მატჩ პოინტი მოიპოვა, მაგრამ ესპანელმა ოთხივე მოიგერია, მომდევნო გეიმში კი ბრეიკი აიღო და ანგარიში გაათანაბრა – 5:5. მაგრამ მომდევნო გეიმში ჯოკოვიჩმა ისევ შეძლო მეტოქის მოწოდებაზე ქულის აღება. შემდეგ კი, თავის სერვისზე, ბრეიკ პოინტი მოიგერია და შეხვედრასაც გამარჯვების წერტილი დაუსვა.

*"შეხვედრის მინურულს მეტისმეტად ვინერვიულე. ერთ მომენტში, ტრიბუნაზე ხმაურის გამო, წონასწორობაც დავკარგე, მაგრამ ასეთი რამ ხანდახან ხდება, როცა ძალიან დაძაბული ხარ. საბოლოოდ კი მიზანს მივაღწიე და ძალიან მიხარია, რომ ნახევარფინალში ვითამაშებ"*, - განაცხადა ჯოკოვიჩმა.

დღის ბოლო შეხვედრაში კი, მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა, შვეიცარიელმა **როჯერ ფედერერმა** სამსეტიან დაძაბულ პაექრობაში აჯობა ამერიკელ **ჯეიმს ბლეიკს**. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ფედერერი სრული დატვირთვით არ თამაშობდა, თუმცა ამის მიუხედავადაც, გადამწყვეტ მომენტებში იოლად ახერხებდა ქულების აღებას.

პირველი სეტის დასაწყისში მეტოქეებმა ბრეიკები გაცვალეს, შემდეგ კი ფედერერმა სეტის ტაიბრეიკზე გადაყვანა არ ისურვა და მე-12 გეიმში აღებული კიდევ ერთი ბრეიკით, სეტი თავის სასარგებლოდ დაასრულა. მეორე სეტიც ანალოგიური სცენარით წარიმართა. ჯერ შვეიცარიელმა შეძლო მეტოქის მოწოდების აღება, შემდეგ კი ამერიკელმა ხურდა დაუბრუნა. ოღონდ, ამჯერად საქმე ტაიბრეიკამდე მაინც მივიდა, სადაც როჯერმა იოლად აჯობა მეტოქეს.

მესამეში ფედერერი თავიდან 5:2 დაწინაურდა. მართალია, ბლეიკმა ერთი ბრეიკის გაქვითვა ამჯერადაც შეძლო, მაგრამ უფრო მეტს ველარ მიაღწია და ისღა დარჩენოდა, კორტი წაგებულს დაეტოვებინა. ფედერერი კი ნახევარფინალში ჯოკოვიჩს დაუპირისპირდება.

**კაცები. მეოთხედფინალი**

**როჯერ ფედერერი (შვეი, 1)**-ჯეიმს ბლეიკი (აშშ, 12) 7:5, 7:6(5), 6:4

**ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბ, 3)**-დავიდ ფერერი (ესპ, 5) 6:0, 6:3, 7:5

**ქალები. მეოთხედფინალი**

**ანა ივანოვიჩი (სერბ, 4)**-ვენუს უილიამსი (აშშ, 8) 7:6(3), 6:4

**დანიელა ჰანტუხოვა (სლვკ, 9)**-აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 29) 6:2, 6:2

ინტერვიუ ნოვაკ ჯოკოვიჩთან

# მალე ძალიან ბევრნი ვიქნებით!

**ხვალ**, ავსტრალიის ღია პირველობაზე ნაადრევი ფინალი გაიმართება. დიახ, ასე აფასებს სპეციალისტთა უმრავლესობა როჯერ ფედერერისა და ნოვაკ ჯოკოვიჩის ნახევარფინალურ დაპირისპირებას.

სერბმა ჯოკოვიჩმა ნახევარფინალამდე ისე მიაღწია, რომ ერთი სეტიც არ დაუთმო მეტოქეებს. ეს ყველაფერი მსოფლიოს მესამე ჩოგანის კარგ ფორმაზე მეტყველებს და იმაზეც, რომ შარშან დაწყებული პროგრესი წლევანდელ სეზონში გრძელდება. ფედერერმა კი, როგორც გახსოვთ, მესამე წრეში ბეწვის ხიდზე გაიარა, როცა ოთხსაათიან ბრძოლაში ძლივს დაძლია ჯოკოვიჩის თანამემამულის, იანკო ტიპსარევიჩის წინააღმდეგობა. ასე რომ, საჩოგბურთო სამყარო სენსაციის მოლოდინშია. მანამდე კი, ჯოკოვიჩი სიამოვნებით ესაუბრება ჟურნალიტებს და მის ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუს დღეს გთავაზობთ.

**- გაქვთ თუ არა ისეთი შეგრძნება, რომ თქვენი დღევანდელი თამაშით "დიდი სლემის" ტურნირის მოგებას შეძლებთ?**

- მიმაჩნია, რომ შევძლებ. მთელი ტურნირის განმავლობაში კარგ ჩოგბურთს ვაჩვენებ. ერთადერთი გამონაკლისი ლეიტონ ჰიუიტთან პირველი სეტი იყო. კიდევ ერთი დადებითი მომენტი ის არის, რომ ნახევარფინალამდე ისე მივაღწიე, ერთი სეტიც არ წამიგია.

**- "დიდი სლემის" ტურნირებზე დიდი ხანია გამოდიხართ. შეიძლება იმის თქმა, რომ ეს თქვენთვის ყველაზე იოლია ჩემპიონატია და აქ ყველაზე ნაკლებად ხარჯავთ ძალებს?**

- რა თქმა უნდა, ვცდილობ მაქსიმალურად დავზოგო ძალები, მაგრამ ასეთი დონის ტურნირებზე იოლად არაფერი ხდება. ბევრი სირბილი გიწევს. სხვათა შორის, ყველაზე კარგად ძალების დაზოგვა ფედერერს გამოსდის. მან იცის, როდის უნდა მოუმატოს და როდის დაისვენოს. ჩემი დრო კიდევ მოვა. სულ რაღაც 20 წლის ვარ და მხოლოდ ახლა შევდივარ მამაკაცთა საჩოგბურთო ელიტაში. ბრწყინვალედ გავიარე მთელი 2007 წელი და ახალი სეზონშიც ყველაფერი კარგად მიდის. იმედი მაქვს, ასეთ დონეზე ჩავატარებ კიდევ 10-15 წელს.

**- ფინალისკენ ახლოს, სულ უფრო ხშირად საუბრობენ ფედერერის უძლეველობაზე. თქვენც იგივეს ფიქრობთ?**

- პირიქით, მოთამაშეები გრძნობენ, რომ მისი დამარცხება შესაძლებელია. დაუმარცხებელი ჩოგბურთელები არ არსებობენ. რა თქმა უნდა, ფედერერი ყოველ მატჩში დომინირებს, განსაკუთრებით სწრაფ კორტებზე. რაც არ უნდა იყოს, ის პირველი ჩოგანია. მაგრამ, სულ უფრო მეტი ჩოგბურთელი მასთან სხვანაირად თამაშს იწყებს, რადგან გრძნობს, რომ როჯერის ძლევა შეუძლია.

**- გასული სეზონის დასკვნითი ნაწილი ძალიან სუსტად ჩაატარეთ. ახლა დაუბრუნდით ძველ დონეს?**

- იმედი მაქვს, რომ ასეა. ახლა მხოლოდ სეზონის დასაწყისია და ძნელია რაიმეს მტკიცება. ეს ჩემი პირველი ოფიციალური ტურნირია, თუ არ ჩავთვლით ჰოფმანის თასს. საკუთარი თავის რწმენა, რომელიც გასული წლის ბოლოს დავკარგე, ნელ-ნელა მიბრუნდება. მაშინ მართლაც რთული პერიოდი მქონდა, ვინაიდან ზედიზედ ხუთი შეხვედრა წავაგე. მაგრამ ეს იოლი ასახსნელია - შარშან ძალიან ბევრი მატჩი გავმართე და საშინლად გადაღლილი ვიყავი.

**- გასული სეზონი მართლაც გრძელი და უმძიმესი გამოვიდა. როგორ დაისვენეთ სეზონებს შორის არდადეგებზე? რას აკეთებდით?**

- არაფერს (იცინს). უფრო სწორად, ვცდილობდი არაფერი მეკეთებინა. ეს აუცილებელი იყო ასეთი ხანგრძლივი სეზონის შემდეგ.

**- მელბურნში თქვენი უმცროსი ძმა არის ჩამოსული, რომელიც აქ აქტიურად ვარჯიშობს. რამდენად ჰგავს ის თავის სახელოვან ძმას? მასსავით ძლიერია?**

- უნდა გითხრათ, რომ შესანიშნავია, როცა ორი უმცროსი ძმა გყავს. ისინი ავსტრალიაში ჩემს საქომაგოდ ჩამოვიდნენ. ის, ვინც თქვენ კორტზე ნახეთ, ავსტრალიის ღია პირველობის იუნიორთა ტურნირში თამაშობს. 16 წლისაა. ვფიქრობ, მომავალში მამაკაცთა საჩოგბურთო ელიტაში რამდენიმე ჯოკოვიჩს იხილავთ. პლანეტის საუკეთესო მოთამაშეების გვერდით ყოფნა მათთვის დაუვიწყარი გამოცდილება იქნება. ისინი კიდევ უფრო მეტი მონდომებით ივარჯიშებენ და თუ რაიმე რჩევა დასჭირდებათ, მეც მათ გვერდით ვიქნები.

**- ისინი თქვენი ყველაზე დიდი თაყვანისმცემლები არიან?**

- რა თქმა უნდა.

**- ამ ბოლო დროს, მაყურებლების თხოვნას ნაკლებად ითვალისწინებთ და თქვენს ცნობილ პაროდიებს აღარ გვთავაზობთ. რატომ?**

- იმიტომ, რომ ბოლო თვეებში ამ პაროდიების შესახებ ძალიან ბევრს ლაპარაკობენ. არაერთხელ მითქვამს, რომ არ ვცდილობ ყველა გავაცინო ან ვინმეს ვაწყენინო. უბრალოდ, ამით მინდა მხიარული განწყობა და გარკვეული მრავალფეროვნება შემოვიტანო. სულაც არ ვცდილობ



სხვებისგან გამორჩეული ვიყო, უბრალოდ სიამოვნებას ვიღებ იმისგან, რასაც ვაკეთებ. არ მომწონს, როცა ადამიანები ნეგატიურ შეფასებას აძლევენ ჩემს პაროდიებს. ამიტომაც, ვცდილობ, იშვიათად შევასრულო ნომრები. წელს, მხოლოდ შარაპოვა განვასახიერე, დანარჩენი მოთამაშეების პაროდირება არ მსურს.

**- მარია წინააღმდეგი არ არის?**

- არა. მე მგონი, ამ ყველაფერს ნორმალურად უყურებს.

**- რას გრძნობთ, როცა ახალგაზრდა გოგონები თქვენი მისამართით სასიყვარულო შეძახილებს ისვრიან?**

- ახეთი რაღაცეები ყოველთვის მსიამოვნებდა. კარგია, როცა ვიღაც მსგავს ფრაზებს გესვრის, მაისურებს გიჭრელებს, დროშებს იქნევს... ჩოგბურთი - ინტელექტუალური სპორტია. და ძალიან მნიშვნელოვანია, როცა ზურგსუკან ასეთ მხარდაჭერას გრძნობ.

**- რას ნიშნავს თქვენი მეტსახელი - Nole?**

- თუ სიმართლე გაინტერესებთ, კონკრეტულად არაფერს.


ლელო
სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა რიჩაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნოზაძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თვაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად მამიროშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგაბაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კობერიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრეკაშვილი, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარსაველიძე, ნიკო ჯაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუჯაძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა კვირიკაშვილი, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გვაჯაიკორი, დავით მალტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტორები
ლელა ხოხაშვილი
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან ჩიტაშვილი

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაჩა გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი
გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო გაბაშვილი (1952-53)
ირაკლი უბილავა (1953-64)
ანზორ გასილამი (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებელი: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტარტი

პარტნიორი: საქართველოს ოლიმპიური ფონდი

ახმეტელის 10ა.
0159 თბილისი
(დიღომი, ახალი კონსტიტუცია, პირველი სართული)

ტელეფონი: 46 30 98
46 30 56, 46 32 62
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი)
53 39 11

ფაქსი +995 32 46 30 97

e-mail: sport@sport.ge
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა